DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

NYU | ISAW

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Author: Menabde, M. / მენაბდე, მ. / Менабда, M.B.
- Title: სიონის არქეოლოგიური ძეგლები / Археолоческие памятники с. сиони
- Publication Date: 1981
- Publisher: Georgian National Museum, Georgian National Academy of Scineces
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_bf2d660505

## About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

IVE
4107

მედეა მენაბდე, თამაზ კიღურაძე

# სიონის არქეოლოგიური ძეგლები

მეცნიერება
1981

1VE
4107

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

არქეოლოგიური კომისია
АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ КОМИССИЯ

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ ИМ. АКАД. С. Н. ДЖАНАШИА

მედეა მენაბდე, თამაზ კიღურაძე

19753

# სიონის
# არქეოლოგიური ძეგლები

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1981

902.6 (С 41)
63.4 (2 Г)
902.6 (47.922)
ს 529

ნაშრომი წარმოადგენს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მარნეულის რ-ნის სოფ. სიონში მიკვლეული და გათხრილი სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე მოპოვებული მასალის პირველ პუბლიკაციას. სიონში გამოვლენილია დღემდე უცნობი თავისთავადი არქეოლოგიური კულტურის ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ნამოსახლარი, შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ორმოსამარხები, ძვ. წ. VII—VI სს. და ადრეფეოდალური ხანის ქვაყუთები. ნაშრომში მოცემულია თითოეული ობიექტის დახასიათება, ინვენტარის აღწერა და მეცნიერული ანალიზი.

წიგნი გათვალისწინებულია ისტორიკოსების, არქეოლოგებისა და უძველესი კულტურით დაინტერესებულ პირთათვის.

47/81

ს $\frac{10602}{М\ 607\ (06)—81}$ 231—81

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1981

# შესავალი

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია მარნეულის რაიონში 1965 წლიდან მუშაობს სხვადასხვა ობიექტებზე, 1974 წლიდან კი თავის ძირითად სამუშაოებთან ერთად მცირე მასშტაბის გათხრებს აწარმოებს ამავე რაიონის სოფ. სიონშიც. აქ გათხრების დაწყება განაპირობა შემთხვევითმა აღმოჩენამ. 1973 წელს სოფ. სიონის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა აწ განსვენებულმა ვლ. კუპატაძემ ექსპედიციას გადმოსცა გვიანბრინჯაოს ხანის მცირე მასალა, რომელიც შემთხვევით უპოვნიათ სოფლის განაპირას, პატარა ღელის—ხუდისწყლის ჩამორღვეულ ნაპირას. აღმოჩენის ადგილის დათვალიერებამ დაგვანახვა, რომ საქმე გვაქვს ორმოსამარხის ნაალაგევთან, საიდანაც ჩამონგრევის შემდეგ აუკრეფიათ ზემოხსენებული მასალა — სამარხეული კომპლექსი. გაირკვა ის გარემოებაც, რომ ამ პატარა ღელის ნაპირი ინტენსიურად ირეცხება და ინგრევა წყლის მოდიდების დროს. ამიტომ ექსპედიციამ საჭიროდ ჩათვალა აქ დაზვერვითი გათხრების ჩატარება.

ადგილს, სადაც სამარხის ნაშთი მდებარეობდა, ადგილობრივი მოსახლეობა „ფარეხებს“ უწოდებს, რადგანაც აქ სამამულო ომის წინ ფარეხი ყოფილა გამართული. ადგილი „ფარეხები“ წარმოადგენს მთის გავაკებულ ფერდს, რომლის სიგრძე დაახლოებით — 200, სიგანე 60—70 მეტრია. ეს ადგილი, ისევე, როგორც მთელი სოფელი სიონი, მთის ძირასაა განლაგებული ზღვის დონიდან დაახლოებით 600 მეტრზე.

სოფ. სიონი მდებარეობს მარნეულის რაიონში, შულავერის ხევში, დაბა შაუმიანიდან (ძველი შულავერი) სამხრეთ-დასავლეთით 6—7 კილომეტრზე. იგი გაშენებულია მდინარე შულავერის მარცხენა ნაპირზე და გარშემორტყმულია ტყით დაფარული მაღალი მთებით. სახელწოდება სოფელს მიღებული უნდა ჰქონდეს თბილისის სიონის ეკლესიისაგან, რომლის მიწებსაც წარმოადგენდა თანამედროვე სოფლის ტერიტორია. დღევანდელი სოფელი XIX საუკუნის ბოლოსაა დასახლებული. იგი დაუარსებია ცნობილი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის მამას — საბა ადამაშვილს[1]. მისი თაოსნობით აქ გადმოსახლებულა 7 კომლი ქართველი, რომელთა შთამომავლობას წარმოადგენს დღევანდელი სოფლის მკვიდრთა უდიდესი ნაწილი; მასვე დაურქმევია სოფლისათვის ეს სახელი.

„ფარეხებზე“ გათხრების პარალელურად ექსპედიცია დაზვერვებს აწარ-

---

[1] მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი, VI, 1964, გვ. 486; დ. ბერძენიშვილი, სოფელ სიონის ისტორიიდან, „ძეგლის მეგობარი“, № 21, თბ., 1970, გვ. 4.

მოებდა სოფელ სიონში და მის მიდამოებში. დაზვერვებმა გვიჩვენა, რომ სოფლის ტერიტორია ფართოდ ყოფილა ათვისებული ბრინჯაოს ხანიდან, განსაკუთრებით კი ადრე და შუაფეოდალურ ხანაში, რაზედაც მიუთითებს აქ არსებული ვრცელი სამაროვნები. არც გვიან შუა საუკუნეებში შეწყვეტილა აქ ცხოვრება — სოფლის სხვადასხვა ადგილას მიკვლეულია ამ ხანის საწნახლები, ნამოსახლარების ნაშთები და სხვ. სოფლის მიდამოებში სხვადასხვა დროის რამდენიმე ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი. როგორც ჩანს, ლეკიანობას უნდა გამოეწვია სოფლის გაუკაცრიელება XVIII ს. ბოლოსათვის[2].

გაკვირვებას იწვევს არქეოლოგიურ ძეგლთა სიმრავლე სოფლის ტერიტორიაზე. მთელი სოფელი თითქოს ფეოდალური ხანის სამაროვანზეა გაშენებული. აქაური მცხოვრებლები თავიანთ ეზოებში მიწის სამუშაოების დროს ძველ ნივთებს პოულობენ. რამდენიმე ეზოში დაუნგრევიათ სამარხი ქვაყუთები. ორი დაზიანებული ქვაყუთი გავთხარეთ სოფლის მკვიდრ ილია კუპატაძის ეზოში. იქვე და მის მომიჯნავე ალ. კუპატაძის ეზოშიც რამდენიმე მსგავსი ქვაყუთი დანგრეული და განადგურებული დაგვხვდა. ქვაყუთები დანგრეულა ორასიოდე მეტრის დაშორებით, სოფლის მაღაზიასთან, გზის გაფართოების დროს. იქვე ახლოს, გზის მეორე მხარეს, სკოლის უკან, სადაც ამჟამად სპორტული მოედანია მოწყობილი, უზარმაზარი ლოდებია წრიულად განლაგებული. ეს ლოდებიც, ალბათ, რაღაც არქეოლოგიურ ძეგლთან უნდა იყოს დაკავშირებული.

სამარხი ქვაყუთებია, აგრეთვე, მდინარე შულავერის მარჯვენა ნაპირზე, სოფლის სამხრეთით, გაღმა მხარეს. აქ მდინარის მაღალ ჩამოშლილ ნაპირზე კარგად ჩანს თხელი ფლეთილი ქვისაგან ნაგები ფეოდალური ხანის სამარხები.

კიდევ უფრო ზევით, ადგილ „ზარგლის ქარაფაზე" ნამოსახლარი უნდა ყოფილიყო. აქ მოზრდილი ქვევრებია ჩამტვრეული და ბათქაშის ფრაგმენტები ჩნდება.

მძლავრი სამაროვანია სოფლის ეკლესიის მიმდგომ ტერიტორიაზე. სოფ. სიონის ღვთისმშობლის პატარა ეკლესია სოფლის განაპირას, ჩრდილო-დასავლეთით, მთაზე დგას. XIX საუკუნეში შეკეთებული დარბაზული ტიპის ეს საყდარი ბალავრის ქვის წარწერის მიხედვით XVII საუკუნის შუა ხანებში ჩანს აგებული[3]. აქვე მდებარეობს სოფლის თანამედროვე მოქმედი სასაფლაო. სწორედ ამ სასაფლაოსკენ მიმავალი გზის გაყვანის დროს ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე ფართობზე ბულდოზერს სამარხი ქვაყუთები დაუნგრევია, რომელთა კედლის ქვებიცა და კერამიკის წვრილი ფრაგმენტებიც გზის ნაპირებზე იყო მიხვეტილი. ამას გარდა, ადგილობრივ მკვიდრთაგან შევიტყვეთ, რომ დღევანდელ სასაფლაოზე მიწის თხრის დროს ძველ ნივთებს პოულობენ ხოლმე; ხოლო ერთხელ, როგორც ჩანს, ძველ სამარხსაც წასწყდომიან. სამწუხაროდ, იქ აღმოჩენილი ინვენტარი — თიხის ქოთნები, ფიალა, რკინის ცული და სხვა იარაღი ხელმეორედ ჩაუმარხავთ ახალ საფლავში. 1978-79 წლებში ექსპედიცია გათხრებს ამ, ე. ი. ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე სამაროვანზე (ფაქტიურად კი სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე) აწარმოებდა. ამ უბნის გახსნაც

---

[2] დ. ბერძენიშვილი, ქვემო ქართლი (მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობა), „ძეგლის მეგობარი", № 30, თბ., 1972, გვ. 20.

[3] დ. ბერძენიშვილი, სოფ. სიონის ისტორიიდან, გვ. 4, 5.

ობიექტური მიზეზით იყო განპირობებული: აღნიშნულ გზაზე ინტენსიური მოძრაობისა და გადარეცხვის შედეგად გამოჩენილიყო ადრე დაზიანებული სამარხების მანიშნებელი ქვები, ხოლო ერთგან — ქვაყუთის კონტურიც კი. აშკარა გახდა, რომ ამ ნაწილობრივ დანგრეულ-დაზიანებულ სამარხებს სრული განადგურება ელოდა და ამიტომ საჭირო იყო მათი შესწავლა. სულ აქ 14 ქვაყუთი გაითხარა, რომელთა დახასიათება ქვევით გვექნება. ამჟამად კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ გათხრები აქაც, ისევე, როგორც „ფარეხებზე“, საკმაოდ შეზღუდულად მიმდინარეობდა — ვსწავლობდით მხოლოდ გზაზე მოხვედრილ დაზიანებულ სამარხებს. სამწუხაროდ, სამაროვნის ტერიტორიის განსაზღვრა ვერ მოხერხდა, თუმცა აშკარაა, რომ მას საკმაოდ დიდი ფართობი უკავია.

დაბოლოს, განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ სოფ. სიონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ძეგლი, ადგილი „ფარეხები“ (საიდანაც მომდინარეობდა შემთხვევით აღმოჩენილი ინვენტარი). სწორედ აქ დავიწყეთ პირველად მუშაობა. მუშაობის პირველ წელს ექსპედიციას კონკრეტული მიზანი ჰქონდა დასახული — შემთხვევით აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსის ადგილის მოსინჯვა სამაროვნის არსებობის დასადგენად და, თუ ასეთი აღმოჩნდებოდა, მისი იმ ნაწილის გათხრა, რომელსაც ხუდისწყლის მოქმედების შედეგად პირველ რიგში ემუქრებოდა განადგურება. ამ მიზნით, ადგილ „ფარეხებზე“, ხუდისწყლის მარცხენა ნაპირზე, ფლატის პირას გავლებულ იქნა 8 მეტრის სიგრძისა და 4 მ სიგანის თხრილი, რომელშიც ხვდებოდა შემთხვევით ნაპოვნი სამარხის ნაალაგევიც. ამ ადგილზე გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნის არსებობა პირველსავე (1974) წელს დადასტურდა, როცა სულ პატარა ფართობზე ორი ორმოსამარხი გაითხარა. სულ კი გვიანბრინჯაოს ხანის 9 სამარხია გათხრილი.

შემდგომ წელს ექსპედიციამ აქ ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარი გამოავლინა, როცა აღნიშნული პერიოდის მრავალრიცხოვან ნაწარმთან ერთად ქვისკედლიანი ნაგებობის ფრაგმენტიც გათხარა. აქვეა მიკვლეული და შესწავლილი შუაბრინჯაოს ხანის ერთი სამარხიც. როგორც ვხედავთ, სოფ. სიონში ადგილ „ფარეხებზე“ საქმე გვაქვს ორ (თუ არა მეტ) ფენიან ძეგლთან.

მოულოდნელი იყო სიონში, ადგილ „ფარეხებზე“ ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარის აღმოჩენა. გათხრების პირველსავე წლებში მოპოვებულმა მასალამ მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო შედეგები მოგვცა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით სიონის ნამოსახლარზე ბევრი რამ არის კიდევ დასადგენი (დასაზუსტებელია ნასოფლარის გავრცელების საზღვრები — დღეისათვის გათხრილია ნამოსახლარის მხოლოდ მცირე ნაწილი, გამოსავლენია ნაგებობათა გეგმარება, ურთიერთკავშირი და სხვ.), იმდენად საინტერესო და თავისებური ჩანს აქ მიკვლეული ძეგლი და მასზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, რომ მისი წინასწარულად შესწავლაც კი უკვე ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას სვამს საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის წინაშე. გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება სიონში გათხრილი ბრინჯაოსა და რკინის ხანის სამარხების ინვენტარიც.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სიონის არქეოლოგიური ძეგლების მონაპოვრის პუბლიკაცია — აქ მოპოვებული მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში გადაუდებელი შეყვანა.

ნაშრომი შესრულებულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. ნაშრომის შესავალი ეკუთვნის თ. კიღურაძეს და მ. მენაბდეს, პირველი თავი — თ. კიღურაძეს, მომდევნო თავები — მ. მენაბდეს. გრაფიკული ილუსტრაციები შეასრულეს ლ. ჯიქური-შვილმა, ნ. ებრალიძემ და ზ. ტიტვინიძემ, ფოტოები — თ. კიღურაძემ და ნ. ან-დრონიკაშვილმა.

# ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარი

ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარი, ფაქტიურად, შემთხვევით და სრულიად მოულოდნელად იქნა აღმოჩენილი. როგორც აღვნიშნეთ, სიონში არქეოლოგიური გათხრების დაწყებისას ექსპედიციის მიზანი იყო გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნის გამოვლენა და მისი იმ ნაწილის გათხრა, რომელსაც მდ. ხუდისწყლის მოქმედების შედეგად განადგურება ემუქრებოდა. ამ მიზნით, მდ. ხუდისწყლის მარცხენა ნაპირზე გაივლო 32 კვმ ფართობის საცდელი შურფი. თხრილში, შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ნაალაგევის გარდა, კიდევ ორი ორმოსამარხი გაითხარა.

აღსანიშნავია, რომ საცდელი თხრილის შუა ნაწილში ქვის „ყორე“ ჩნდებოდა, თავდაპირველად ქვების ეს წყება სამარხებთან დაკავშირებულად ჩავთვალეთ და ზედა ნაწილში ქვების 4—5 წყება ავიღეთ, რის შემდეგაც მან საკმაოდ სწორხაზოვანი მოხაზულობა მიიღო და დაახლოებით 1 მ სიგანის ზოლად გასდევდა თხრილს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სიონში მუშაობის პირველ წელს გაუგებარი დარჩა ქვის ამ წყობის დანიშნულება, ისევე, როგორც არქაული იერის ობსიდიანისა და კაჟის ლამელა-ანატკეცებისა თუ იარაღების წარმომავლობა, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით მთელ გათხრილ ფართობზე ჩნდებოდა.

შემდეგ წლებში გათხრების მასშტაბი შედარებით გაიზარდა, რამაც საშუალება მოგვცა გაგვერკვია ძეგლის ხასიათი და რაობა. წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ აქ ჩატარებული მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ ბრინჯაოს ხანის სამაროვანი გამართულია ოდესღაც აქ არსებული ადრესამიწათმოქმედო ნასოფლარის ტერიტორიაზე, სადაც ინტენსიური ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვალი შეინიშნება ფეოდალურ ხანაშიც.

პირველი, 1974 წლის მუშაობამ არქაული იერის მხოლოდ უმნიშვნელო მასალა მოგვცა, რომლის წარმომავლობაც საკვლევი იყო, მაგრამ ამ მცირე „კოლექციამაც“ თავიდანვე მიიპყრო ჩვენი ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ არქაული იერის კერამიკა და ქვის მასალა ნაპოვნი იყო არეულ ფენაში, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლისა და შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტებთან ერთად. ადრეული იერის მასალაში აღსანიშნავია ნამჯანარევი თიხის ჭურჭლის, ქარსნარევი პორებიანკეციანი ჭურჭლისა და მცირემინარევიანი ვარდისფრად გამომწვარი საგულდაგულოდ გაპრიალებულზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, აგრეთვე ღია ფერის ფრაგმენტები კეცში დანაყილი ობსიდიანის მინარევით და გაპრიალებული ზედაპირით (აღნიშნული კერამიკა კორპუსის უსახო ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი). განსაკუთრებით საგულისხმო იყო ობსიდიანის ის მცირე მასალა — 16 ანატკეცი და 8 ლამელა, რომელთა უმრავლესობაც გამოყენებისა თუ დამუშავების კვალს ატარებს




ნახ. 1. „ფარეხები“. გათხრილი ფართობის გეგმა და ჭრილები

(მათ შორისაა ერთი ლამელაზე გაფორმებული, მშვენივრად დამუშავებული ბოლოსაფხეკი, ერთი მიკროსაჭრისი, გვერდამოღარული ლამელა და სხვ.), რომელიც კიდევ უფრო აძლიერებდა ინტერესს ამ კერამიკის და შესაბამისი ფენის ძიებისადმი.

1975 წელს გათხრები გაფართოვდა დასავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით. დასავლეთით გაგრძელებაზე ძველ და ახალ თხრილებს შორის დატოვებულ იქნა დაახლოებით 80 სმ სიგანის უღელი. გათხრები გაგრძელდა ძირითადად ხუდის წყლის გაყოლებაზე. დასავლეთით გაგრძელებაზე გამოჩნდა ქვის კედელი, რომელმაც პრეპარაციის შედეგად გარკვეული მიმართულება მიიღო (ტაბ. I).

აღნიშნული კედელი, სავარაუდოა, ეკუთვნოდეს მომრგვალო მოყვანილობის ნაგებობას, რომლის დიდი ნაწილიც ხუდისწყალს მოურღვევია. გადარჩენილია ნაგებობის ერთი სექტორი. გათხრილი კედელი, რომელიც საშუალოდ ერთი მეტრი სიგანისაა, ოდნავ მორკალულია. იგი ნაშენებია მშრალი წყობით — გვერდებზე მასიური ქვებია დაწყობილი, შუა ნაწილი კი წვრილი ქვითა და ზოგჯერ ღორღითაა შევსებული. კედლის შერჩენილი ნაწილი ორ ადგილას იყო გაწყვეტილი. ერთ-ერთი წყვეტილი, დასავლეთით განაპირას მდებარე, შუაბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხის მიერაა „წარმოქმნილი", მეორე წყვეტილი კი სავარაუდოა, რომ ნაგებობაში შესასვლელი კარისა იყოს. ნაგებობის გარკვეულ ნაწილში შეინიშნებოდა მოტკეპნილი და მოლესილი თიხის იატაკი, რომელიც ცენტრალურ ნაწილში ცეცხლის მოქმედების შედეგად მომწვარი იყო.

1975 წელს ვერ დასრულდა აღნიშნული ნაგებობის საბოლოო გათხრა. მომდევნო 1976 წელს გათხრები კიდევ უფრო მეტად გაფართოვდა დასავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით, ისე რომ, გათხრების საერთო ფართობმა 200 კვმ გადააჭარბა. გათხრილი და გასათხრელი ფართობი მთლიანად დავკვალეთ და დავაკვადრატეთ 20×20 მ კვადრატებით, რომლებიც შემდეგ დაიყო 2×2 მ კვადრატების ბადით[1]. დონეების ასაღებად დავსვით პირობითი რეპერი, რომელიც დავუკავშირეთ მყარ რეპერს — ჩვენი გათხრების მახლობლად ჩრდილო-დასავლეთით მდებარე კლდის გამოსავალს. გათხრებს ვაწარმოებდით მეტნაკლებად ჰორიზონტალურ ფენებად. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სიონში, ადგილ „ფარეხებზე" მეტად ძნელი სამუშაო გრუნტია — ნიადაგი ღორღნარევია და ბრექჩიისებურად მონოლითურ მასადაა შეკრული — ამის მიზეზი უნდა იყოს კალციუმის დიდი შემცველობა მთის კალთებიდან ჩამორეცხილ ღორღში, როგორც ამაზე მიუთითა დ. თუშაბრამიშვილმა.

1976 წელს პირველ რიგში გაითხარა ნაგებობის გადარჩენილი ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთ „კუთხეში" შერჩენილი შემაღლებული ნაწილი. სწორედ აქ მივიღეთ საკმაოდ ნათელი სტრატიგრაფიული სურათი — მიწის ზედაპირიდან 0,5—0,6 მ სიღრმეზე ჩნდებოდა ფეოდალური ხანის კერამიკის მცირერიცხოვანი ფრაგმენტები, რომელთა შორისაც ურევია მოჭიქული ეგზემპლარებიც. შემდეგ მოდიოდა 0,2—0,3 მ სისქის ფხვიერი, ნაცროვანის მაგვარი ფენა, რომელშიც იშვიათად გვხვდებოდა როგორც ფეოდალური, ისე ადრესამიწათმოქმედო ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. უფრო ქვეშ კი მდებარეობდა

---

[1] მანამდე 2 × 2 მ კვადრატებად მხოლოდ ცალკეული შურფები იყო დაკვადრატებული.

მოშავო მიწის ფენა, რომელიც მხოლოდ ადრეულად — ადრესამიწათმოქმედო კერამიკის ფრაგმენტებსა და ობსიდიანისა და კაჟის ნაწარმს შეიცავდა.

მას შემდეგ, რაც ეს შემაღლებულად დარჩენილი ფართობი გაუსწორდა ადრე გათხრილ ფართობს, დავიწყეთ აღნიშნული ნაგებობის გადარჩენილი ნაწილის ჯერ აღმოსავლეთი, ხოლო შემდეგ დასავლეთი ნახევრის ჰორიზონტალურ ფენებად აღება. 15—20 სმ სისქის შრის აღების შემდეგ საშუალოდ — 1,50 მ ნიშნულზე, ზოგიერთ ადგილას (მაგრამ არა მთელ გათხრილ ფართობზე) გაიწმინდა უხეშად მოტკეპნილი იატაკის ფრაგმენტები, რომელიც ერთ ადგილას ცეცხლის ძლიერი მოქმედების შედეგად გაწითლებულ-გამომწვარიც იყო. ეს მოტკეპნილი იატაკი 1975 წელს გათხრილ ასეთსავე იატაკზე 10—15 სმ უფრო დაბლა მდებარეობდა, რაც გვავარაუდებინებს იატაკის სულ მცირე ორი სხვადასხვა დონის არსებობას. ამ იატაკის ქვეშ 10—20 სმ სისქეზე ფენა ჯერ კიდევ მძლავრად იყო გაჯერებული კულტურული ნაშთებით — ცხოველის ძვლებით, კერამიკის ფრაგმენტებითა და ობსიდიანის მასალით, უფრო ქვეშ მდებარე ფენა კი კულტურულ ნაშთებს მეტად მცირე რაოდენობით შეიცავდა.

ნაგებობის დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში B — 64, 65 კვადრატებში — 1,9 დონეზე გამოჩნდა წრიული მოყვანილობის ორმო, რომელიც გრუნტშია ამოღებული. ორმო ქვებით იყო ამოვსებული. ქვების ქვეშ იდო მსხვილფეხა რქოსანის (ხარის ?) თავის ქალას (რქებითურთ) ნაშთი, რომელიც ცუდად იყო შენახული. იქვე, ოდნავ უფრო დაბლა აღმოჩნდა ფრაგმენტირებული თიხის პურპლის ნახევარი. ორმოს ძირი ჩადის — 2,30 მ დონეზე (ნახ. 1, ტაბ. III).

ნაგებობის კედელი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ორ ადგილას იყო გაწყვეტილი. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც შესასვლელი ჩანს გაჭრილი, აღმოჩნდა სავარაუდო ზღურბლის ქვა, რომელიც მოტკეპნილი ქვედა იატაკის დონეზე — 1,50 მ-ზე მდებარეობდა. სამწუხაროდ არ გაიწმინდა, საერთოდ არ ჩანს აღნიშნული ნაგებობის დასავლეთი კედელი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ჩაჭრილი იყო 1975 წ. გათხრილი შუაბრინჯაოს ხანის სამარხის მიერ. ამ მხრივ სასურველი შედეგი ვერც გათხრების დაჴავლეთით გაფართოებამ მოგვცა, სადაც რაღაც ქვის სხვა წყობის ნაშთი გამოჩნდა.

აღნიშნული ნაგებობა, რომელსაც მივეცით № 1, ერთადერთი არ არის. მსგავსივე მორკალული კედლის ფრაგმენტი აღმოჩნდა 1975—1976 წლებში გათხრილ ე. წ. აღმოსავლეთ შურფშიც, სადაც ასევე მრავლად იყო არქაული მასალა კერამიკის, ობსიდიანისა და ცხოველის ძვლების სახით.

1977 წელს გავაფართოვეთ ჩრდილოეთის და ნაწილობრივ აღმოსავლეთის მიმართულებით 1974 წელს გათხრილი I საკონტროლო თხრილი. როგორც აღნიშნული გვქონდა, ამ თხრილში თავიდანვე გამოჩნდა რიყის ქვის წყობა, რომელიც თავდაპირველად სამარხებთან დაკავშირებული გვეგონა, მაგრამ იმავე წელსვე დადგინდა, რომ ამ წყობას სამარხებთან კავშირი არ ჰქონია. აღნიშნული წყობის გაგრძელებაზე A — 0,4, 05, 95, 96, 86 კვადრატებში მიწის ზედაპირიდან საშუალოდ 0,8 მ სიღრმეზე გამოჩნდა მოზრდილი ქვებით ნაგები კედელი, რომელიც ოდნავ მორკალულად, თითქმის სწორხაზოვნად მიემართება სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე. ესაა კედელი № 2, რომლის დიდი ნაწილიც შედის ჯერჯერობით გაუთხრელ ფართობში, უკვე გაწმენდილი ნაწილის სიგრძეა 6,20 მ (1974 წ. მონგრეული ნაწილის გარეშე), სიგანე — საშუალოდ 0,80 მ. ეს კედელი № 1 კედლის მსგავსია აგების ტექნიკით, მაგრამ მისგან განსხვავებით

უფრო ღრმად ზის მიწაში და ამასთანავე მისი ზედა ნაწილი გადანგრეულიცაა. № 2 კედელი დახრილია — დაქანებულია როგორც ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით — რელიეფის შესაბამისად, ისე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ — № 1 კედლის მსგავსად. № 2 კედელი ჯერჯერობით ძირამდე არ არის გაწმენდილი. როგორც კედელში, ისე მის გარშემო ამოდიოდა არქაული კერამიკა, ობსიდიანი და კაჟი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საგრძნობლად უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე № 1 ნაგებობის კედელთან.

№ 2 კედლისაგან დასავლეთით, დაახლოებით 0,4—0,5 მ მანძილზე, ამ კედლის პარალელურად იდო მასიური ქვებისაგან ნაგები (რომელთა შორისაც წვრილი ქვები იყო გაჩედილი) კედლის ფრაგმენტი. ამ ორი კედლის ერთმანეთთან დაკავშირება ძალიან ძნელია; ერთი რამ ცხადია, რომ ისინი ორი სხვადასხვა კედელია, შესაძლოა სხვადასხვა პერიოდისაც. ეს უკანასკნელი განსხვავდება № 1 ნაგებობის კედლისაგან აგების ტექნიკით და ემსგავსება B—17, A—07, 97 კვადრატებში გამოჩენილ კლდის ქანისაგან ნაგები კედლის ფრაგმენტს, რომელიც მორკალულად მიემართება და შედის ჩრდილოეთით — გაუთხრელ ფართობში (და ემიჯნება ამ უკანასკნელს, ოღონდ უფრო დაბალ დონეზე მდებარეობს; ტაბ. IV).

№ 1 და № 2 ნაგებობებს შორის ფართობზე თითქმის ყველგან ჩნდებოდა ადრესამიწათმოქმედო მასალა, მაგრამ სხვა რამ სათავსოს კვალი არსად არ შეგვხვედრია (იხ. ნახ. 1).

როგორც აღნიშნული გვქონდა, ადრესამიწათმოქმედო მასალა მეტნაკლები ინტენსივობით მთელ გათხრილ ფართობზე გვხვდება; აქედან გამომდინარე — ადრესამიწათმოქმედო ფენაც მთელ გათხრილ ფართობზეა გავრცელებული. სამწუხაროდ, ეს ფენა ძლიერაა დაზიანებული მოგვიანო ხანის სამარხებით — გათხრილ ფართობზე მდებარეობდა შუაბრინჯაოს ხანის და გვიანბრინჯაოს ხანის 10 სამარხი. ამას ემატება ფეოდალური ხანის აქტიური მოქმედების კვალი და სულ უკანასკნელ ხანებში საღორეებისა და ფარეხების მშენებლობა აღნიშნულ ტერიტორიაზე, აგრეთვე ხუდის წყლის დამანგრეველი მოქმედება. ყოველივე ეს ხელს უშლის ადრესამიწათმოქმედო ფენის გავრცელების ნათელი სურათის მიღებას.

ადრესამიწათმოქმედო ფენა გათხრილ ფართობზე, ჩრდილოეთით ბევრად უფრო მაღლა ამოდის და თხელია, ვიდრე სამხრეთით — ე. ი. ხუდის წყლისკენ ფენის სისქე მატულობს და ერთ მეტრზე მეტი სიმძლავრისაა.

№ 1 ნაგებობაშიც, სადაც ყველაზე კარგად, თითქმის უძრავადაა აღნიშნული ფენა, იგი ბევრად უფრო ღრმად ჩადის, ვიდრე თვით ნაგებობის ქვის კედელი, (ტაბ. II).

ყოველივე ზემოთ თქმული გვავარაუდებინებს, რომ სიონის ნასახლარზე შეიძლება საქმე გვქონდეს ნახევრად მიწურებთან, რომლებიც უკანა მხარით ნაწილობრივ მიწაში იჯდა. ნაგებობებს ქვის საძირკველი ჰქონდა, რომელზედაც ალიზის კედელი უნდა მდგარიყო. რა თქმა უნდა ჯერჯერობით ეს მხოლოდ ვარაუდია, რომელიც შემდგომ შემოწმებას საჭიროებს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — მსგავსი არქიტექტურა არ გვხვდება ამიერკავკასიის სადღეისოდ ცნობილ არც ერთი ადრესამიწათმოქმედო ძეგლზე, თუ არ ჩავთვლით თეთრიწყაროს ნამოსახლარის ქვედა ფენაში გამოვლენილ ქვის წრიულკედლიანი ნაგებობის

ფრაგმენტებს[2], რომლის დათარიღებაც წინამტკვარარაქსული ხანით დაბეჯითებით გადაჭრილი არ არის. კიდევ უფრო მეტად საეჭვო და სადისკუსიოა შენგავითის ქვედა ფენის ზოგი ავტორის მიერ შემოთავაზებული თარიღი[3], ენეოლითურად, ე. ი. მტკვარ-არაქსის კულტურის წინა პერიოდით დათარიღება ამ ფენისა, სადაც აგრეთვე გვხვდება ქვის წრიული ნაგებობანი. კავკასიაში ერთი უეჭველად ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარია — გინჩი მთიან დაღესტანში, სადაც სიონის ანალოგიური ქვის წრიული კედლებია დადასტურებული[4]. ქვის სახლები (თუ ქვის საძირკვლიანი სახლები) ფართოდ ვრცელდება ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდიდან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების მხოლოდ ცალკეულ ზონებშია დადასტურებული ქვის საძირკველზე ამოყვანილი კედლები[5]. საერთოდ ქვის კედლებიანი ნაგებობები მახლობელ აღმოსავლეთში უძველეს ხანებიდან ჩნდება ალიზის არქიტექტურის პარალელურად. მაგალითად, პალესტინაში ნატუფის კულტურის უძველეს ნამოსახლარებზე (ეინანი[6], იერიქონის ქვედა ფენა[7]), უკერამიკო ნეოლითის ძეგლ ხიროკიტიაზე კვიპროსზე[8], ასევე უკერამიკო ნეოლითის ნამოსახლარ ტალ-მაგზალიაზე ერაყში[9], და ბევრგან სხვაგან გვხვდება ქვის არქიტექტურა, რომელიც სხვადასხვა ტერიტორიებზე განაგრძობს არსებობას ყველა მომდევნო ეპოქაში.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ სიონში ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ერთ ფენასთან გვაქვს საქმე, რომელიც წარმოდგენილია ერთი, მაქსიმუმ ორი სამშენებლო ჰორიზონტით. სავსებით ერთგვარია მთელ გათხრილ ფართობზე მოპოვებული მასალა — როგორც სხვადასხვა შურფებიდან მომდინარე, ისე ნაგებობის შიგნით თუ მათ გარეთ აღმოჩენილი. აღნიშნულის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასალის მთლიანობაში, ერთობლივ განხილვა. ამის საფუძველს გვაძლევს აგრეთვე ერთი გარემოება — № 1 ნაგებობაში, როგორც აღნიშნული გვქონდა, იატაკის ორი სხვადასხვა დონე დადგინდა: ამ ორ იატაკს შორის აღმოჩენილი მასალა ავიღეთ განმსაზღვრელად, სანიმუშოდ. სხვაგან მოპოვებული მასალის მასთან შედარებამაც იგივე დასკვნამდე მიგვიყვანა.

მონაპოვარში ყველაზე მრავალრიცხოვანი კერამიკაა, რომელიც მთლიანად ხელითაა ნაძერწი. ჩვენც პირველ რიგში მას დავახასიათებთ.

თიხის ჭურჭელი ძირითადად მცირე ზომის ნატეხებითაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, სიონის მასალაში ჯერჯერობით არც ერთი მთელი ჭურჭელი აღდგენილი არ არის. მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როდესაც აღდგა ჭურჭლის პირ-

---

2 გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს ნასოფლარი, თბ., 1978.

3 С. А. Сардарян, Первобытное общество в Армении, Ереван, 1967; სომხურ ენაზე, ვრცელი რუსული და ინგლისური რეზუმეებით.

4 М. Г. Гаджиев, Новые данные о южных связях Дагестана в IV—III тысячелетиях до н. э., КСИА, вып. 108, М., 1966, с. 55—61.

5 А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тбилиси, 1973, с, 229—236.

6 В. М. Массон, Поселение Джейтун, МИА, № 180, Л., 1971, с. 118.

7 Б. Брентьес, От Шанидара до Аккада, М., 1976, с. 44.

8 А. Л. Монгайт, Археология Западной Европы, М., 1973, с. 217.

9 Н. О. Бадер, Телль Магзалия—ранненеолитический памятник на севере Ирака, СА, 1979, № 2, с. 122.




ნახ. 2. ადრესამიწათმოქმედო ფენის კერამიკა




ნახ. 3. ადრესამიწათმოქმედო ფენის კერამიკა

გვერდის მოზრდილი ფრაგმენტი და ორიოდე შემთხვევაა მეტ-ნაკლებად მოზრდილი ფრაგმენტების აღდგენისა. ამის გამო ჭირს ჭურჭლის ფორმების შესახებ ზუსტად მსჯელობა, მაგრამ მეტ-ნაკლებად მოზრდილი ნატეხების საშუალებით შესაძლებელია წარმოდგენა ვიქონიოთ ძირითად ფორმებზე, მით უმეტეს, რომ აქაური ჭურჭლის ფორმები დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა და მარტივია. აქ უმეტესად გავრცელებული ჩანს ოდნავ პირგადაშლილი დაბალყელიანი გამობერილმუცლიანი ჭურჭლები (ნახ. $2_{3,4,13,14}$; ნახ. $3_{5,7,9,11,12}$). აქვეა მაღალყელიანი, სწორ ან გადაშლილპირიანი ჭურჭლები (ნახ. $2_{2,5,6,7,10,12,17,21}$; $3_{1,3,6,10,13-16}$). გვხვდება აგრეთვე პირმოყრილი ქილების ფრაგმენტები (ნახ. $2_{8,15,16,19}$). ჯერჯერობით ერთადერთი ჩანს ჯამისებური ჭურჭლის ფრაგმენტი (ნახ. $2_{9}$), რომელიც სხვა მხრივაც გამოიყოფა სიონის კერამიკაში.

ზოგადად დავახასიათებთ სიონის ნამოსახლარის თიხის ჭურჭელს.

სიონის ნამოსახლარის თიხის ჭურჭელი კარგადაა გამომწვარი, კეცი ხშირ შემთხვევაში ორფეროვანია — ძირითადად შიდა მხარე შავი, გარეთა ნახევარი კი მოვარდისფროა. გვხვდება სამფეროვანი — გარედან და შიგნიდან მოწითალო (ღია ფერისა), შუაში კი მოშავო. იშვიათია ერთფერად, თანაბრად გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტები. თიხის ჭურჭლის ზედაპირი უმეტეს შემთხვევაში მოყავისფრო მოვარდისფროა, ხშირია მურა-მოყავისფრო ფერიც. იშვიათად გვხვდება აგურისფრად კარგად გამომწვარი ჭურჭლები, ზოგიერთ ჭურჭელს შავი ფერის ზედაპირი აქვს, ზოგიერთს კი ზედაპირიცა და შიდაპირიც. გვხვდება ვარდისფერი, კარგად გაპრიალებულ შიდაპირიანი და ლეგა ზედაპირიანი ფრაგმენტები, რომლებიც მტკვარ-არაქსის კერამიკას მოგვაგონებს.

აქაური ჭურჭლის კედლის სისქე საშუალოდ 0,8—1,0 სმ-ია, იშვიათად გვხვდება უფრო სქელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. ერთეული ნატეხებია თხელკედლიანი (დაახლოებით 0,4—0,6 სმ სისქის) ჭურჭლებისა. ვიზუალური განსაზღვრით, სიონის კერამიკის თიხაში გასამჭლევებლად შერეულია როგორც არაორგანული, ისე ორგანული ნივთიერებანი — სილა, სხვინჭა, დანაყილი ობსიდიანი, კირქვა, ქარსი, გაურკვეველი ორგანული მასა; იშვიათ შემთხვევაში კარგად შეიმჩნევა დაკეპილი ნამჯის ან ბზის მინარევი.

ჭურჭლების ზედაპირი უპირატესად კარგად მოგლუვებული და გაპრიალებულია. ხშირად გვხვდება თხელი ანგობით დაფარული და კარგად გაპრიალებულზედაპირიანი ნატეხები; გვხვდება მხოლოდ მოგლუვებულზედაპირიანი ფრაგმენტებიც. სიონის კერამიკის დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია ჭურჭლის ზედაპირზე, ზოგჯერ კი შიდაპირზეც, ჯერ კიდევ სველ თიხაზე სავარცხლისებური ნივთით, შესაძლოა ნაფოტითაც, დატანილი „უსისტემო ზოლები (ნახ. $2_{1-5}$), რომელიც ზოგჯერ გაპრიალების შედეგად თითქმის აღარ შეიმჩნევა, ზოგჯერ მოგლუვებულია, ზოგჯერ კი დაუმუშავებლადაა დატოვებული და ორნამენტად გვევლინება. სიონის მასალაში იშვიათად ჩანს შეთხუპნულზედაპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტები.

ნამოსახლარზე აღმოჩენილი ჭურჭლის პირები უმეტეს შემთხვევაში მომრგვალებულია (ნახ. $2_{7,11,13,14,18}$), თუმცა ხშირია ბრტყელი, ზემოდან წაკვეთილი პირებიც (ნახ. $2_{1-6,9,17}$; $3_{1,2,3,6,7,10,12,14-16}$), უფრო იშვიათად გვხვდება გათხელებული, შევიწროებული პირები (ნახ. $2_{8,10,15,19,21}$).

ყელიდან მხარზე გადასვლა უმეტესად არ გამოიყოფა, თანაბარია, მაგ-

რამ გვხვდება საგრძნობლად პროფილირებული ცალებიც (უმეტესად პირგადაშლილი ჭურჭლებისა), ზოგჯერ კარგად გამოსახული გარდატეხის ხაზით (ნახ. $2_{1,2,5,6,10,21}$; $3_{7,10,13-16}$).

გავრცელებული ჩანს უპირატესად ბრტყელძირა ჭურჭლები, დაბალქუსლიანი ან ბლაგვკუთხა გადასვლით კედელზე (ნახ. $2_{20}$). სავარაუდოა, ორიოდე ფრაგმენტი მომრგვალებულძირიან ჭურჭლებს ეკუთვნოდეს.

სიონის კერამიკას ფაქტიურად არ ახასიათებს ჭურჭლის კორპუსის შემკობა.

რელიეფური ორნამენტი — მოგლუვებულზედაპირიანი ჭურჭლის კედლის ფრაგმენტზე დატანილი ჰორიზონტალურად განლაგებული ნუშისგულისებური დანაძერწი — მხოლოდ ერთ შემთხვევაშია დამოწმებული (ნახ. $3_8$).

ასევე ერთადერთი შემთხვევაა ჭურჭლის კორპუსის ჭდეული ორნამენტით შემკობისა — დაბალყელიანი ჭურჭლის ფრაგმენტს ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილას ლერწმისა თუ ნამჯის ღეროთი მრგვალად ჩაჩხვლეტილი წრეების ჰორიზონტალური ზოლი მიუყვება. ამავე ფრაგმენტს პირი ირიბად დატანილი ნაჭდევებით აქვს შემკული (ნახ. $3_2$).

სამაგიეროდ სიონის კერამიკისათვის მეტად დამახასიათებელია ჭურჭლის პირების (ქობის) შემკობა სხვადასხვა სახის ორნამენტით.

ორნამენტირებული ჭურჭლის უმეტესობას პირი დაჭდეული აქვს ირიბი, ვიწრო და არაღრმა ნაჭდევებით (ნახ. $2_{1-3}$; $3_9$); გვხვდება სწორად დატანილი ჭდეებიც (ნახ. $3_{6,7}$). ხშირია ფართო და შედარებით ღრმა ირიბი ნაჭდევებიც (ნახ. $2_{4,5}$; $3_{10,15}$). ჭურჭლის პირების (ქობის) ნაჭდევებით შემკობა დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კერამიკისათვის[10], გავრცელებული ჩანს სამელე კლდის კერამიკაზე[11], გვხვდება შულავერ-შომუთეფეს კულტურის II საფეხურის ძეგლებზე (შულავერის გორა, გადაჭრილი გორა), უფრო მოგვიანო საფეხურებზე თითო შემთხვევაა იმირის გორაზე და დანგრეულ გორაზე[12]. შორი-შორს დატანილი ფართო ღრმა ნაჭდევებით შემკული პირები გვხვდება ძუძუანასა და სამერცხლე-კლდის ზედა (ენეოლითური) ფენების მასალებში[13], მეტად იშვიათად წოფში.

სიონის კერამიკის ერთ ნაწილს პირი შემკული აქვს სავარცხლისებური შტამპით ირიბად დატანილი ნაჭდევებით (ნახ. $3_3$), ერთ ნაწილს კი წმინდაწერტილოვან-ხაზოვანი ორნამენტით (ნახ. $3_{4,5}$). რამდენიმე ფრაგმენტზე შეინიშნება სხვადასხვა ტიპის ნაჭდევების თანაარსებობა.

რამდენიმე ჭურჭელს ბრტყელი პირი შემკული აქვს ქობაზე ზემოდან დატანილი წრიული ან ოვალური ღრმა და განიერი ფოსოებით. (ნახ. $3_{12,14,15}$). ჭურჭლის შემკობის ეს წესი დასავლეთ საქართველოს ნეოლითის გარდა კავკასიაში სხვაგან ჩვენთვის უცნობია. ამ ტიპის ორნამენტით შემკული სიონის

---

10 ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972.

11 Г. И. Джавахишвили, К истории раннеземледельческой культуры западного Закавказья, автореф. канд. дисс., Тб., 1971.

12 თ. კიღურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია,, თბ., 1976.

13 მასალა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში. მასალის გაცნობის საშუალება მოგვცა ლ. ჟორჟიკაშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

კერამიკა ახლო ანალოგიებს პოულობს ანასეული II[14] და გურიანთის[15] მასალებში.

კიდევ ერთი კატეგორია თიხის ჭურჭლებისა, რომლებიც აგრეთვე მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ კერამიკასთან პოულობს ანალოგიას — ესაა ჭურჭლები, რომელთაც დაკლაკნილი ქობა აქვთ, ზედხედში ტალღისებური: ჭურჭლის პირი თითით ან რაიმე ნივთით არის „ხერხის კბილებივით პირგადაყრილი“ (ნახ. $3_{11}$). მსგავსი „ორნამენტი“ ახასიათებს ანასეული II ჭურჭლებს[16].

ცხრილი 1

სიონში მოპოვებული ნატკეცი ქვის მასალის საერთო რაოდენობა

| №№ | დასახელება | ობსიდიანი | სხვა ქანი | საერთო რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | საფხეკები | 46 | 7 | 53 |
| 2 | სახოკები | 5 | 2 | 7 |
| 3 | საჭრისები | 41 | — | 41 |
| 4 | ხოჭები | 74 | — | 74 |
| 5 | სახვრეტები თუ ბურღები | 11 | 3 | 14 |
| 6 | „დანა“ | 3 | 2 | 5 |
| 7 | ნამგლის ჩასართი | — | 5 | 5 |
| 8 | „ნისკარტიანი“ იარაღი | — | 1 | 1 |
| 9 | კომბინირებული იარაღი | 6 | — | 6 |
| 10 | ნუკლეუსები | 7 | — | 7 |
| 11 | ნუკლეუსის ფუძის განივი ანატკეცი | 3 | — | 3 |
| 12 | ლამელა ორივეგვერდ და ბოლორეტუშირებული | 2 | 1 | 3 |
| 13 | ლამელა თავრეტუშირებული | 5 | 1 | 6 |
| 14 | ლამელა გვერდამოღარული | 19 | 1 | 20 |
| 15 | ლამელა გვერდდაკბილული | 4 | — | 4 |
| 16 | ლამელა ორმხრივი რეტუშით დაბლაგვებული ზურგით | 2 | — | 2 |
| 17 | ლამელა ზურგის მხრიდან „მცოცავი“ რეტუშით ათლილი | 18 | 1 | 19 |
| 18 | ლამელა გვერდრეტუშირებული | 96 | — | 96 |
| 19 | ლამელა ურეტუშო | 47 | 6 | 53 |
| 20 | ლამელა სასაჭრისე ჩამონატეხით | 10 | — | 10 |
| 21 | მიკროლამელა | 1 | — | 1 |
| 22 | ანატკეცი რეტუშით ამოღარული | 20 | 1 | 21 |
| 23 | ანატკეც-ანამტვრევები რეტუშირებული | 215 | 10 | 225 |
| 24 | ანატკეცი სასაჭრისე ჩამონატეხით | 4 | — | 4 |
| 25 | ანატკეცი ზურგდაბლაგვებული | — | 1 | 1 |
| 26 | სასაჭრისე ჩამონატეხები | 22 | — | 22 |
| 27 | ანატკეც-ანამტვრევები ურეტუშო | 516 | 34 | 550 |
| | სულ | 1177 | 76 | 1253 |

ამათ გარდა, გვხვდება ჭურჭლის პირები (ორიოდე ნატეხია), რომელთაც ტალღისებური ნაპირი აქვთ — მათ ქობაზე ალაგ-ალაგ თითით გამოყვანილი

[14] ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43, ტაბ. XIX, 7, 9, 10.
[15] იქვე, გვ. 61, ტაბ. XII, 2, 3.
[16] იქვე, გვ. 42, 43, ტაბ. XVIII, 2—6, XIX, 1—6.



ბიბლიოთეკა

ჩაღრმავებებია (ნახ. $3_1$). ზოგადი ანალოგიები მათ მოეძებნება ოდიშის მასალაში[17] და წოფში[18].

სიონის ნამოსახლარზე, უფრო ზუსტად, გათხრილ ფართობზე მოპოვებულ მასალაში საკმაოდ მრავალფეროვანია ნატკეცი ქვის მასალა. ჯერჯერობით აქ მოპოვებულია 1253 ერთეული ნატკეცი ქვის ინვენტარისა. მიუხედავად იმისა, რომ სიონში გათხრები ჯერ კიდევ გრძელდება, მაინც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოპოვებული მასალის რაოდენობრივი ანალიზის მოტანა. ნატკეცი ქვის მასალა ძირითადად ობსიდიანითაა — 93, 94% — წარმოდგენილი, სხვა ქანი (კაჟი, არგილიტი, ბაზალტი და ქალცედონი) მასალის საერთო რაოდენობის მხოლოდ 6,06% შეადგენს (იხ. ცხრილი № 1).

მასალის საერთო რაოდენობაში ჭარბობს ანატკეც-ანამტვრევები, რომელთა უმეტესობაც დაუმუშავებელია (550 ცალი), ე. ი. წარმოების ნაშთს წარმოადგენს. იარაღების დიდი ნაწილი გაფორმებულია ლამელებზე, მაგრამ გვხვდება ანატკეცებსა და ანამტვრევებზე ჩამოყალიბებული იარაღებიც*.

ნუკლეუსები სულ 7 ცალია და ფაქტიურად უტილიზებული, ამორფული ნალევებითაა წარმოდგენილი. აქვე არის ნუკლეუსის გაცოცხლების შედეგად მიღებული განივი ანატკეცები (3 ცალი), რომელთაგან ერთიც შემდეგში რეტუშირებული — ამოღარულია.

ანატკეცები გვხვდება როგორც მასიურები (იშვიათად), ისე საშუალო ზომისა და წვრილები (ხშირად). ანატკეცების ერთ ნაწილს რეტუშის საშუალებით გვერდი ან ბოლო ამოღარული აქვს (21 ცალი). 4 ანატკეცს უხეირო, წარუმატებელი სასაჭრისე ჩამონატეხი აქვს. ანატკეცების კატეგორიაშია გაერთიანებული საჭრისის გაკეთების შედეგად მიღებული ჩამონატეხები — სამკუთხა ან ტრაპეციის განივკვეთიანი სასაჭრისე ჩამონატეხები (22 ცალი). ანატკეცებისა და ანამტვრევების დიდ ნაწილს ეტყობა რეტუშისა თუ გამოყენების კვალი (225 ცალი), უმეტესობა კი (550 ცალი), როგორც აღნიშნული გვქონდა, გამოუყენებელია — მეორადი დამუშავების კვალს არ ატარებს. ანატკეც-ანამტვრევებს და ლამელებს შორის გვხვდება კაჭრის კანიანი ეგზემპლარები.

ლამელები უპირატესად საშუალო სიგანისაა, და სწორი, წაგრძელებული დანისებური მოყვანილობით ხასიათდება. მიკროლამელა მხოლოდ ერთი ცალია. იგი სამფერდაა, თავბოლოგადამტვრეული, ზომები: 1,6×0,8×0.3 სმ. ლამელების მცირე ნაწილი ურეტუშოა, დაუმუშავებელია (53 ცალი), ათ ლამელას აქვს წარუმატებელი სასაჭრისე ჩამონატეხი. დანარჩენი რეტუშირებულია. სამ ლამელას ორივე გვერდი და ბოლო რეტუშირებული აქვს. ექვსი ლამელა ბოლორეტუშირებულია. ერთი მათგანი თავირიბრეტუშირებულია და ცალი გვერდიც ამოღარული აქვს (ზომები: 3,3×1,2 სმ), მეორე — თავირიბრეტუშირებულია, გვერდებზე კი ეტყობა გამოყენების კვალი (ზომები: 3,9×1,4 სმ), მესამე — კაჟისაა, სამფერდა, ვიწრო ბოლოზე ფაქიზად რეტუშირებულია (ზომები: 3,3×1,2 სმ), მეოთხე თავრეტუშირებული ლამელის ნატეხს წარმოადგენს, ორი ლამელა კი თავსწორრეტუშირებულია. ოთხი ლამელა რეტუშის საშუალებით გვერდდაკბილულია, 20 ლამელას კი ერთ ან რამდენიმე ადგილას

[17] ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ 56, ტაბ. XXXVI.4.

[18] К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970, с. 32, рис. 9:18.



ნახ. 4. ადრესამიწათმოქმედო ფენის ქვის ნაწარმი

გვერდი რეტუშის საშუალებით აქვს ამოღარული. ლამელების უმეტესობას (96 ცალი), ცალი ან ორივე გვერდი მთლიანად თუ ნაწილობრივ აქვს დამუშავებული. რეტუში სხვადასხვა ხასიათისაა, ზოგ შემთხვევაში დამაბლაგვებელია, ზოგჯერ კი წამამახვილებელი. რეტუში უმეტესად არათანმიმდევრულია, მაგრამ გვხვდება თანმიმდევრული რეტუშით ბეჯითად დამუშავებული ეგზემპლარები, ჩვეულებრივ რეტუში დატანილია მუცლის ან ზურგის მხრიდან. ფაქტიურად არ გვხვდება ურთიერთმონაცვლე სიბრტყეზე მდებარე რეტუში.

ცალკე გამოიყოფა ერთი მცირე ლამელა (ნახ. $4_{31}$), რომელსაც ცალი გვერდი ორმხრივ—მუცლისა და ზურგის მხარეზე მდებარე რეტუშის საშუალებით კუთხით აქვს გათლილი — „დაბლაგვებული" (ზომები: 2,6×0,9 სმ).

სიონის მასალაში ცალკე გამოიყოფა ლამელების ერთი სერია (19 ცალი — 18 ობსიდიანისა და 1 კაჟისა), რომელთაც ზურგი (მთლიანად ან დიდ ნაწილზე) ათლილი აქვს მცოცავი ან დაწოლილი რეტუშის საშუალებით (ნახ. $4_{9,10,21}$). მათი უმეტესობა დაზიანებულია — ნაკლულია. სწორედ დამუშავების ეს ხერხი, რომელიც ხშირად გვხვდება აგრეთვე საფხეკებზეც, მეტად თავისებურ სახეს აძლევს სიონის ნამოსახლარის ქვის ინდუსტრიას.

იარაღებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია სათლელისებური იარაღები (pièce éqaillée) ანუ ხოწები თუ მათი ნამზადები (74 ცალი). ყველა მათგანი ობსიდიანისაა. სათლელისებური იარაღები ნაკეთებია როგორც ლამელებზე, ისე ანატკეცებსა და ანამტვრევებზე. ამ იარაღების სამუშაო პირი ჩვეულებრივ ორმხრივ თხელი ფირფიტების ათლის საშუალებითაა გაფორმებული (ნახ. $4_{34-37}$), თუმცა გვხვდება ისეთი ეგზემპლარებიც, რომელთა სამუშაო პირიც მიღებულია მუცლის ან ზურგის მხრიდან დამუშავებით. ზოგიერთი ხოწი გატეხილია, ზოგი კი დაუმთავრებელია.

იარაღების მეორე დიდ ჯგუფს საფხეკები წარმოადგენს. სულ 53 საფხეკია ნაპოვნი, აქედან მხოლოდ შვიდია კაჟისა, დანარჩენი კი ობსიდიანისაა. საფხეკების უმეტესობა ლამელის ან ლამელისებური ანატკეცის ბოლოზეა ჩამოყალიბებული და ბეჯითი, საგულდაგულო დამუშავებით გამოირჩევა. საფხეკებს შორის გამოიყოფა რამდენიმე ქვეჯგუფი.

ა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საფხეკების ის ჯგუფი, რომელთაც ზურგის მხარე მთლიანად ან ნაწილობრივ დაწოლილი, ზოგჯერ მცოცავი რეტუშით აქვს ათლილი. ასეთი საფხეკი სულ რვა ცალია. რამდენადაც ეს იარაღები მეტად თავისებურ და დამახასიათებელ სერიას ქმნის, მოვიყვანთ ყველა მათგანის აღწერილობას. 1. საფხეკი ობსიდიანის ლამელის ბოლოზე ჩამოყალიბებული, თითქმის სწორი, ოდნავ ამოწეული სამუშაო პირით. იარაღის მთელი ზურგი თანმიმდევრული, შემხვედრი მცოცავი რეტუშითაა დამუშავებული — „ათლილი", გვერდები კი დამატებითი წმინდა რეტუშითაა შესწორებული (ზომები: 4,6×2,3 სმ, (ნახ. $4_{28}$). 2. საფხეკი კარგად გამოყვანილი ოვალური სამუშაო პირით, გაფორმებულია ობსიდიანის ლამელის ბოლოზე. ლამელის ზურგი თითქმის მთლიანად დაწოლილი რეტუშითაა დამუშავებული, მარჯვენა გვერდზე კი მუცლის მხრიდანაც თხელი ფირფიტების ათლის საშუალებითაა შესწორებული ზომები: 5,7×2,2 სმ, ნახ. $4_{26}$). 3. მაღალსამუშაოპირიანი საფხეკი ნაკეთები ობსიდიანის სქელი ლამელის ბოლოზე. ლამელის გვერდები მაღალი რეტუშითაა ზურგის მხრიდან დამუშავებული (ზომები: 5,3×1,7 სმ, ნახ. $4_{13}$). 4. იარაღი საგულდაგულოდ დამუშავებული ოვალური სამუშაო პირით, ნაკეთებია ობსი-

დიანის ორფერდა ლამელის ბოლოზე, რომელსაც ორივე გვერდი რეტუშირებული აქვს; აქედან თითქმის მთელი მარჯვენა ფერდი დაფარულია თანმიმდევრული მცოცავი რეტუშით, რომელიც შუა ნაწილში გადადის მეორე ფერდზეც (ზომები: 4,8×2,2×0,7 სმ, ნახ. $4_{17}$). 5. იარაღი ირიბად მომრგვალებული სამუშაო პირით, ჩამოყალიბებულია ობსიდიანის სამფერდა ლამელის ბოლოზე, რომლის მარჯვენა გვერდი ნაწილობრივ მცოცავი რეტუშითაა დამუშავებული, ნაწილობრივ კი ამოღარულია (ზომები: 4,5×1,8×0,6 სმ). 6. საფხეკი კარგად გამოყვანილი მომრგვალებული სამუშაო პირით, გაფორმებულია ორფერდა ლამელის ბოლოზე, რომლის ორივე ფერდი ნაწილობრივ მცოცავი რეტუშითაა დამუშავებული (ზომები: 2,9×2,4×0,6 სმ, ნახ. $4_{23}$); 7. საფხეკი დუბლირებული, ნაკეთები ობსიდიანის ლამელაზე, რომლის ორივე გვერდი რეტუშირებულია: მარჯვენა მხარეს ბრტყელი, ფართო რეტუშითაა „ათლილი“ მთელი წახნაგი, მარცხენა კი ნაწილობრივაა დამუშავებული თანმიმდევრული წნევითი რეტუშით. ლამელის ცალ ბოლოზე ჩამოყალიბებულია ირიბად მომრგვალებულსამუშაოპირიანი იარაღი, მოპირდაპირე ბოლოზე კი — ამოღარული საფხეკი (ზომები: 3,1×1,5 სმ); 8. საფხეკი ჩამოყალიბებული ობსიდიანის ლამელის ბოლოზე, მომრგვალებული, თითქმის სწორი სამუშაო პირით. ლამელის მარცხენა გვერდი წნევითი რეტუშითაა დამუშავებული, შემდეგ კი დამატებით წმინდა რეტუშით ამოღარულ-დაკბილულია. მარჯვენა გვერდიც თანმიმდევრული რეტუშითაა დამუშავებული (ზომები: 3,6×1,8).

მსგავსი საფხეკები საერთოდ უცნობია ჩვენთვის კავკასიის ტერიტორიაზე: არ გვხვდება ისინი არც შულავერის კულტურის წრის ძეგლებში, არც დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითში, არც სამელე-კლდეში, არც სამერცხლე-კლდესა თუ ძუძუანას ენეოლით-ადრებრინჯაოს ფენებში, არც მტკვარ-არაქსის კულტურაში. აქედან გამომდინარე ისინი გვევლინება ჯერჯერობით მხოლოდ სიონისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ელემენტად.

ბ. ო ვ ა ლ უ რ ს ა მ უ შ ა ო პ ი რ ი ა ნ ი ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი ყველაზე მეტია (30 ცალი), მათ შორის ექვსი კაჟისაა, ხოლო დანარჩენი ობსიდიანისა. ამ ტიპის საფხეკების უმეტესობა საგულდაგულოდაა დამუშავებული. მათგან ორი, ლამელისებური ანატკეცის ბოლოზე ნაკეთები კლასიკური ნიმუშია. ერთი — ფართო ოვალური სამუშაო პირით — ჩამოყალიბებულია მასიური სამფერდა ლამელისებური ანატკეცის ბოლოზე მსხვილი, თანაზომიერი, უაღრესად თანმიმდევრულად ატკეცილი ფაცეტების საშუალებით. ანატკეცის მარცხენა გვერდი ფაქიზად რეტუშირებულია. იარაღის ზომებია: 5,5×4,7×1,2 (ნახ. $4_{21}$). მეორე ეგზემპლარი უფრო მცირე ზომისაა, ისიც სამფერდა ლამელისებური ანატკეცის ბოლოზეა გაფორმებული. სამუშაო პირი ხმარების შედეგად გადალესილია, ორივე გვერდი რეტუშირებულია. ზომებია: 4,4×3,5×0,9 სმ (ნახ. $4_{20}$). კაჟის საფხეკები, განსაკუთრებით ლამელის ბოლოზე ჩამოყალიბებული, გამოირჩევა ბეჯითი დამუშავებითა და ნატიფი მოყვანილობით. მათგან ერთი ვიწრო სამფერდა ლამელის ბოლოზე ნაკეთები კარგად გამოყვანილსამუშაოპირიანია. მეორე გაკაჟებული არგილიტის სამფერდა ლამელის ბოლოზე ჩამოყალიბებული ნატიფი საფხეკია (ზომები: 5,3×1,5 სმ), თანაზომიერი ფაცეტების ატკეცვითაა მიღებული მოყავისფრო კაჟის სამფერდა ლამელაზე ნაკეთები იარაღის სამუშაო პირი.

ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკებიდან თოთხმეტი ლამელის ბოლოზეა

გაფორმებული, თექვსმეტი კი სხვადასხვა სახის ანატკეცზე. ლამელაზე ჩამოყალიბებული საფხეკების უმეტესობა ფართო სამუშაოპირიანია (7 ცალი), ზემოაღწერილი კაჟის საფხეკების გარდა კიდევ ორი იარაღია ვიწრო სამუშაო პირით. ერთ მათგანს, ობსიდიანის სამფერდა ლამელის ბოლოზე ნაკეთებს, მარცხენა გვერდი თანმიმდევრული ციცაბო რეტუშით აქვს დამუშავებული (ზომები: 3,1×1,6×0,7 სმ). ლამელაზე ნაკეთებ ყველა საფხეკს კარგად გამოყვანილი სამუშაო პირი აქვს. ანატკეცებზე ნაკეთები იარაღები კი, ზემოაღწერილი ორი ტიპიური ნიმუშისა და კიდევ ოთხი შედარებით კარგად დამუშავებული საფხეკის გარდა, შედარებით დაუდევრადაა დამუშავებული. ცალკე გამოიყოფა საფხეკი, რომელიც კონუსური ნუკლეუსის წვერის ჩამონატეხზეა ჩამოყალიბებული; ვიწრო ოვალური სამუშაო პირი გაფორმებულია ანატკეცის არა შესქელებულ ბოლოზე, ე. ი. არა ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ გვხვდება შულავერის კულტურის წრის ძეგლებზე, არამედ — „ჩამონატეხის“ თხელ ბოლოზე, დარტყმის ბურცობის მხარეს. ნუკლეუსი, საიდანაცაა მიღებული ეს ანატკეცი, კონუსური და კარგად დამუშავებული ყოფილა; ანატკეცზე შეინიშნება თხელი და ვიწრო ლამელების ნეგატივები, რომლებიც ერთმანეთს კვეთს.

გ. სწორსამუშაოპირიანი საფხეკები სულ შვიდი ცალია, ყველა ობსიდიანისაა. მათგან ოთხი ლამელაზეა ჩამოყალიბებული, 3 — კი ანატკეცზე. ლამელაზე ნაკეთები იარაღებიდან ერთი კარგად დამუშავებული იარაღია, ჩამოყალიბებული ორივე გვერდრეტუშირებული ორფერდა ლამელის ბოლოზე (ზომებია: 5,0×2,8×0,7 სმ); მეორე სამფერდა ლამელის ბოლოზეა ნაკეთები, ოდნავ ირიბად წაკვეთილი სწორი სამუშაო პირით. ანატკეცებზე ნაკეთები იარაღები შედარებით უხეშადაა დამუშავებული. ერთ-ერთ მათგანს, ორფერდა ანატკეცზე ნაკეთებს, ორივე ფერდი რეტუშით აქვს ათლილი.

დ. ირიბსამუშაოპირიანი საფხეკი ერთი ცალია, ჩამოყალიბებულია ობსიდიანის ორფერდა ლამელის ბოლოზე თანმიმდევრული რეტუშის საშუალებით. ლამელის მარჯვენა გვერდი მთლიანად დამაბლაგვებელი რეტუშითაა დამუშავებული, ერთ ადგილას კი ამოღარულია (ზომები: 3,9×1,7 სმ).

ე. ამოღარული საფხეკი ერთი ცალია. იგი ნაკეთებია ობსიდიანის კაჭრის კანიან სქელ ანამტვრევზე მაღალი რეტუშის საშუალებით. ზომებია: 3,1×1,7×0,8 სმ.

ვ. დაკბილულ-ამოღარულ სამუშაოპირიანი იარაღი სამი ცალია. ერთი საფხეკი ნაკეთებია ობსიდიანის ნუკლეუსისმაგვარ ანატკეცზე, უხეში რეტუშის საშუალებით — ზომები: 3,1×2,2×1,0 სმ, მეორე — ობსიდიანის ლამელაზე, მესამე კი — ობსიდიანის ლამელისებურ ანატკეცზე.

ზ. დუბლირებული საფხეკი ასევე ერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი: ნაკეთებია კაჟის ორფერდა სქელი ლამელის ბოლოებზე, რომლის ცალი გვერდი ნაწილობრივ რეტუშირებულია. იარაღი ბეჯითი დამუშავებით გამოირჩევა. ლამელის უფრო განიერ ბოლოზე თანმიმდევრული რეტუშით მაღალ ოდნავ მომრგვალებულ სამუშაოპირიანი საფხეკია ჩამოყალიბებული, მეორე ბოლოზე კი ოდნავ ვიწრო, უფრო დაბალი და თითქმის სწორსამუშაოპირიანი იარაღია ნაკეთები. სიგრძე — 5,1 სმ, უდ. სიგანე — 1,9 სმ (ნახ. $4_{18}$).

თ. ცალკე გამოიყოფა ორი მიკროსაფხეკი, ორივე ობსიდიანისაა. ერთი ოვალურსამუშაოპირიანია, ნაკეთებია თხელი ორფერდა ანატკეცის ბოლოზე (ზომებია: 1,8×1,4×0,4 სმ); მეორე კი ნაკეთებია ვიწრო სამფერდა ლამელის ბოლოზე. იარაღს თითქმის სწორი, ოდნავ მომრგვალებული სამუშაო პირი აქვს,

რომელიც მაღალი, თანმიმდევრული რეტუშითაა ჩამოყალიბებული. ამ ლამელის მარცხენა გვერდი მაღალი რეტუშითაა ამოღარული (ამოღარული საფხეკი?), მარჯვენა კი მუცლის მხარეზე დატანილი რეტუშითაა შესწორებული, ზურგის მხრიდან კი გამოყენების შედეგად დაჩეჩქვილია. ზომები: 2,1×1,1××0,4 სმ (ნახ. $4_{33}$).

ს ა ხ ო კ ე ბ ი სულ 7 ცალია; 5 ობსიდიანისაა, ერთი არგილიტისა და ერთიც კაჟისა. ყველა მათგანი მასიური ანატკეცის გვერდზე ნაკეთები, დაუდევრად დამუშავებული იარაღია.

ს ა ჭ რ ი ს ე ბ ი იარაღებს შორის სიმრავლის მიხედვით მესამე ჯგუფია. სიონის ნამოსახლარიდან მომდინარეობს 41 საჭრისი, ყველა ობსიდიანისაა. მათი უმეტესობა ჩამოყალიბებულია ლამელებზე — 33 ცალი; ანატკეცებზე ნაკეთებია 7 საჭრისი, ერთი კი — ანამტვრევზე. საჭრისებს შორის ოთხი მიკროლითურია, ხასიათდება მცირე ზომებით. ტიპოლოგიურად გამოიყოფა შემდეგი ქვეჯგუფები:

ა. შუალა საჭრისები 12 ცალია, მათგან ათი ლამელაზეა ნაკეთები (ნახ. $4_{19}$), ერთი მასიურ ანატკეცზე და ერთიც ანამტვრევზე. ლამელაზე ნაკეთებ საჭრისებს შორის ერთი სამფერდა ლამელაზე ჩამოყალიბებული მიკროსაჭრისია (ნახ. $4_2$). შუალა საჭრისებიდან გამოვყოფთ ორ იარაღს, ერთი თავბოლო გადამტვრეულ სამფერდა ლამელაზეა ნაკეთები, რომლის მარჯვენა ფერდი მთლიანად მცოცავი რეტუშითაა ათლილი, მეორეც აგრეთვე სამფერდა ლამელაზეა ჩამოყალიბებული, რომლის მარჯვენა გვერდიც ბრტყელი, წნევითი რეტუშითაა დამუშავებული.

ბ. თავრეტუშირებული საჭრისები 4 ცალია, მათგან ერთი მიკროლითურია — თავირიბრეტუშირებული სწორი, ნაკეთებია სამფერდა ლამელის ბოლოზე, რომლის მეორე გვერდიც რეტუშირებულია (ზომები: 1,7×1,4×0,4 სმ, ნახ. $4_4$). მეორე — ორფერდა ლამელაზე ნაკეთები თავირიბრეტუშირებული ირიბი საჭრისია (ნახ. $4_{16}$). მესამე — თავსწორრეტუშირებული სწორი იარაღია, ლამელაზე ნაკეთები, მეოთხე კი ლამელაზე გაფორმებული თავირიბრეტუშირებული სწორი საჭრისია, რომლის მარჯვენა გვერდიც არათანმიმდევრული წნევითი რეტუშითაა დამუშავებული.

გ. კუთხის საჭრისები ყველაზე მრავალრიცხოვანია (21 ცალი). მათ შორის ხუთი ანატკეცზეა ჩამოყალიბებული, დანარჩენი ლამელაზე. კუთხის საჭრისებს შორის გვხვდება: თავგადამტვრეული სწორი — 12 ცალი (ნახ. $4_{14}$), რომელთაგან ერთიც მიკროლითურია; თავგადამტვრეული ირიბი (5 ცალი; ნახ. $4_{12}$) და თავგადამტვრეული ხიწვიანი (4 ცალი), ამ უკანასკნელთაგან ერთი ორივეგვერდრეტუშირებულ თხელ ლამელაზე ნაკეთები მიკროსაჭრისია (ნახ. $4_1$). ერთი კი ლამელაზე ნაკეთები იარაღია, რომლის ცალი გვერდი მცოცავი რეტუშითაა დამუშავებული.

დ. ცალკე ჯგუფად გამოიყოფა დუბლირებული საჭრისები (4 ცალი), მათგან ერთი ლამელისებური ანატკეცის ორთავე ბოლოზე გაფორმებული ორმხრივ შუალა საჭრისია, მეორე ლამელის ცალ ბოლოზე ნაკეთები თავგადამტვრეული ორმხრივხიწვიანი (ორპირა) საჭრისია, მესამე ლამელის მოპირდაპირე ბოლოებზე ნაკეთები თავგადამტვრეული სწორი იარაღია, მეოთხე კი თავრეტუშირებული ლამელის ორთავე ბოლოზე ნაკეთები სწორი და შუალას მაგვარი საჭრისია.

ტიპიური მრავალფაცეტიანი, პოლიედრიული საჭრისები სიონის მასალაში

ჯერჯერობით არ შეგვხვედრია, თუმცა ორიოდე შემთხვევაა, ერთ სასაჭრისე ჩამონატეხთან მეორადი დარტყმით შესწორებისა.

10 ლამელას და 4 ანატკეცს აქვს წარუმატებელი, უხეირო სასაჭრისე ჩამონატეხი.

ს ა ხ ვ რ ე ტ ე ბ ი თ უ ბ უ რ ღ ე ბ ი სულ 14 ცალია; 11 ობსიდიანისაა, 3 კი გაკაჟებული ქანისა, 4 ლამელაზეა ნაკეთები, 10 კი — ანატკეცზე. ერთი ორფერდა თავბოლოგადამტვრეული ლამელის გვერდზეა ნაკეთები — გვერდი რეტუშის საშუალებით ორ ადგილასაა ამოღარული, მათ შორის კი დატოვებულია მახვილი წვერი — სახვრეტი. მეორე — ლამელის მახვილი კუთხით წატეხილ ბოლოზეა ნაკეთები (ნახ. 4₃) მოპირდაპირე სიბრტყეზე მდებარე რეტუშით, ერთი კაჟის ლამელაზე ზურგის მხრიდან დატანილი რეტუშით წვერგამოყვანილი იარაღია, ერთი კი არგილიტის ლამელის მახვილკუთხა ბოლოზე ჩამოყალიბებული სახვრეტია. შვიდი სახვრეტი გაფორმებულია სამკუთხაგანივკვეთიანი წვეტის მქონე ანატკეცებზე — სამ შემთხვევაში მოპირდაპირე სიბრტყეზე მდებარე რეტუშით, ორ შემთხვევაში კი მხოლოდ მუცლის მხრიდანაა დატანილი რეტუში. ორ შემთხვევაში ანატკეცების მახვილ წვერზე მხოლოდ ზურგის მხრიდან არის დატანილი რეტუში. დანარჩენი სამი იარაღი კი ნაკეთებია შედარებით მასიური ანატკეცების მახვილკუთხა ბოლოში მოპირდაპირე სიბრტყეებზე მდებარე რეტუშით.

ცალკე გამოიყოფა იარაღთა ერთი პატარა ჯგუფი, რომელთაც პირობითად „ დ ა ნ ე ბ ი ს“ კატეგორიაში ვაერთიანებთ. ესაა ლამელები, რომელთაც ცალი გვერდი გამაფხიანებელი რეტუშით აქვს დამუშავებული, მოპირდაპირე გვერდი კი დაბლაგვებულია. ასეთი სულ 5 იარაღია, სამი მათგანი ობსიდიანისაა, ერთი ხორცისფერი, ერთი კი მოთეთრო კაჟისა. ობსიდიანის ერთ ლამელას ცალი გვერდი დაწოლილი თითქმის მცოცავი რეტუშით აქვს გაბასრებული, მოპირდაპირე გვერდი კი „უხეირო“ სასაჭრისე ჩამონატეხის მეშვეობით აქვს დაბლაგვებული. ორ დანარჩენს კი „ზურგი“ ციცაბო რეტუშით აქვს დამუშავებული, მოპირდაპირე გვერდი კი ბრტყელი, წამაფხიანებელი რეტუშით დამუშავებული. განსაკუთრებით ბეჯითი დამუშავებით გამოიყოფა კაჟის „დანები“. ერთი მათგანი მოგრძო სამფერდა ლამელაზეა ჩამოყალიბებული. ლამელის მარცხენა გვერდი დაფარულია გამაფხიანებელი ჭავლისებური რეტუშით, ხოლო მარჯვენა გვერდი თანმიმდევრული ციცაბო რეტუშითაა დამუშავებული (ნახ. 4₃₈). მეორე დანა გატეხილია, იგი ნაკეთებია კაჟის ორფერდა ლამელაზე, რომლის მარჯვენა გვერდი დამაბლაგვებელი რეტუშითაა დამუშავებული, მარცხენა კი თითქმის მცოცავი, დაწოლილი წამაფხიანებელი რეტუშითაა გაბასრებული. „დანების“ რაოდენობა, როგორც ჩანს, ბევრად მეტი უნდა იყოს, მაგრამ დაზიანებულ, თავბოლოგადამტვრეულ ლამელებში მათი გამოყოფა ძნელია.

კ ო მ ბ ი ნ ი რ ე ბ უ ლ ი ი ა რ ა ღ ი 6 ცალია. ექვსივე ობსიდიანისაა. ერთი ლამელის მოპირდაპირე ბოლოებზე ნაკეთები საჭრის-სახვრეტია, მეორე — ანატკეცზე ნაკეთები საფხეკი-ხოწია, მესამე ლამელისებურ ანატკეცზე ნაკეთები ამოღარული საფხეკი და საჭრისია, მეოთხეც საჭრის-საფხეკია — ლამელის ერთ ბოლოზე თავგადამტვრეული სწორი საჭრისია ჩამოყალიბებული, მოპირდაპირე ბოლოზე კი — ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკი; ორიც საფხეკ-სახვრეტია — ანატკეცზე ნაკეთები.

სიონის კოლექციაში ერთი მეტად თავისებური იარაღია, რომელსაც პირობითად „ნ ი ს კ ა რ ტ ი ა ნ ი  ი ა რ ა ღ ი“ ვუწოდეთ. იგი ნეკეთებია ქალცედონის ლამელისებურ ანატკეცზე, რომელსაც ოდნავ მოხრილი წაწვეტებული ბოლო აქვს. ანატკეცის მარჯვენა გვერდის ზედა ნაწილი ზურგის მხრიდანაა რეტუშირებული, მარცხენა გვერდი კი რეტუშირებულია როგორც ზურგის, ისე მუცლის მხრიდან. იარაღი მეტად თავისებური იერისაა (ნახ. $4_{39}$). ანალოგიური რეტუშით, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, დამუშავებული იყო ერთი ობსიდიანის თავბოლოგადამტვრეული ლამელაც (ნახ. $4_{31}$).

ცალკე გამოიყოფა № 1 ნაგებობაში აღმოჩენილი კაჟის ერთი იარაღი, რომელიც გრძელ ვიწრო ლამელაზეა ნაკეთები. ლამელის ორივე გვერდი ციცაბო, თითქმის მართკუთხიანი რეტუშითაა დაბლაგვებული ისე, რომ ლამელის განივკვეთი ტოლფერდა ტრაპეციის მოყვანილობისაა. ლამელას ვიწრო ბოლოც რეტუშირებული აქვს (ზომები: 8,6×0,9 სმ).

განსაკუთრებით აღსანიშნავია „შომუთეფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართის აღმოჩენა № 1 შენობაში. იგი ტიპიური ნიმუშია შულავერ-შომუთეფეს კულტურის წრის ძეგლებში, განვითარების მოგვიანო საფეხურზე გაჩენილი ჩასართების ამ ტიპისა. ჩასართი ნაკეთებია მომწვანო არგილიტის ლამელისებურ ანატკეცზე, რომელსაც ზურგი მორკალულად აქვს დაბლაგვებული მსხვილფაცეტიანი თანმიმდევრული ციცაბო რეტუშით. იარაღის სამუშაო პირი შესამჩნევად დაკბილულია და პირის გასწვრივ არსებული ნამგლისპირებისათვის დამახასიათებელი ბზინვა აქვს (ნახ. $4_{30}$).

ამ უკანასკნელის აღმოჩენა გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ძეგლის დათარიღებისათვის, რადგანაც აღწერილი ტიპის ნამგლის ჩასართები შულავერ-შომუთეფეს კულტურის განვითარების მხოლოდ III საფეხურიდან ჩნდება, იგი სიონის ნამოსახლარზე შეუძლებელია უფრო ადრე მოხვედრილიყო და სიონიც თავისთავად არ უნდა იყოს შულავერ-შომუთეფეს კულტურის III საფეხურის ძეგლებზე უფრო ადრეული.

აღნიშნულის გარდა ძეგლზე კიდევ ოთხი ნამგლის ჩასართია აღმოჩენილი. ერთი მათგანი არგილიტის ლამელაზეა ჩამოყალიბებული, რომელსაც საფხეკისებურად დამუშავებული ბოლო აქვს. რეტუშირებულია იარაღის მარცხენა გვერდი. სწორედ მარცხენა გვერდზე ზურგისა და მუცლის მხრიდან შერჩენილი დამახასიათებელი ბზინვის მიხედვით ჩანს, რომ იარაღი ნამგლის ჩასართად ყოფილა გამოყენებული. არგილიტის ლამელისებურ ორფერდა ანატკეცზეა ნაკეთები ერთი ნამგლის ჩასართი. ანატკეცი დაუმუშავებელია, ურეტუშოა, მარჯვენა გვერდზე ირიბ ზოლად გასდევს ნამგლის პირებისათვის დამახასიათებელი ბზინვა, მარცხენა ნაწილზე კი შერჩენილი აქვს ბითუმისებური მასის კვალი, რითაც იარაღი ტარში ყოფილა ჩასმული და დამაგრებული; ერთი ჩასართიც კაჭრისკანიან კაჟის ანატკეცზეა ნაკეთები, რომელსაც მომრგვალებული ბოლო რეტუშით აქვს დაბლაგვებული, გვერდზე კი ეტყობა სიპრიალე.

ზემოაღწერილი ოთხი ჩასართიდან თუ ერთი დამახასიათებელი ნიმუშია შომუთეფეს ტიპის ჩასართებისა, დანარჩენი სამი არ არის ტიპიური ნიმუში, მაგრამ ამ უკანასკნელთა მსგავსი ნამგლის ჩასართები მაინც საკმაოდ ხშირად გვხვდება შულავერ-შომუთეფეს კულტურის ბოლო საფეხურის ძეგლების მასალებში. სიონში აღმოჩენილი მეხუთე ჩასართი კი არ პოულობს ანალოგიებს შულავერ-შომუთეფეს კულტურის წრის ძეგლებში; იგი ნაკეთებია კაჟის ლამე-

ლაზე, რომლის ცალი (მარცხენა) გვერდი წნევითი რეტუშის საშუალებითაა დაკბილული. ლამელას ბოლო მუცლისა და ზურგის მხრიდან წმინდა რეტუშით აქვს ათლილი. ეს ნამგლის ჩასართი შეიძლება მივიჩნიოთ მოგვიანო, მტკვარ-არაქსის კულტურაში და შემდგომ ხანებში ფართოდ გარცელებული ორმხრივ წნევითი (მცოცავი) რეტუშით დამუშავებული დაკბილული ჩასართების ერთგვარ პროტოტიპად.

ადრესამიწათმოქმედო ფენას ეკუთვნის ბაზალტის უხეში საჩეხ-საპობი იარაღი, რომელიც შუაზე გაპობილ კაჭარს წარმოადგენს და ცალი მხრიდან არის შესწორებულ-ათლილი.

აქვეა ნაპოვნი დისკოსებური, კუბური და ცილინდრული მოყვანილობის რიყის ქვები გამოყენების შედეგად გადალესილი გვერდითი წახნაგებით — სახეხ-სასრესები (8 ც).

გახეხილ-გაპრიალებული იარაღის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი იყო ნაპოვნი სიონის ნამოსახლარის გათხრილ ნაწილში.

ძვლის სულ ხუთი იარაღია ნაპოვნი: ოთხი გაპობილ ლულოვან ძვალზე ნაკეთები სადგისია ადრესამიწათმოქმედო ხანაში ფართოდ გავრცელებული ტიპისა[19] და ერთიც მსხვილფეხა რქოსანის ბეჭის ძვალზე გათლა-გახეხვის გზით ნაკეთები ხორცის საკეპი ცულის ფორმის ნივთია, რომელიც შორეულ ანალოგიას ნეოლითურ ჯეითუნის მასალებში პოულობს[20], ე. წ. ბეჭის ძვალზე ნაკეთებ ძვლის სახოკებთან, მაგრამ ჩვენი იარაღი ბევრად უკეთესი ნახელავია.

ყურადღებას იმსახურებს სადაფის ნიჟარის საკიდები, რომლებიც ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. მათი რაოდენობა ორ ათეულს აღწევს. სადაფის ნიჟარა შემოჭრილი და გახეხილია ისე, რომ კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედია მიღებული, რომელსაც შუაში წრიული ერთი ნახვრეტი აქვს. მსგავსი ნივთებიც უცხოა კავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებისათვის.

აღნიშნული სადაფის საკიდები ფორმით ემსგავსება ჯეითუნზე ნაპოვნ ქვის საკიდებს[21].

ფაქტიურად ამით ამოიწურება სიონის ნამოსახლარზე მოპოვებული ნივთიერი მასალა. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით აქ არ შეგვხვედრია არც ერთი ფრაგმენტიც კი ხელსაფქვავის ქვებისა. რით უნდა იყოს გამოწვეული ეს გარემოება, ჯერჯერობით ძნელი ასახსნელია, არ ჩანს არც შურდულის ქვები.

როგორც მასალის განხილვიდან დავინახეთ, სიონის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარის სახით მეტად თავისებურ ძეგლთან, უფრო ზუსტად, უცნობ, ახალ კომპლექსთან გვაქვს საქმე, რომელიც განსხვავდება სხვა, აქამდე ცნობილი ძეგლებისაგან. ეს განსხვავებანი ძეგლის აღმოჩენისთანავე იმდენად საგრძნობი იყო, რომ ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ სიონის ნასოფლარის სახით საქმე გვქონდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ხანის აქამდე უცნობ ეტაპთან და შესაძლოა კულტურასთანაც კი[22].

---

19 თ. კიღურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976, გვ. 110, ლიტერატურაც იხილეთ იქვე.

20 В. М. Массон, Поселение Джейтун, МИА, №180, Л., 1971, с. 34, табл. XXXVIII.

21 იქვე, გვ. 40, ტაბ. XXXIX.

22 მ. მენაბდე, თ. კიღურაძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1974—1975 წწ), სსმაე, V. თბ., 1977, გვ. 33.

ძეგლის შესწავლის დღევანდელ დონეზე ეს უკანასკნელი ვარაუდი უფრო მისაღები ჩანს.

სიონი გეოგრაფიულად ექცევა შულავერ-შომუთეფეს კულტურის გავრცელების ზონაში; კიდევ მეტი — იგი უშუალოდ ემიჯნება საკუთრივ შულავერის ჯგუფის ძეგლებს. მაგრამ მათგან განსხვავებით ზღვის დონიდან ცოტათი უფრო მაღლა მდებარეობს.

შულავრის კულტურის წრის ძეგლებთან სიონის მასალებს გარკვეული შეხვედრის წერტილები ახასიათებს, მაგრამ იმდენად საგრძნობია განსხვავებანი მათ შორის, რომ სიონის ჩათვლა შულავერ-შომუთეფეს კულტურის განვითარების რომელიმე საფეხურად, ანდა ამ კულტურის ლოკალურ ვარიანტად შეუძლებელი ხდება. ჯერ ერთი შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებისაგან მას განასხვავებს დასახლების ტიპი — პირველი, ველზე მდებარე თეფე-გორებითაა წარმოდგენილი, სადაც ერთ ადგილზე ხანგრძლივი ცხოვრების კვალია დადასტურებული, სიონის ნამოსახლარი კი ტერასაზე თუ მთის გავაკებულ ფერდზე მდებარეობს და მის მიერ წარმოქმნილი ფენა რელიეფისაგან სრულებით არ გამოიყოფა. პრინციპულად განსხვავებული ჩანს საცხოვრებელი ნაგებობების ტიპები — შულავერის კულტურის ძეგლებზე ალიზის წრიულ-გუმბათური მცირე ზომის შენობებია დადასტურებული, სიონში, კი დიდი ზომის ნახევრადმიწურები ჩანს გავრცელებული, რომელთაც ქვის მასიური საძირკვლები აქვს.

სიონის ნამოსახლარზე დამოწმეული ქვის ინდუსტრია განსხვავდება შულავერის წრის ძეგლების ნატკეცი ქვის მასალისაგან. მნიშვნელოვანი განსხვავებანი შეინიშნება კერამიკაში — როგორც ტექნოლოგიაში, ისე ფორმებსა და ორნამენტში. გარკვეული დამთხვევების არსებობა კერამიკაში უნდა აიხსნას ამ ორი კულტურის გარკვეულ ეტაპზე (სავარაუდოა, რომ შულავერ-შომუთეფეს კულტურის განვითარების ბოლო საფეხურზე) თანაარსებობაში, ან თიხის ჭურჭლის წარმოების ტრადიციის უწყვეტი გაგრძელებით.

ძვლისა და რქის ნაკეთობანი, რომლითაც მეტად მდიდარია შულავერის კულტურის ძეგლები, სიონში ფაქტიურად არა გვხვდება, ისე, როგორც გახეხილ-გაპრიალებული ქვის ინვენტარი. გაკვირვებას იწვევს ხელსაფქვავების უქონლობა სიონში.

მეტად ძნელია მსჯელობა სიონის კულტურის მატარებელი ხალხის მეურნეობის შესახებ, რადგანაც ამგვარი საკითხების კვლევისათვის საჭირო მონაცემები ჯერჯერობით მეტად მცირეა. პალეონტოლოგ ო. ბენდუქიძის წინასწარული განსაზღვრით, სიონის ნამოსახლარზე მოპოვებულ ოსტეოლოგიურ მასალაში ჭარბობს შინაური საქონლის ძვლები (ჩანს როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა რქოსანისა და ღორის ძვლები). მიწათმოქმედების არსებობის დამადასტურებელი ერთადერთი მონაცემი — ნამგლის ჩასართები, არც თუ ისე მყარი განმსაზღვრელი ელემენტია, იგი შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ველური მარცვლეულისა და ბალახის სამკელადაც.

დასავლეთ საქართველოს ნეოლითთან სიონს აახლოებს კერამიკის ორნამენტაცია. როგორც აღნიშნული გვქონდა, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებზე პოულობს ანალოგიას ჭურჭლის პირების შემკობის ზოგიერთი ის წესი, რომელიც სიონშია დადასტურებული. სხვა მხრივ მათ შორის

რაიმე არსებითი მსგავსება არ შეინიშნება; განსხვავებანი კი საგრძნობია, როგორც საცხოვრებლის ტიპში, ისე ქვის ინდუსტრიებში.

მხოლოდ ზოგად ანალოგიებს ნახულობს სიონის მასალები წოფის კომპლექსთან. გარკვეული კერამიკული ფორმების მსგავსებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ სამელე-კლდესა და სამერცხლე-კლდეში, მაგრამ საერთო ნიშნები მეტად ზოგადია.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს იმის საფუძველს, რომ სიონის ნამოსახლარი გამოვყოთ ცალკე კულტურად და ახალი მასალების დაგროვებამდე თავი შევიკავოთ უფრო შორს მიმავალი დასკვნებისაგან.

მეტად მნიშვნელოვანი და ამავე დროს რთულია ძეგლის დათარიღების საკითხი. ფორმალურ-ტიპოლოგიური ნიშნებით სიონის ნამოსახლარი გვიან ნეოლითს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ ზოგიერთი მომენტი გვავარაუდებინებს, რომ იგი უფრო მოგვიანო უნდა იყოს.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ „შომუთეფური" ტიპის ნამგლის ჩასართი, რომელიც სიონში უძრავ ფენაში აღმოჩნდა, გარკვეული დამათარიღებელი ნივთია, და რომ სიონის ნამოსახლარი შულავერ-შომუთეფეს კულტურის III და უფრო მოგვიანო საფეხურების თანადროული უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში III საფეხურზე უფრო ადრეული ვერ იქნება, რადგანაც იარაღის ეს ტიპი ამ საფეხურზე ადრე თვით შულავერ-შომუთეფეს კულტურაში უცნობია. სიონში აღმოჩენილი შედარებით თხელკედლიანი, მოყვითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი, ზედაპირ და შიდაპირ გაპრიალებული პირმოყრილი ქილების ფრაგმენტები, რომელთაც ორნამენტაცია საერთოდ არ ახასიათებს, მეტად ახლოს დგას იმირის გორის სულ ზედა ფენებისა და ხრამის დიდი გორის ანალოგიურ ნაწარმთან; მსგავსება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს ჭურჭლები, სავარაუდოა, უშუალოდ შულავერ-შომუთეფეს კულტურის რომელიმე უგვიანესი ნამოსახლარიდანაც კი იყოს მოხვედრილი, თუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კერამიკის წარმოების ტრადიციის უწყვეტობასთან არა გვაქვს საქმე.

ამავე დროს სიონის მასალაში გვხვდება ერთეული ფრაგმენტები, რომლებიც ზედაპირისა და შიდაპირის დამუშავებით მეტად ემსგავსება მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკას. ეს მსგავსება იმდენად დიდია, რომ მტკვარ-არაქსული კერამიკის საწყისები შეიძლება სიონის ტიპის ძეგლებშიც კი იყოს საძებარი.

თავის დროზე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაციისადმი მიძღვნილ ნაშრომში ჩვენ გამოვყავით შულავერ-შომუთეფეს კულტურის V საფეხურზე უფრო მოგვიანო ძეგლების ჯგუფი, რომელთა უმეტესობაც არ ეკუთვნის შულავერ-შომუთეფეს კულტურას (არც ერთმანეთთან აქვთ მყარი კულტურული ურთიერთობა), მაგრამ ერთიანდება ქრონოლოგიური პრინციპით და ზოგადად დავათარიღეთ ეს ძეგლები ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოთი და IV ათასწლეულის I ნახევრით[23]. ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს სიონის ნამოსახლარიც*.

სიონის დათარიღებისათვის მეტად საყურადღებო მონაცემებს იძლევა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მიკვლეული რამდენიმე ნამოსახლარის მასალა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო შედეგს იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთ

---

[23] თ. კ ი ღ უ რ ა ძ ე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 131—135.

* კალიბრილებული, შესწორებული რადიოკარბონული თარიღების გათვალისწინებით, ამ ძეგლების ასაკი მთლიანად ძვ. წ. V ათასწლეულში გადადის.

აზერბაიჯანში გათხრილი, კარგად სტრატიფიცირებული ძეგლი ალიკემეკ-თეფესი. როგორც ზემოთ არაერთგზის გვქონდა აღნიშნული, სიონის ნამოსახლარზე მოპოვებულ კერამიკაში ჭარბობს ისეთი ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა ზედაპირზეც, ჯერ კიდევ სველ თიხაზე, სავარცხლისებური ნივთით თუ ნაფოტით დატანილია უსისტემო ზოლები. სავარცხლისებური ნივთით ამგვარად დამუშავებულზედაპირიანი კერამიკა გავრცელებულია ალიკემეკ-თეფესის სულ ზედა—ნულოვან და პირველ ჰორიზონტებში (ქვედა ჰორიზონტებში, რომელიც ნახიჭევანის ქიულთეფეს I ფენის ანალოგიურ მასალებს შეიცავს, ამ სახის ნაწარმი ნაპოვნი არ ყოფილა). კერამიკის ამავე ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი ჭურჭლის პირების (ქობის) შემკობა სწორი თუ ირიბი არაღრმა ნაჭდევებით[24]. ალიკემეკ-თეფესის ეს ჰორიზონტები, აქ ნაპოვნი მოხატული კერამიკის, „მუშტისებურშვერილებიანი" ჭურჭლებისა და ზოგიერთი სხვა მონაცემის საფუძველზე დათარიღებულია ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით[25].

სავარცხლისებური ნივთით უსისტემოდ დატანილი ზოლებით „შემკული" და პირდაჭდეული კერამიკა აღმოჩენილია აგრეთვე აზერბაიჯანის კიდევ ერთ ძეგლზე — ქეჩილი III-ზე (შამქორის რ-ნი)[26], რომელიც ალიკემეკ-თეფესისაგან განსხვავებით, ტერიტორიულად საკმაოდ ახლოს მდებარეობს სიონთან. ძეგლის გამთხრელი გ. ქესამანლი მას ფინალური ენეოლითით ათარიღებს (ზოგადად ძვ. წ. IV ათასწლეულით).

ი. ნარიმანოვი მსგავსი კერამიკის აღმოჩენას მიუთითებს დასავლეთ აზერბაიჯანის (ყაზახის რ-ნი) ძეგლებზე — მენტეშსა და რუს-თაფასიზე, რომელთაც ის გვიანი ენეოლითით ათარიღებს[27].

სავარცხლისებური ნივთით „ზედაპირდამუშავებული" კერამიკის არსებობას აღნიშნავს რ. თოროსიანი არარატის ველზე გათხრილ თეღუტას მასალებში. ეს ძეგლიც ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევრითა და შუა ხანებით თარიღდება[28].

მეტად ძნელია ვილაპარაკოთ სიონის კულტურის წარმომავლობის, მისი საფუძვლების შესახებ. ერთი რამ ცხადია — სიონის კერამიკა გარკვეულად აგრძელებს შულავერ-შომუთეფეს კულტურის თიხის ჭურჭლის დამზადების ტრადიციებს (თუ თანაარსებობს ამ კულტურის განვითარების ბოლო ეტაპებთან). გარკვეულ მსგავსებას პოულობს სიონის კერამიკა დასავლეთ საქართველოს ბარის ნეოლითში გავრცელებულ კერამიკასთანაც. ნატკეცი ქვის (ობსიდიანისა და კაჟის) ინდუსტრიას თითქოს გარკვეული შეხების წერტილები აქვს თრიალეთის ადრეულ მასალებთან (იგულისხმება გასული საუკუნის ბოლოს ბეშთაშენის მიდამოებში იოაკიმოვის მიერ შეკრებილი ობსიადინის კოლექცია, რომელიც

---

[24] Ф. Р. Махмудов. Культура Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа, диссертация на соиск. уч. ст. канд. ист. наук, Баку, 1979, с. 121.

[25] იქვე.

[26] მასალა გამოუქვეყნებელია, დაცულია ბაქოში, ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის ფონდებში. მასალის გაცნობისა და ცნობების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ გ. ქესამანლის.

[27] И. Г. Нариманов. Древнейшая земледельческая культура Закавказья, VII международный конгресс доисториков и протоисториков, доклады и сообщения археологов СССР, М., 1966, с. 121.

[28] Р. М. Торосян. Раннеземледельческое поселение Техута (IV тыс. до н. э.), Ереван, 1976 (на арм. языке, с русск. резюме), с. 78.

დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებში); მაგრამ ეს უკანასკნელი მასალა ჯერჯერობით თვითონ საჭიროებს უფრო ზუსტ განსაზღვრასა და დათარიღებას.

სიონის მასალები გარკვეულ ურთიერთობას ამჟღავნებს უკანასკნელ წლებში აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში გამოვლინებულ არქეოლოგიურ კომპლექსებთან. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ალაზნის ველის ძეგლები. 1958—1959 წლებში ლაგოდეხის რაიონის სოფ. ახალ ულიანოვკასთან შემთხვევით აღმოჩნდა ქვის იარაღების მცირე კოლექცია, რომელიც გ. ჯავახიშვილმა ნეოლითის ხანით დაათარიღა[29].

70-იანი წლების შუა ხანებიდან ამ ტერიტორიაზე (ე. ი. ალაზნის ველზე) არსებული ადრეული პერიოდის ძეგლების შესწავლა დაიწყო კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, კერძოდ კი ექსპედიციის თანამშრომელმა ვ. ვარაზაშვილმა. იგი ლაგოდეხის რ-ში სოფ. ულიანოვკისა და თამარიანის მიმდგომ ტერიტორიებზე, მდ. კვირიასწყლის სანაპირო ზოლში, ადრესამიწათმოქმედო ხანის რამდენიმე ნამოსახლარის არსებობას ვარაუდობს, რომელთა ნაწილიც განადგურებულია. ერთ-ერთ ასეთ ბორცვზე (ე. წ. № 3 გორანამოსახლარზე) ჩატარებულ იქნა საძიებო არქეოლოგიური სამუშაოები. აქ მოპოვებული მასალა (კერამიკაცა და ნატკეცი ქვის ინვენტარიც) გარკვეულ სიახლოვეს იჩენს სიონის მასალებთან, თუმცა მათ შორის ბევრია განმასხვავებელი ნიშნებიც. უნდა შევნიშნოთ, რომ ალაზნის ველის № 3 გორანამოსახლარზე, საცხოვრებელი ნაგებობის, ან სხვა რამ სათავსოს კვალი არ ყოფილა მიგნებული, აქ გავლებულ საცდელ თხრილში გამოვლინდა სამეურნეო დანიშნულების ექვსი (№№ 1, 2. 3, 4, 5, 7) და ორი წმინდა ნაცრით სავსე ორმო (№№ 6, 8), გარდა № 7 ორმოსი, რომელსაც მსხლისებური მოყვანილობა აქვს, ყველა სწორკედლიანი და მოუღლესავია. მათი პირის დიამეტრი 0,4—1,0 მეტრამდე მერყეობს, ხოლო სიღრმე 0,5-დან 0,8 მეტრამდე[30]. ამავე პერიოდის მსგავსივე მასალების შემცველი ორმოები გამოვლინდა ამ ნამოსახლარიდან ორიოდე კილომეტრზე მდებარე ე. წ. დამწვარ-გორაზე, ყორღანის ქვაყრილის ქვეშაც. აღნიშნულ ძეგლებს ვ. ვარაზაშვილი ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით ათარიღებს.

ბოლო წლებში ქინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერაც იქნა მიკვლეული მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანის ძეგლები — სოფ. ქინვალში, ქვემო არანისში, ბოდორნასა და ხერთვისში, რომელთაც გამთხრელები ენეოლითის პერიოდით განსაზღვრავენ[31]. ამ ძეგლებზე მოპოვებული კერამიკა ემსგავსება სიონის თიხის ჭურჭლის ერთ ჯგუფს — გაპრიალებულ სადა ზედაპირიან, ცილინდრულ ყელიან ჭურჭლებს. არც ამ ძეგლებზეა მიკვლეული ნაგებობათა კვალი.

გარკვეული შეხების წერტილების შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ სიონის კერამიკისა და თბილისში, ვაჟა ფშაველას პროსპექტზე აღმოჩენილი ე. წ.

---

[29] გ. ჯავახიშვილი, ნეოლითური მასალა ლაგოდეხის რაიონიდან, მსმკი, თბ., 1966, გვ. 3—11.

[30] ვ. ვარაზაშვილი, ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანების მასალები იორ-ალაზნის აუზიდან, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, IV, თბ., 1980, გვ 22.

[31] იხ. Археологические открытия 1977 г., М., 1978, с. 487, 488; Археологические открытия 1978 г., М., 1979, с. 505.

დელისის ნამოსახლარის[32] კერამიკას შორის, აგრეთვე წოფის თიხის ჭურჭლების ერთ ჯგუფთან.

წინასწარულად, მეტ-ნაკლებად პირობითად, შეიძლება აღნიშნული ძეგლების ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების შესახებაც საუბარი. ამ მხრივ გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება შეინიშნება სიონსა და ალაზნის ველის ნამოსახლარებს შორის. მათგან ყველაზე ადრეულად თვით სიონი გვევლინება, სადაც ყველაზე კარგადაა შემონახული და მკვეთრადაა ასახული არქაული ნიშნები, როგორც კერამიკაში, ისე ნატკეცი ქვის მასალაში. ქრონოლოგიურად სიონთან მეტ-ნაკლებად ახლოს დგას ალაზნის ველის № 3 გორანამოსახლარი, სადაც გვხვდება პირდაჭდეული და ზემოდან ჩაჩხვლეტილი ფოსოებიანი კერამიკის, ისევე, როგორც სავარცხლისებური ნივთით ზედაპირდამუშავებული კერამიკის ერთეული ფრაგმენტები; გვხვდება კარგად დამუშავებული საფხეკები, საჭრისები, ხოწები. ორ ლამელას გვერდი, უფრო ზუსტად, ზურგის მხარე დიდ ნაწილზე დამუშავებული აქვს მცოცავი რეტუშით. ძვლის იარაღებიდან აქაც, სიონის მსგავსად მხოლოდ სადგისებია გავრცელებული. ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშანი აახლოებს ალაზნის ველის № 3 ნამოსახლარს სიონთან; მაგრამ გარდა მსგავსებისა, შეინიშნება განმასხვავებელი ნიშნებიც: ულიანოვკის № 3 ნამოსახლარის კერამიკაზე გვხვდება რელიეფური კოპები, კოპისებური ჰორიზონტალური დანაძერწები, ჭურჭლის პირს ქვემოთ დატანილი გამჭოლი ნახვრეტები და ყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტი. აქვეა ნაპოვნი ქვის რამდენიმე გახეხილ-გაპრიალებული ცული. № 3 ნამოსახლარიდან მომდინარეობს ლითონის (სპილენძის?) ორი ნივთი — ოთხწახნაგა სადგისი და მრგვალღეროიანი ნივთის ფრაგმენტი. მათი აღმოჩენის ვითარების გათვალისწინებით (ძეგლზე გათხრილი ბედენური ხანის ყორღანის ქვაყრილის ქვეშ[33]) ამ ნივთების მიკუთვნება ადრესამიწათმოქმედო ფენისადმი საეჭვოა, თუმცა არც მათი ადრეულობაა მთლად გამორიცხული.

№ 3 ნამოსახლარზე უფრო მოგვიანოა, მაგრამ მასთან მჭიდროდ დაკავშირებულია აქვე გათხრილი დამწვარი გორის მასალები. აქ უკვე აღარ გვხვდება ის ერთეული ნაწარმიც კი, რომლითაც № 3 ნამოსახლარის მასალა სიონს უკავშირდებოდა, იმ დროს, როცა ალაზნის ველის ამ ორი ძეგლის კერამიკული ნაწარმის ძირითადი მასა ძალიან მსგავსია, თითქმის ერთგვაროვანია. დამწვარ გორაზე გვხვდება კოპებით, ან კოპისებური ჰორიზონტალური შვერილებით შემკული კერამიკა, თიხის ჭურჭლები პირს ქვემოთ დატანილი გამჭოლი ნახვრეტებით, „ბიბილოსებურშვერილიანი“ კერამიკა და სხვ. აქვეა ნაპოვნი რამდენიმე ჭურჭლის ყურის ფრაგმენტები, ძვლის სადგისები და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორი ერთმანეთთან ახლოს მდგომი ძეგლიდან მხოლოდ ერთზე შეინიშნება სიონისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ოდნავ უფრო განვითარებულზე (მოგვიანოზე) კი ისინი უკვე გამქრალია.

ალაზნის ველის ნამოსახლარებთან საერთო შეხვედრის წერტილებს პოუ-

---

[32] Р. М. Абрамишвили, Археологические исследования на новостройках Большого Тбилиси, Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тб., 1976, с. 24, 25; АО 1977 г., с. 471; АО 1978 г., с. 493; თბილისი I, არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1978, გვ. 30, 31.

[33] ვ. ვარაზაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

ლობს წოფი, რაც შემდეგში გამოიხატება — არც ალაზნის ველის ნამოსახლარებზე და არც წოფში არავითარი ნაგებობის კვალი არ არის მიკვლეული, სამაგიეროდ სამივე ძეგლზე გვხვდება სხვადასხვა ზომის ორმოები, შევსებული კულტურული ფენის ნაშთებით. ალაზნის ველის „ნამოსახლარების“ მსგავსად წოფში გვხვდება პირდაკეჭნილი კერამიკა, კოპებით შემკული ნაწარმი, ზოგ ფრაგმენტს (ე. ი. ჭურჭელს) პირს ქვემოთ მდებარე გამჭოლი ნახვრეტები აქვს. დამწვარი გორის მსგავსად აქაც გვხვდება „ბიბილოსებურშვერილიანი“ კერამიკა. მაგრამ ალაზნის ველის ნამოსახლარებსა და წოფს შორის მსგავსებაზე მეტი განსხვავება შეინიშნება. წოფში გვხვდება ნამჯანარევი კერამიკა, კარგად პროფილირებული თითქოს ჩარხზე დამზადებული ძაბრისებურყელიანი ჭურჭლები, ირმის რქის იარაღები და სხვ.

ალაზნის ველის ძეგლებზე უფრო მოგვიანო უნდა იყოს (ყოველ შემთხვევაში არსებული მეტად მცირე მასალის საფუძველზე ასეთი შთაბეჭდილება იქმნება) არაგვის ხეობის ზემოაღნიშნული ძეგლები.

განცალკევებით დგას დელისის ნამოსახლარის მასალები. დელისის ნამოსახლარს სიონთან ახლოებს მსგავსება კერამიკის ზოგიერთ ფორმასა და დამუშავების ტექნოლოგიაში (აქაური კერამიკის გარკვეული ნაწილი ემსგავსება სიონის სადა კერამიკას, როგორც ზედაპირის დამუშავებით, ისე მინარევით, გამოწვის ფერითა და ხარისხით), აგრეთვე ძვლის ნაწარმის, გახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღებისა და ხელსაფქვავების უქონლობა. ამ დროს სრულიად განსხვავებულია ამ ორი ძეგლის ნატკეცი ქვის ნაწარმი — დელისის ნამოსახლარზე ძირითადად ობსიდიანის უსახო ანატკეცებია წარმოდგენილი, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილია რეტუშირებული. დელისის ნასახლარზე გამთხრელები ვარაუდობენ სარ-ლასტიანი წრიული(?) ნაგებობების არსებობასაც. აქ კერამიკის ერთეული ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი შულავერ-შომუთეფეს კულტურისათვის დამახასიათებელი რელიეფური ორნამენტის ზოგიერთი სახეობა, მაგრამ სხვა რამ არსებითი შეხების წერტილი დელისის ნასახლარსა და შულავერ-შომუთეფეს კულტურას შორის არ აღინიშნება. დელისში ნაპოვნია ყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტები.

დელისის ნამოსახლარის შესახებ მსჯელობისას ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ აქ დაურღვეველი ადრესამიწათმოქმედო ფენა პრაქტიკულად არ არის გამოვლენილი[34]. ყველა დონეზე, თვით გრუნტზე მდებარეზეც კი ნაპოვნია ადრე და შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი შავპრიალა ჭურჭლის ფრაგმენტები. ამის გამო დელისში აღმოჩენილი ხუთი-ექვსი ბრინჯაოსა თუ სპილენძის ნივთის (ოთხწახნაგა სადგისები და მახათისებური ნივთები) მიკუთვნება ადრეული ფენისადმი საეჭვო ხდება, მით უმეტეს, რომ მათში კალის მინარევია (ერთ შემთხვევაში 5%-მდე) დადასტურებული.

აღნიშნული მიზეზების გამო ჭირს დელისის ნასახლარის სავარაუდო ადგილის განსაზღვრა ზემოთ მოყვანილ პირობით ქრონოლოგიურ „სქემაში“. ჩამოთვლილი ძეგლები წინ უსწრებს მტკვარ-არაქსის კულტურას. ამავე დროს არც ერთი მათგანი არ მიეკუთვნება შულავერ-შომუთეფეს ადრესამიწათმოქმედო კულტურას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ისინი (სიონის ჩათვლით) მეტ-ნაკლებად ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება და გარკვეული შეხვედრის

---

[34] იხ. რ. აბრამიშვილი და სხვ., თბილისი I, გვ. 31.

წერტილებიც აქვთ ერთმანეთთან, მათი მიკუთვნება ერთი არქეოლოგიური კულტურისადმი შეუძლებელია. ჯერჯერობით, მეტ-ნაკლები პირობითობით, დასაშვებია ამ ძეგლების ერთ დიდ კულტურულ ერთობაში (культурная общность) გაერთიანება.

ამასთანავე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გარკვეული ხასიათის მსგავსებას სიონისა და დასავლეთ საქართველოს ე. წ. ნეოლითური ძეგლების კერამიკას შორის (მხედველობაში გვაქვს ოდიშის, გურიანთას და ანასეული II თიხის ჭურჭლის პირების შემკობა სხვადასხვა სახის ნაჭდევებით, ქობაზე ზემოდან ჩაჩხვლეტილი ფოსოებით და კლაკნილპირიანი და ტალღისებურპირიანი ჭურჭლები). მეტად ძნელია ძეგლების შესწავლის დღევანდელ ეტაპზე ამ მოვლენის ახსნა, — თუ რითი უნდა იყოს გამოწვეული თითქოს და ქრონოლოგიურად ერთმანეთთან ასე დაშორებული ძეგლების თიხის ჭურჭლის ორნამენტაციაში არც თუ ისე უმნიშვნელო მსგავსების არსებობა — სიონის ნამოსახლარის კერამიკამ შემოინახა გარკვეული არქაული ტრადიცია თუ თვით დასავლეთ საქართველოს ეს ნეოლითური (?) ძეგლებია უფრო გვიანი პერიოდით დასათარიღებელი.

როგორც არ უნდა გადაწყდეს დასმული საკითხები, ერთი რამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სიონის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარის სახით ჩვენ საქმე გვაქვს მეტად საინტერესო, შეიძლება ითქვას უნიკალურ ძეგლთან, რომლის აღმოჩენამაც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი თუ პრობლემა დასვა კავკასიის არქეოლოგიის წინაშე, რასაც პასუხი სიონის ტიპის ახალი ძეგლების აღმოჩენამ და შესწავლამ უნდა გასცეს.

## შუაბრინჯაოს ხანის სამარხი

ადგილ „ფარეხებზე“ ექსპედიციამ 10 ორმოსამარხი გათხარა, აქედან ცხრა სამარხი თანადროულია და გვიანბრინჯაოს ხანას განეკუთვნება, ერთი კი, № 4 ორმოსამარხი უფრო ადრეულია. დანარჩენებისაგან განსხვავებით, იგი საკმაოდ ღრმად მდებარეობდა და შეიძლება ითქვას, რომ შემთხვევით მივაკვლიეთ. სავარაუდებელია, რომ აქ კიდევ იყოს მსგავსი სამარხები, მაგრამ მათი მიკვლევა სწორედ ამ დიდი სიღრმის გამო მეტად ძნელია აქაურ პირობებში, სადაც ნიადაგი ბრექჩიასავით გამაგრებულია.

როგორც I თავიდან ვიცით, სამაროვნის ტერიტორიაზე ექსპედიციამ ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ფენაც გამოავლინა. 1975 წელს სწორედ ამ ადრეული ფენის № 1 ნაგებობის პრეპარაციის დროს ერთი მეტრი სისქის ქვის კედელი ორგან ჩაჭრილი აღმოჩნდა. ერთ ადგილას კარის ნაალაგევი ე. ი. შესასვლელი დადასტურდა, მეორეგან კი გაირკვა, რომ კედელი ორმოსამარხის გათხრის დროს ჩაუჭრიათ. სწორედ აქ იყო ჩაშვებული № 4 ორმოსამარხი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ კუთხეებმომრგვალებულ ოთხკუთხედს წარმოადგენდა. მისი სიგრძე 2,20—2,25 მ იყო, სიგანე შუა ნაწილში — 1,15 მ, ბოლოებთან კი — 0,90 მ. სამარხის ძირი თანამედროვე ზედაპირიდან 1,9 მეტრზე მდებარეობდა (ნახ. 1).

აღნიშნულ ორმოსამარხში მრავლად იყო როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა ცხოველის ძვლები, მაგრამ ადამიანის ჩონჩხი არ აღმოჩნდა. როგორც ჩანს, აქ ადამიანის გვამი არ დაუმარხავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩონჩხი, თუნდაც ნაშთის სახით, აუცილებლად შემოინახებოდა.

სამარხეული ინვენტარის ძირითად ნაწილს კერამიკა შეადგენდა. მის გარდა სამარხში აღმოჩნდა ტუფის სარქველი, სარდიონის მძივები და თეთრი პასტის იოტები. კერამიკა სამარხში ორ ჯგუფად იყო განლაგებული და ნაპირებისკენ ეწყო. დაახლოებით შუა ადგილას იდგა ყველაზე დიდი ზომის შავპრიალა თიხის დერგისებური ჭურჭელი, რომელსაც ტუფის სარქველი ეხურა (გათხრების დროისათვის სარქველი გვერდზე მდგომ ჯამში იყო ჩაცურებული). მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით დარჩენილ ფართობზე განლაგებული იყო თიხის ცხრა ჭურჭელი (ორი ქილა და შვიდი ჯამი) შემდეგი თანმიმდევრობით: უშუალოდ ზემოაღნიშნული დერგის გვერდით (სამხრეთ-აღმოსავლეთიდან) ეწყო ორი ჯამი, რომლებზეც ელაგა (ორივეზე) მსხვილფეხა საქონლის მეტად გრძელი ნეკნები. მათ გვერდით სამხრეთის მხრიდან დადგმული იყო ორი მაღალყელიანი შავპრიალა დერგისებური ჭურჭელი. დანარჩენ ადგილზე კი 5 ჯამი იყო განლაგებული, რომელთაგან ორი ერთიმეორეზე იდგა. (ზუსტად ასევე ერთმანეთზე დადგმული ორი ჯამი აღმოჩნდა სამარხის მოპირდაპირე ბოლოშიც). მოზრდილი დერგის სამხრეთით აღმოჩნდა ორი პატარა სამარილესებური გვერდწიბოიანი ჭურჭელი, ხოლო დასავლეთის მხარეს, იქვე ახლოს, სარდიონის მძივები და პასტის იოტები (ნახ. 5; ტაბ. V, 2).




ნახ. 5. ორმოსამარხი № 4, გეგმა.

კერამიკის მეორე ჯგუფი გაიწმინდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქაც, ორმოს განაპირას თიხის ორი შავპრიალა მაღალყელიანი დერგისებური ქილა იდგა. მათგან ჩრდილოეთით სამი ღრმა ჯამი აღმოჩნდა, რომელთაგან ორი ერთმანეთზე იყო დადგმული, მესამეზე კი წაქცეული იყო მომცრო ზომის ფრაგმენტირებული თიხის ჭურჭელი. იგი ძლიერ განსხვავდებოდა აქამდე ჩამოთვლილი ჭურჭლებისაგან როგორც ფორმით, ისე დამზადების ხარისხით. ეს და, კიდევ ერთი, პირმოყრილი ფრაგმენტირებული ჭურჭელი, რომელიც სამარხის დასავლეთ კუთხესთან იდგა, უხარისხოდ, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან არის ნაძერწი და ძლიერ დაშლილი და ფრაგმენტირებული იყო, განსხვავებით სხვა დანარჩენი ჭურჭლებისაგან, რომლებიც თითქმის მთელად შემოინა-




ნახ. 6. № 4 ორმოსამარხის ინვენტარი




ნახ. 7. № 4 ორმოსამარხის ინვენტარი

ხა. სამარხის ამ ნაწილშიც მრავლად იყო ცხოველის ძვლები ჯამებშიც და იატაკზეც.

ინვენტარისაგან თავისუფალ შუა ნაწილში აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის, ალბათ ცხვრის, მთელი ჩონჩხი, რომელიც გაშოტილი იყო სამარხის გასწვრივ. მისი თავის ქალა ცენტრალურ შავპრიალა დერგამდე აღწევდა, ბოლო ნაწილი კი, ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჯამებამდე. ამას გარდა, ცხოველის

ფრაგმენტირებული ძვლები გაბნეული იყო მთელ სამარხში (ნახ. 5; ტაბ. V, 1).

ქვემოთ აღვწერთ სამარხის ინვენტარს:

1. ჯ ა მ ი თიხის, მონაცრისფრო-მოვარდისფრო, არათანაბრად გამომწვარი, ღრმა, ოდნავ პირმოყრილი, ძირისაკენ შევიწროებული, ბრტყელი მცირედ შეზნექილი ძირით. ასიმეტრიული, ზედაპირი არათანაბარად მოგლუვებულია, ჯამი ხელით არის ნაძერწი. სიმაღლე — 11, პირის დიამეტრი — 14, ძირის დიამეტრი — 8,2 სმ (ინვ. № 82—976/93; ნახ. $7_8$).

2. ჯ ა მ ი თიხის, მოყვითალო ფერის, არათანაბრად გამომწვარი, ღრმა, ოდნავ მოყრილი ბრტყლად წაჭრილი პირით, ძირისაკენ შევიწროებული, ბრტყელი მცირედ შეზნექილი ძირით, ასიმეტრიული, ზედაპირი არათანაბრად მოგლუვებულია. ჯამი ხელითაა ნაძერწი. სიმაღლე — 12, პირის დიამეტრი — 18×16,5, ძირის დიამეტრი — 9,5 სმ (ინვ. № 82—976/94; ნახ. $7_{12}$).

3. ჯ ა მ ი თიხის, მონაცრისფრო-მოშავო, არათანაბრად გამომწვარი, ღრმა, ოდნავ პირმოყრილი; ძირისკენ შევიწროებული, ბრტყელი მცირედ შეზნექილი ძირით. პირთან მკვეთრი ღარი გარშემოუყვება. სადა ზედაპირი მოპრიალებულია. ჯამი მორგვზე უნდა იყოს ნაკეთები. სიმაღლე — 10,5, პირის დიამეტრი — 17, ძირის დიამეტრი — 9,6 სმ (ინვ. № 82—976/95; ნახ. $7_9$).

4. ჯ ა მ ი თიხის, მოყავისფრო-მოშავო, არათანაბრად გამომწვარი, ღრმა, ოდნავ პირმოყრილი, ძირისკენ შევიწროებული, ბრტყელი მცირედ შეზნექილი ძირით. პირთან ორი მკვეთრი ღარი შემოყვება, ზედაპირი გაპრიალებულია. ჯამი მორგვზე უნდა იყოს ნაკეთები. სიმაღლე — 11, პირის დიამეტრი — 18.2, ძირის დიამეტრი — 9,5 სმ (ინვ. № 82—976/96; ნახ. $7_{13}$).

5. ჯ ა მ ი თიხის, მოყავისფრო, არათანაბრად გამომწვარი, ღრმა, ოდნავ პირმოყრილი და ძირისკენ შევიწროებული; ბრტყელი, მცირედ შეზნექილი ძირით. პირთან მკვეთრი ღარი შემოუყვება. ზედაპირი გაპრიალებულია. ჯამი მორგვზე უნდა იყოს ნაკეთები. სიმაღლე — 9,5, პირის დიამეტრი — 17,5, ძირის დიამეტრი — 10,2 სმ (ინვ. № 82—976/97; ნახ. $7_4$).

6. ჯ ა მ ი თიხის, მოყვითალო-მოყავისფრო, არათანაბრად გამომწვარი, ღრმა; ოდნავ პირმოყრილია, ძირისკენ შევიწროებული, ბრტყელი ძირით, ასიმეტრიულია, ზედაპირი არათანაბრად მოგლუვებულია. ჯამი ხელით არის ნაძერწი. სიმაღლე — 12, პირის დიამეტრი — 16, ძირის დიამეტრი — 8,5 სმ (ინვ. № 82—976/98; ნახ. $7_{11}$).

7. ჯ ა მ ი თიხის, მოყავისფრო-მოშავო, არათანაბრად გამომწვარი; ღრმა, ოდნავ მოყრილი პირი ბრტყლად წაჭრილია, ძირისაკენ შევიწროებული, ბრტყელი მცირედ შეზნექილი ძირით. ზედაპირი გაპრიალებულია. ჯამი მორგვზე უნდა იყოს ნაკეთები, თუმცა რამდენადმე ასიმეტრიულია. სიმაღლე — 11, პირის დიამეტრი — 20×19, ძირის დიამეტრი — 10,6 სმ. (ინვ. № 82—976/99; ნახ. $7_{10}$).

8. ჭ უ რ ჭ ე ლ ი თიხის, შავად გაპრიალებული, ოდნავ გადაწეული პირი, მაღალი ყელი, მსხლისებური კორპუსი და ბრტყელი, მცირედ შეზნექილი ძირი აქვს. ყელის ძირში ძნელად შესამჩნევი ჭდეული ზოლი შემოუყვება. ჭურჭელი მორგვზეა ნაკეთები. აღდგენილია, ნაკლული ადგილები შევსებულია თაბაშირით. სიმაღლე — 24,6 სმ, პირის დიამეტრი — 11,2 სმ, ძირის დიამეტრი — 10,5 სმ (ივნ. № 82—976/100; ნახ. $6_5$).

9. ჭ უ რ ჭ ე ლ ი თიხის, შავადგაპრიალებული, ოდნავ გადაწეული პირი, მაღალი ყელი, მსხლისებური კორპუსი და ბრტყელი, მცირედ შეზნექილი ძირი

აქვს. ყელის ძირზე ჭდეული ზოლი გარშემოუყვება. ჭურჭელი მორგვზეა ნაკეთები. აკლია პირის მცირე ნაწილი. სიმაღლე — 26,1 სმ, პირის დიამეტრი — 11,9 სმ, ძირის დიამეტრი — 9,9 სმ (ინვ. № 82—976/101; ნახ. $6_4$).

10. ჭ უ რ ჭ ე ლ ი თიხის, შავად გაპრიალებული; ოდნავ გადაწეული პირი, მაღალი ყელი და ბრტყელი, მცირედ შეზნექილი ძირი აქვს. კორპუსის ზედა ნაწილი მცირედ გამობერილია, ქვევითკენ შევიწროებული. ყელის ძირზე ჭდეული ზოლი შემოუყვება. ჭურჭელი მორგვზეა ნაკეთები, აღდგენილია, ნაკლული ადგილები შევსებულია თაბაშირით. სიმაღლე — 35,2, პირის დიამეტრი — 12,7, ძირის დიამეტრი — 13 სმ (ინვ. № 82—976/102; ნახ. $6_1$).

11. ჭ უ რ ჭ ე ლ ი თიხის, მოვარდისფრო-მონაცრისფრო, პირმოყრილი, დაბალი ძლიერ გამოზნექილი მუცლით და ბრტყელი ვიწრო ძირით, ცუდად გამომწვარია, აღდგენილია, ძლიერ დაზიანებული და ნაკლულია. სიმაღლე — 6,3, კორპუსის უდ. დიამეტრი — 13,6 სმ (ინვ. № 82—976/103; ნახ. $7_3$).

12. ჭ უ რ ჭ ე ლ ი თიხის, შავად გაპრიალებული, ოდნავ გადაწეული პირი, მაღალი ყელი, მსხლისებური კორპუსი და ბრტყელი ძირი აქვს. ყელის ძირზე ჭდეული ზოლი შემოუყვება. ჭურჭელი მორგვზეა ნაკეთები. აკლია პირის დიდი ნაწილი. სიმაღლე — 25,5, ძირის დიამეტრი — 10,4 სმ (ინვ. № 82—976/104; ნახ. $6_3$).

13. ჭ უ რ ჭ ე ლ ი თიხის, შავად გაპრიალებული; ოდნავ გადაწეული პირი, მაღალი ყელი, მსხლისებური კორპუსი და ბრტყელი მცირედ შეზნექილი ძირი აქვს. ყელის ძირზე ჭდეული ზოლი შემოუყვება. ჭურჭელი მორგვზეა ნაკეთები. სიმაღლე — 25, ძირის დიამეტრი — 9,7 სმ (ინვ. № 82—976/105; ნახ. $6_2$).

14. ჯ ა მ ი თიხის, მოყავისფრო-მოშავო, არათანაბრად გამომწვარი, ღრმა, ოდნავ პირმოყრილი და ძირისკენ შევიწროებულია, ბრტყელი, მცირედ შეზნექილი ძირით. პირთან მკვეთრი ღარი შემოუყვება. ზედაპირი გაპრიალებულია. ჯამი მორგვზე უნდა იყოს ნაკეთები. სიმაღლე — 10,2, პირის დიამეტრი — 18,4, ძირის დიამეტრი — 9,3 სმ (ინვ. № 82—976/106; ნახ. $7_6$).

15. ჯ ა მ ი თიხის, მოყავისფრო-მოშავო, არათანაბრად გამომწვარი, ღრმა, ოდნავ პირმოყრილი და ძირისკენ შევიწროებულია, ბრტყელი მცირედ შეზნექილი ძირით. პირთან მკვეთრი ღარი შემოუყვება. ზედაპირი გაპრიალებულია. ჯამი მორგვზე უნდა იყოს ნაკეთები, აკლია პირის მცირე ნაწილი. სიმაღლე — 10,4, პირის დიამეტრი — 17,1, ძირის დიამეტრი — 9,9 სმ (ინვ. № 82—976/107; ნახ. $7_5$).

16. ქ ი ლ ი ს ე ბ უ რ ი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, მოვარდისფრო-მონაცრისფრო, არათანაბრად გამომწვარი. პირი მცირედ გადაშლილი ჰქონია, მუცელი სუსტად გამობერილი, ძირი ბრტყელი; ასიმეტრიულია, ზედაპირი უსწორმასწოროა და დახეთქილი. ხელით არის ნაძერწი მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან და შლადია. აკლია პირგვერდის დიდი ნაწილი; ძირის დიამეტრი დაახლოებით — 6,5 სმ (ინვ. № 82—976/108; ნახ. $6_6$).

17. კ ო ჭ ო ბ ი (სამარილე) თიხის, მოვარდისფრო-მონაცრისფრო, არათანაბრად გამომწვარი. სუსტად პირგადაშლილი და გვერდწიბოიანია. ძირი ბრტყელი აქვს. უსწორმასწორო ზედაპირი მცირედ გაპრიალებულია. ხელით უნდა იყოს ნაძერწი. სიმაღლე — 4,7, პირის დიამეტრი — 7,3, ძირის დიამეტრი — 4,2 სმ. (ინვ. № 82—976/109; ნახ. $7_2$).

18. კ ო ჭ ო ბ ი (სამარილე) თიხის, მოვარდისფრო-მოყავისფრო, არათანაბრად გამომწვარი. სუსტად პირგადაშლილი და გვერდწიბოიანია. ძირი ბრტყელია. უსწორმასწორო ზედაპირი მცირედ გაპრიალებულია. ხელით უნდა იყოს ნაძერწი. სიმაღლე — 4,5, პირის დიამეტრი — 6,1, ძირის დიამეტრი — 4 სმ (ინვ. № 82—976/110; ნახ. $7_1$).

19. ჯ ა მ ი თიხის, მოყავისფრო-მოშავო, არათანაბრად გამომწვარი, ღრმა, ოდნავ პირმოყრილი, ძირისაკენ შევიწროებული, მცირედ შეზნექილი ბრტყელი ძირით. პირთან მკვეთრი ღარი შემოუყვება. ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული. მორგვზე უნდა იყოს ნაკეთები. სიმაღლე — 10, პირის დიამეტრი 16,5, ძირის დიამეტრი — 9,4 სმ (ინვ. № 82—976/111; ნახ. $7_7$).

20. ს ა რ ქ ვ ე ლ ი ტუფოგენური ქანისა, წრიული მოხაზულობის, ოდნავ ჩაზნექილი. დიამეტრი — 12,6 სმ (ინვ. № 82—976/112; ნახ. $6_8$).

21. მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონის, მოწითალო-მოყვითალო და თაფლისფერი. რამდენიმეს ეტყობა ზოლები. ყველა სფერული ფორმისაა და კარგად გაშლიფული. სულ 36 ცალი. აქედან 10 ც. შედარებით წვრილია, დანარჩენები საშუალო ზომის თანაბარი მძივებია (ინვ. № 82—976/113; ნახ. $6_7$; ტაბ. VI, 3).

22. ი ო ტ ე ბ ი პასტის, თეთრი ფერის, 47 ცალი (ინვ. № 82—976/114: ნახ. $6_7$).

ამით ამოიწურება სიონის № 4 ორმოსამარხის საკმაოდ ერთგვაროვანი ინვენტარი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მის აბსოლუტურ უმრავლესობას კერამიკა შეადგენს — 19 თიხის ჭურჭელი, ტუფის სარქველი და მცირეოდენი მძივები.

აღნიშნული ინვენტარის ერთი თვალის გადავლებითაც ნათელი ხდება, რომ საქმე გვაქვს შუაბრინჯაოს ხანის სამარხთან. სადღეისოდ გათხრილი შუაბრინჯაოს ხანის სამარხების მეტი წილი ყორღანებზე მოდის. ყორღანები დიდი რაოდენობითაა გათხრილი საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ეს ყორღანები განსხვავებული ზომისაა და ზოგ მათგანში მრავალრიცხოვან ინვენტართან ერთად ძვირფასი ლითონის ნაკეთობებიცაა წარმოდგენილი. მიჩნეულია, რომ ამგვარ ყორღანებში გვარის დაწინაურებულ პირებს ასაფლავებდნენ. შედარებით ნაკლები რაოდენობითაა მიკვლეული გვარის რიგით წევრთა სამარხები. სწორედ ამგვარ რიგით სამარხს უნდა წარმოადგენდეს სიონის № 4 ორმოსამარხი. მაგრამ „სიღარიბის“ მიუხედავად, იგი მრავალმხრივ საინტერესო გამოდგა. უპირველესად ყოვლისა, გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ამ მხარის არქეოლოგიური რუკა შეივსო შუაბრინჯაოს ხანის კიდევ ერთი, აქამდე უცნობი ძეგლით.

ამას გარდა, აქ დაკრძალვის მეტად საინტერესო წესია დადასტურებული. კერძოდ: სამარხის თითქმის ცენტრალურ ადგილას ყველაზე დიდი ზომის დერგი იდგა, რომელსაც ტუფის სარქველი ჰხურებია (მართალია, გათხრების დროისათვის ეს სარქველი გვერდით იყო გადავარდნილი, მაგრამ ეჭვს არ იწვევს მისი თავდაპირველი მდებარეობა და დანიშნულება). ნაწილობრივ მის გვერდით და სამარხის სიგრძივ დასავლეთისაკენ მოთავსებული იყო წვრილფეხა საქონლის, ალბათ ცხვრის, მთლიანი ჩონჩხი. სწორედ აღნიშნული დერგისა და მთლიანი ჩონჩხის გარშემო იყო შემოწყობილი სამარხის მთელი ინვენტარი; აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამარხის ის ნაწილი, სადაც ცხოველის ჩონჩხი იყო დაცული, ე. ი. მთელი ფართობის დაახლოებით მესამედი, ყოველგვარი ინვენტარისა-

გან თავისუფალი იყო. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ სარქველიანი ჭურჭელი წარმოადგენდა, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ებჯინებოდა და ნაწილობრივ მის გვერდით მდებარეობდა ჩონჩხი. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ „ცენტრალურ" ჭურჭელს და ცხოველის ჩონჩხს სამარხში თითქოს „გაბატონებული" მდგომარეობა უკავია (ნახ. 5; ტაბ. V, 1).

სამარხში ადამიანის ძვლის ნაშთიც კი არ აღმოჩენილა, სამაგიეროდ, უამრავი იყო, როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის ძვალი, ზემოაღნიშნული მთლიანი ჩონჩხის გარდა. უზარმაზარი ცხოველის ნეკნები ელაგა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩაწყობილ თიხის, აგრეთვე სხვა ჯამებზეც (სამარხის ყველა ნაწილში და თვით ძირზეც კი).

ყოველივე ამის გამო, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სიონის № 4 ორმოსამარხში ადამიანის გვამი არ დაუკრძალავთ. ვფიქრობთ, აქ საქმე უნდა გვქონდეს გვამის დაწვის წესთან, კრემაციასთან. ხოლო ცენტრალური სარქველიანი ჭურჭელი, ალბათ ურნას წარმოადგენდა, რომელშიც მიცვალებულის ფერფლი იყო ჩაყრილი.

მიცვალებულის დაკრძალვის ამგვარი წესია დადასტურებული აშურიანის ველზე, მეტეხთან და გრაკალთან გათხრილ რამდენიმე ყორღანში; კერძოდ, იქაც არ აღმოჩნდა მიცვალებულის ძვლები, სამაგიეროდ, ბლომადაა ცხოველის ძვლებიც და მთლიანი ცხვრის ჩონჩხიც დასაკრძალავი კამერის ცენტრალურ ნაწილში[1]. მაგრამ გამთხრელი შენიშნავს, რომ „მეტეხში კრემაციის მანიშნებელი ფაქტები არ დამოწმებულა. ამდენად ამ ვარაუდს ჩვენს მასალაზე ვერ გავავრცელებთ"[2]. საინტერესოა, მაშ რითი უნდა ავხსნათ ამდენი უმიცვალებულო სამარხის აღმოჩენის ფაქტი აშურიანის ველზე. თუმცა აქ ერთი (№ 5) ყორღანი გაითხარა, რომელშიც ადამიანის ჩონჩხი აღმოჩნდა მარჯვენა გვერდზე ხელ-ფეხმოკეცით მწოლარე, თავით აღმოსავლეთისაკენ. მის გარშემო და ორმოს კედლების გასწვრივ განლაგებული ყოფილა აქაური ყორღანებისათვის ტიპიური ინვენტარი, ხოლო ადამიანის ჩონჩხის პირდაპირ, ჩრდილოეთის კედელთან, ცხვრის ისეთივე მთლიანი ჩონჩხი გამოვლენილა, როგორც უმიცვალებულო ყორღანებში იყო[3]. შესაძლოა, აღნიშნული ყორღანების გამთხრელი მართალიც არის თავის დასკვნაში, როცა კრემაციას უარყოფს. დაბეჯითებით და უცილობლად ამის მტკიცება, ალბათ, არც სიონის სამარხისათვის შეიძლება, ვინაიდან ამისათვის საკმარისი გადამჭრელი ნიშანი არც ჩვენთან არის — კერძოდ, დიდი ცეცხლის კვალი, დამწვარი ძვლების ნაშთი და სხვ. მაგრამ ჩვენს სამარხში არსებული ვითარებისათვის, დაკრძალვის წესებს შორის მაინც ყველაზე მეტად, ვფიქრობთ, კრემაცია შეიძლება ვივარაუდოთ. მით უმეტეს, რომ მიცვალებულის დაწვის წესი უცხო არ არის შუაბრინჯაოს ხანის სამარხებისათვის და ჩვენშიც ბევრი ასეთი ძეგლია გათხრილი; მაგ., თრიალეთის ცნობილი ყორღანები, ზურტაკეტის, კიროვაკანის და სხვა ყორღანები.

რაც შეეხება სიონის № 4 ორმოსამარხის ინვენტარს, ისიც ტიპიური და დამახასიათებელია შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის, თუმცა ზოგ რამეში თავისებურებასაც ინარჩუნებს.

---

[1] ზ. შატბერაშვილი, მეტეხში 1966 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, XVI სამეცნიერო სესია, მოკლე ანგარიშები, თბ., 1967, გვ. 37.

[2] იქვე, გვ. 37.

[3] იქვე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპლექსში შავპრიალა მაღალყელიანი ხუთი დერგია აღმოჩენილი (ნახ. 6). ყველა ისინი ერთი ტიპის და ერთგვაროვანი ტექნიკით დამზადებული ჭურჭლებია. მათ კარგად გაპრიალებული შავი ფერის ზედაპირი და უანგობო მოშავო შიდაპირი აქვთ. კეცი ერთგვაროვანია და საშუალოდ სილანარევი. კედლის სისქე დაახლოებით 0,8 სმ-ია. აქ ჩამოთვლილი ნიშნებით აღნიშნული კერამიკა ახლოს დგას თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის III (მოგვიანო) ჯგუფის კერამიკასთან[4] (ტაბ. VI, 1, 2).

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვეულებრივ, აღნიშნული პერიოდის მაღალყელიანი შავპრიალა ჭურჭლები უყუროა და ხშირად შემკულია წერტილოვანი ორნამენტით[5]. ასეთი ჭურჭლები მრავლადაა აღმოჩენილი შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებში, მაგრამ ისინი უმეტესად უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე სიონის ჭურჭელი. ასეთებია თრიალეთის[6], ზურტაკეტის[7], ნაკალოების[8], კიროვაკანის[9], ეჩმიაძინის[10], კირგის[11] და სხვ. ყორღანების ჰიდრიები ან დერგისებური ჭურჭლები. სიონის აღნიშნული დერგები ფორმითაც და ტექნოლოგიური ნიშნებითაც ძალიან ახლოს დგანან მათთან, მაგრამ ყველა ისინი სადაზედაპირიანი ჭურჭლებია და მხოლოდ თითო ჭდეული ვიწრო ზოლი შემოუყვება ყელის ძირში. ამგვარი ფორმის ჭურჭლები ყორღანებში ზოგჯერ მოხატულიცა გვხვდება[12].

სიონის ხუთივე დერგი ერთმანეთის იდენტურია, მხოლოდ ერთი, „ცენტრალური“ ჭურჭელი გამოირჩევა სიდიდით, მისი სიმაღლე 35,2 სმ, ხოლო დანარჩენები თითქმის თანაბარია, რომელთა სიმაღლე მერყეობს 24,6-დან 26,1 სმ-მდე. ამ ჭურჭლებთან ძალიან ახლოს დგას 1979 წ. ბერიკლდეებში ნაპოვნი ანალოგიური ჭურჭელი, რომელიც თითქოს მხოლოდ ფერით განსხვავდება ჩვენი დერგებისაგან. საფიქრებელია, რომ ამ ფორმის ჭურჭლებიდან უნდა იყოს განვითარებული გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურიდან გავრცელებული შესაბამისი ფორმის ორყურა დერგები.

სიონის სამარხეული კერამიკის უდიდესი ნაწილი ჯამებზე მოდის. აქ 2 ტიპის ჯამებია წარმოდგენილი. I ტიპის ჯამები შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი და გავრცელებული ფორმისაა. ესენია საკმაოდ ღრმა, ოდნავ პირმოყრილი და ძირისკენ შევიწროებული ჯამები, რომელთაც ბრტყელი განიერი ძირი აქვთ. ზედაპირი ყველას გაპრიალებული აქვს. ისინი მორგვზეა დამზადებული. არათანაბარი გამოწვის გამო ზედაპირი ალაგ-ალაგ მოყავისფრო

---

[4] ე. გ ო გ ა ძ ე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972, გვ. 41.

[5] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969, გვ. 82.

[6] ე. გ ო გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 15, 3.

[7] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, სურ. 17.

[8] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ი. კ ი კ ვ ი ძ ე, გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციის 1974—1975 წწ. მუშაობის ანგარიში. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, გვ. 58, სურ. 7.

[9] А. А. М а р т и р о с я н, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964. табл. I, 1—4.

[10] იქვე, ტაბ. II, 1—4.

[11] С. А. Е с а я н, Древняя культура племен северо-восточной Армении, Ереван, 1976, табл. 83, 1—3, с. 102

[12] ე. გ ო გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 19, 8, 20.

და მოშავო ფერისაა. ჯამები საკმაოდ კარგი ნახელავია და მაგარკეციან ჭურჭლებს წარმოადგენს. ყველა მათგანი თითქმის მთელად შემოინახა. ამ ტიპის ჯამი № 4 სამარხში შვიდია (ნახ. 7). ამათგან ერთი სრულიად სადაზედაპირიანია (ნახ. $7_{10}$), ხუთს თითო განიერი მკვეთრი ღარი (ნახ. $7_{4-7,9}$), ხოლო მეშვიდეს ისეთივე ორი ღარი შემოუყვება პირთან ახლოს (ნახ. $7_{13}$; ტაბ. VI, 5).

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ტიპის ჯამები დამახასიათებელია შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის[13], ზოგჯერ ამგვარ ჯამებს ყურსაც უკეთებდნენ.[14].

მეორე ტიპის ჯამები შედარებით იშვიათად გვხვდება. ესაა ხელით ნაძერწი ღრმა სადაზედაპირიანი ჭურჭლები. მოყვითალო-მოვარდისფრო ზედაპირი ალაგ-ალაგ მუქი ფერის ლაქებითაა დაფარული. მოგლუვებული ზედაპირი უსწორ-მასწოროა. ასეთი სამი ჯამია სამარხში. ყველა მცირედ პირმოყრილი, ძირისაკენ სუსტად შევიწროებული, ბრტყელძირიანი, რამდენადმე ასიმეტრიული ჯამებია (ნახ. $7_{8,11,12}$; ტაბ. VI, 4). მსგავსი ჯამები აღმოჩენილია მეტეხის ჯგუფის ყორღანებში.

რაც შეეხება პირმოყრილ უყელო ჭურჭელს (ნახ. $7_3$), მისი ზუსტი ანალოგია გვხვდება მეტეხის ჯგუფის ყორღანებში, ოღონდ ზოგ მათგანს ყურიც აქვს. მსგავსი ჭურჭლები, აღმოჩენილია მესხეთ-ჯავახეთის ყორღანებშიც[15]. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ჭურჭლები გავრცელებულია გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ძეგლებზეც.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, სიონის სამარხში 2 სამარილისებური პატარა გვერდწიბოიანი ჭურჭელია აღმოჩენილი. მსგავსი ჭურჭლები ნაპოვნია აშურიანის ველის ყორღანებში, ქვასათალის № 1 სამარხში, რომელსაც გამთხრელი თრიალეთის XV ყორღანის ვერცხლის თასს ამსგავსებს[16].

ტუფის სარქველი გავრცელებულია შუაბრინჯაოს ხანის სამარხებში. ისინი აღმოჩენილია აშურიანის ველის, მესხეთ-ჯავახეთის და სხვ. ყორღანებში. ყველა სარქველი ერთმანეთის მსგავსია.

ამით ამოიწურება სიონის ორმოსამარხის კერამიკული ინვენტარი. რაც შეეხება სარდიონის კარგად გაშლიფულ მძივებს და თეთრი პასტის იოტებს, მსგავსი მძივები მრავლად გვხვდება შუაბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა ძეგლზე.

როგორც ვხედავთ, სიონის № 4 ორმოსამარხი დაკრძალვის წესითაც და ინვენტარითაც მსგავსებას იჩენს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებთან, კერძოდ კი, ამ ხანის ბოლო პერიოდის ძეგლებთან. ასევე, შუაბრინჯაოს ბოლო ხანებით უნდა დათარიღდეს სიონის № 4 ორმოსამარხიც. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ, მართალია მასალის სიმცირე დიდი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ერთი რამ თითქოს აშკარად ჩანს; სოფ. სიონის შუაბრინჯაოს ხანის სამარხეული კომპლექსი მეტ მსგავსებას

---

[13] А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, ტაბ. I, 6.

[14] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная Экспедиция в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, рис. II:3,8. ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, სურ.7. ასეთივე ყურიანი ჯამი აღმოჩნდა 1979 წ. ბერიკლდეებზე, რომლის გათხრა დაიწყო საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

[15] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე..., იქვე.

[16] О. М. Джапаридзе, Квасатальский могильник Эпохи бронзы в Юго-Осетии, КСИИМК, 1955, 60, с. 28.

იჩენს არა თრიალეთის, ე. ი. ქვემო ქართლის, არამედ შიდა ქართლის თანადროულ ძეგლებთან, როგორიცაა აშურიანის ველის ყორღანები და ახლად გამოვლენილი ბერიკლდეები.

## გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები

სოფ. სიონში 1974-77 წ. ექსპედიციამ ადგილ „ფარეხებზე“ გვიანბრინჯაოს ხანის ცხრა ორმოსამარხი გათხარა, ხოლო ერთი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შემთხვევით იქნა ნაპოვნი. ამ უკანასკნელის აღმოჩენის ვითარების შესახებ შესავალ ნაწილში გვქონდა საუბარი და აღარ გავიმეორებთ. ადგილობრივთა გადმოცემით, ჩვენამდე მოღწეული ნივთების გარდა აქ ყოფილა დიდი რაოდენობით ძვლები და თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც გადაუყრიათ. ჩვენი მოსვლის დროისათვის ამ ნივთების აღმოჩენის ადგილი დაუნგრეველი იყო. აშკარა იყო, რომ საქმე გვქონდა ორმოსამარხთან, რომელიც თანამედროვე ზედაპირიდან სულ სალაც 0,6—0,7 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა. სამწუხაროდ, აღმომჩენმა (გ. კუპატაძემ) ვერაფერი გვითხრა ჩონჩხისა და ნივთების მდებარეობა-განლაგების შესახებ.

შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ინვენტარიდან ჩვენამდე მოაღწია: თიხის სამმა ჭურჭელმა, ბრინჯაოს საკინძებმა და ე. წ. სავარცხელმა (ნახ. 3;




ნახ. 8. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ინვენტარი

ტაბ. VII). თიხის სამივე ჭურჭელი მთელია, ლითონის ნივთები კი ყველა დამტვრეული და გახეხილია. საფიქრებელია, რომ ეს დაზიანება, ძირითადად, აღმოჩენის შემდეგ მოხდა, როცა აღმომჩენი ლითონის რაობას არკვევდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამარხში თიხის ჭურჭლის სხვა ნატეხებიც ყოფილა, მაგრამ

გადაუყრიათ, ადვილი შესაძლებელია, მიწას ლითონის, თუ სხვა წვრილი ნივთებიც გაჰყოლოდა.

თიხის ჭურჭელი პატარა ზომისაა. ერთი, ყველაზე მოზრდილი ქოთანი, პირგადაკეცილია და დაბალყელიანი, შეიძლება ითქვას, უყელოა. კორპუსი მხრებთან თითქმის ჰორიზონტალურადაა განზიდული და შემდეგ თანდათან ვიწროვდება ძირისაკენ. ძირი ვიწრო და ბრტყელი აქვს. ქოთანი არათანაბრადაა გამომწვარი თუ შემდგომ მოხვედრილა ცეცხლში, ვინაიდან ღია ნაცრისფერ ზედაპირზე მოზრდილი მოშავო ლაქები ემჩნევა. ჭურჭელი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, რომელშიც წვრილმარცვლოვანი სილის და ქარსის მინარევი შეიმჩნევა. ზედაპირი სუსტად გაპრიალებულია. ქოთნის სიმაღლეა 11,8, პირის დიამეტრი — 7,3, მუცლის დიამეტრი — 16,3, ძირის დიამეტრი — 6 სმ (ინვ. № 82—976/1; ტაბ. VII, 1; ნახ. $8_3$).

მეორე ქოთანი თუ კოჭობი მოყავისფრო-ნაცრისფერია. გადაშლილი პირი, დაბალი, თითქმის ცილინდრული ყელი, მცირედ გამობერილი მუცელი და ბრტყელი არამკვეთრად გამოყოფილი ძირი აქვს. ჭურჭელი დამზადებულია საშუალოდ განლექილი თიხისაგან, რომელშიც დანაყილი ქვისა და ქარსის უმნიშვნელო მინარევი შეიმჩნევა. ზედაპირი მოგლუვებული და გაუპრიალებელია. მისი სიმაღლეა 7,9, პირის დიამეტრი — 8,5, მუცლის დიამეტრი — 11,7, ძირის დიამეტრი — 5,7 სმ (ინვ. № 82—976/2; ტაბ. VII, 3; ნახ. $8_2$).

მესამე ჭურჭელი პატარა ტუჩიან ჩამჩას წარმოადგენს, რომელსაც მოკლე ტარისებური შვერილი აქვს. ჩამჩა ნაცრისფერია, მოვარდისფრო-მოწითალო ლაქებით. იგი დამზადებულია წმინდად განლექილი თიხისაგან, რომელშიც დანაყილი ქვისა და ქარსის უმნიშვნელო მინარევი შეიმჩნევა. ზედაპირი სუსტად გაპრიალებულია. მისი სიმაღლეა — 3,6, პირის უდიდესი დიამეტრი (ტუჩთან) — 7,6 სმ, ძირიც შესაბამისად, ასიმეტრიულია, მისი დიამეტრი მერყეობს — 2,8—2,5 სმ შორის. სახელური მრგვალგანივკვეთიანია, შუა ნაწილში ოდნავ ჩადრეკილი კოჭისებურად, ბოლოში სწორად წაკვეთილი. მისი სიგრძეა 3, უდიდესი სიგანე — 1,6 სმ (ინვ. № 82—976/9; ტაბ. VII; ნახ. $8_1$).

ლითონის ნივთები, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად საკინძებითაა წარმოდგენილი. აქ გვაქვს ბრინჯაოს ლურსმნისებურთავიანი და კონუსური საკინძები. პირველი ტიპის სამი საკინძიდან, ორს წვერი აქვს მოტეხილი, მესამეს კი წვერიცა და თავიც. ღერო წვეროსაკენ გაწვრილებულია, ყველაზე მსხვილ ადგილას იგი დაბრტყელებულია და გახვრეტილი, რომლის ზემოთაც 3 კონცენტრული წიბურის მეშვეობით დაღარულია. საკინძი ლურსმნისებური ქუდით მთავრდება (ინვ. № 82—976/3—5; ტაბ. VII; ნახ. $8_{4-6}$).

მეორე ტიპის, ე. ი. ჭდეული ორნამენტით შემკული კონუსური საკინძების 4 ფრაგმენტია ნაპოვნი (სამი ფრაგმენტისაგან თითქმის მთლიანად აღდგა ერთი საკინძი, აკლია მხოლოდ წვერი). საკინძის ქვედა ნახევარი მრგვალგანივკვეთიანია, ზედა კი—რვაკუთხა; მაგრამ წიბოები იმდენად არამკვეთრია, რომ ერთი შეხედვით მრგვალსა ჰგავს. ფერდები შემკულია სხვადასხვამხრივ მიმართული მოკლე ნაჭდევების მწკრივებით ისე, რომ მთლიანობაში წიწვურ სახეს ქმნის. დაჭდეული ნაწილი ღეროსი შუა ადგილას წვრილად გახვრეტილია (სწორედ ამ ადგილზეა იგი გადატეხილი). საკინძის სიგრძე დაახლოებით 20,6 სმ-ია, უდიდესი სიგანე — 0,5 სმ (ინვ. № 82—976/6; ტაბ. VII, ნახ. $8_9$).

აქვეა კიდევ ერთი ფრაგმენტი ასეთივე საკინძისა (ინვ. № 82—976/7; ნახ. $8_8$).

სამარხიდან შემორჩენილია კიდევ ერთი ნივთი, ე. წ. სავარცხელი, რომე-

ლიც ასევე ნაკლულია. მას ოთხი კბილი და ზედა ნაწილში რქისებური შვერილები ჰქონია, რომელთაგან ერთი მოტეხილია. ასევე მომტვრეულია კბილებიც (ინვ. № 82—976/8; ტაბ. VII, ნახ. $8_7$).

ამით ამოიწურება სოფელ სიონიდან შემოსული შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ინვენტარი.

ადგილ „ფარეგებზე“ 1974 წელს ორი სამარხი გაითხარა.

№ 1 სამარხი ხევის პირიდან დაახლოებით 1,5 მ-ით იყო დაშორებული (შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით). აქ ითხრებოდა 8×4 მ სადაზვერვო თხრილი, რომლის შუა და აღმოსავლეთი ნაწილი მოზრდილი ქვების წყობას ეკავა. ქვებიდან დასავლეთით, დაახლოებით 0,70-მ-ზე თიხის




ნახ. 9. ორმოსამარხი № 1, გეგმა

ქურქლის პირი გამოჩნდა. თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ სამარხი ქვების ქვეშ შედიოდა, მაგრამ პრეპარაციამ დაგვანახა. რომ სამარხს მეტად პატარა ადგილი ეჭირა და ქვებს ებჯინებოდა, ხოლო ქვები უფრო ღრმად ჩადიოდა. დაკრძალული იყო ბავშვი მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი ხელებით და ფეხებით. ორმო მკვეთრად არ იხაზებოდა. ჩონჩხი ცუდად იყო შე-

ნახული. ჩაშლილ თავის ქალას რამდენადმე შეცვლილი ჰქონდა მდებარეობა, იგი თითქოს კისრით იყო დადებული მიწაზე. კბილები გაბნეული იყო. მიცვალებულს თავქვეშ მოზრდილი ბრტყელი ქვა ედო. სამარხის სიგრძე — 0,65, სიგანე — 0,55, ძირი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,75 მ-ზე მდებარეობდა. მიცვალებული დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (მცირეოდენი გადახრით), თავით დასავლეთისაკენ (ტაბ. VIII; ნახ. 9).

ინვენტარი სამარხის სამხრეთ ნაწილში იყო განლაგებული. სამარხში აღმოჩნდა:




ნახ. 10. № 1 ორმოსამარხის ინვენტარი

1. თიხის ხელადა, ნაცრისფერი, მუცელგამობერილი (ბრტყელი), ოდნავ ამოზნექილი ძირით. მხარზე შემოუყვება 3 (ზოგ ადგილას 4) ასიმეტრიული ჰდეული ზოლი. მრგვალგანივკვეთიანი ყური ძირთანვე მოტეხილია. აკლია ყური და პირი. ჩარხზეა ნაკეთები; ზედაპირი ალაგ-ალაგ მქისეა. თიხაში შეიმჩნევა სილის მინარევი. სიმაღლე — 15,7, ძირის d — 8,9, მუცლის d — 19 სმ. იდგა მიცვალებულის სახის წინ (ინვ. № 82—976/15, ნახ. $10_1$).

2. თიხის ჯამი, ლანგრისებური, ნაცრისფერი, გვერდწიბოიანი, პირი ბაკოიანი, გვერდი ოდნავ შეზნექილი. ბრტყელი ძირი არამკვეთრადაა გამოყოფილი. ნაკეთებია წმინდა თიხისაგან, ზედაპირი ზოგან ამოჩვრეტილია. აღდგენილია. სიმაღლე — 5, პირის d — 22,5, ძირის d — 10,5 სმ; იდგა მიცვალებულის მუცლის არეში (ინვ. № 82—976/16; ნახ. $10_3$).

3. თიხის კოჭობი (ტოლჩა), შავი ფერის, ცალყურა, გვერდწიბოიანი, წელშეზნექილი, ბრტყელი ძირით. პირთან ერთი ღარი შემოუყვება. ბრტყელი ოთხკუთხაგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და გვერდწიბოზე, რომელიც ზედა ნაწილში შემკულია მუთაქისებური დანაძერწით. ყური მთელ სიგრძეზე შვეულად ჩაღარულია. გაპრიალებული ზედაპირი ბევრგან გადაფცქვნილია და ყავისფერი კეცი ჩანს. თიხაში შეიმჩნევა სილის მინარევი. აღდგენილია. სიმაღლე — 6,3, პირის d — 7,7, ძირის d — 3,5 სმ. იდგა მიცვალებულის მარცხენა მუხლთან (ინვ. № 82—976/17, ნახ. $10_2$).

4. ბრინჯაოს სამაჯური წრიული მოხაზულობის, ბოლოგახსნილი. ბოლოები ოდნავ გადადის ერთმანეთზე. ღერო ოვალურგანივკვეთიანია. უდიდესი დია-

მეტრი — 4,9 სმ. აღმოჩნდა თიხის ჯამის ქვეშ, მიცვალებულის მარცხენა მაჯის ძვალზე (ინვ. № 82—976/19; ნახ. $10_5$).

5. ბრინჯაოს ხვია რკალნახევრიანი, წრიული მოხაზულობის; ნაკეთებია წვრილი ბრტყელი მავთულისაგან. დიამეტრი — 1,5 სმ. იდო ჯამის გვერდით, სამხრეთიდან. ალბათ თითზე ჰქონდა გაკეთებული ბავშვს (ინვ. № 82—976/18; ნახ. $10_4$).

ს ა მ ა რ ხ ი № 2 პირველიდან ჩრდილო დასავლეთით მდებარეობდა და დაახლოებით 2 მეტრით იყო დაშორებული (ნახ. 1). ორმო აქაც არ იხაზებოდა.




ნახ. 11. ორმოსამარხი № 2, გეგმა

ჩონჩხი კი ბევრად უარესად იყო დაცული, ვიდრე პირველ სამარხში. თავის ქალას ფრაგმენტები დასავლეთით მდებარეობდა. დანარჩენი ძვლები ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ძნელია დაბეჯითებით რაიმეს თქმა. პრეპარაციის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მსგავსად № 1 სამარხისა, აქაც ჩონჩხი დამხრობილი იყო დასავლეთიდან — აღმოსავლეთისაკენ, იწვა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოკრუნჩხული, ხერხემალიც კი მოხრილი იყო. ძვლები თითქმის ნაცრად იყო გადაქცეული და მიკარებისთანავე იშლებოდა. ფეხის ლულოვან ძვლებს, შეიძლება ითქვას, რომ ვერ მივაკვლიეთ. სამარხში გაბნეული კბილების მიხედვით აქაც ბავშვი იყო დაკრძალული, უფრო პატარა, ვიდრე პირველში. ასეთივე ცუდ მდგომარეობაში იყო თიხის ჭურჭელი, რომელიც იმდენად იყო დალეწილი, რომ შემდგომ მათი აღდგენაც ვერ მოხერხდა; დიდი ნაწილები აკლ-




ნახ. 12. № 2 ორმოსამარხის ინვენტარი

და. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ბრინჯაოს 2 სატევარი, რომელიც ამ სამარხში აღმოჩნდა და საკმაოდ კარგადაც შემოინახა. მიცვალებული აქაც, მსგავსად № 1 სამარხისა, პატარა ორმოშია დაკრძალული, რომლის სიგრძე 0,95 მ იყო. სიგანე — 0,85 მ, ხოლო სიღრმე — 0,7 მ (ნახ. 11). სამარხში აღმოჩნდა:

1. თიხის ჯამი, ნაცრისფერი, ლანგრისებური, გვერდწიბოიანი, შედრეკილი გვერდით; ბრტყელი ძირი არამკვეთრადაა გამოყოფილი. ზედაპირი სუსტად გაპრიალებულია. თიხაში შეიმჩნევა წმინდა სილის მინარევი. დამზადებულია ჩარხზე. ჯამს დიდი ნაწილი აკლია. ძირის d—7 სმ. ჯამი თავის ქალას უკან (ე. ი. ჩრდილოეთის მხრიდან) მიყუდებული იყო ქვაზე (ინვ. № 82——976/21, ნახ. $12_9$).

2. თიხის ტოლჩა მოყვითალო-მონაცრისფრო, ქილისებური ფორმის, ოდნავ შეზნექილი ყელით, რომლის ქვევით ოდნავ დაირიბებული ასიმეტრიული მოკლე ნაჭდევების მწკრივი შემოუყვება; ძირისაკენ მცირედ შევიწროებულია; ვანიერი ბრტყელი ძირი არამკვეთრადაა გამოყოფილი. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილი ყოფილა მხარსა და მუცელზე. ტოლჩა ხელით არის ნაძერწი უხეშად. თიხაში შეიმჩნევა თეთრი სილის მინარევი. აკლია პირგვერდის ნაწილი და ყური. სიმაღლე — 12,5, ძირის დიამეტრი — 6 სმ. მიყრდნობილი იყო ზემოთ განხილულ ჯამზე. ერთი ფრაგმენტი მოშორებით, სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა — სხვა ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად (ინვ. №82—976/22; ნახ. $12_{10}$).

3. თიხის ქილა, ნაცრისფერი, მინიატურული; ოდნავ პირმოყრილი, ძირისაკენ თანაბრად ვიწროვდება. ბრტყელი ძირი მკვეთრადაა გამოყოფილი. პირს ქვევით დაბალრელიეფური განიერი სალტე შემოუყვება. დამზადებულია წმინდა თიხისაგან; ზედაპირი სუსტად გაპრიალებული ყოფილა. ამჟამად ალაგ-ალაგ დახეთქილია და ამოჩხვლეტილი. აღდგენილია. აკლია დიდი ნაწილი. სიმაღლე — 8 სმ, ძირის d — 3,3 სმ. ქილის ფრაგმენტები ეყარა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში (ინვ. № 82—976/24; ნახ. $12_4$).

ამათ გარდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა შავი ფერის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი და დასავლეთ ნაწილში ნაცრისფერი ჭურჭლის ფრაგმენტები (ნახ. $12_{5-8}$).

4. სამარხის კერამიკული ინვენტარიდან საყურადღებოა თიხის ჭურჭლის ნატეხებისაგან დამზადებული (გამოხერხილი) პატარა რგოლები თუ „დისკოები“ — წრიული მოხაზულობის ნივთები. სამარხში 18 ასეთი რგოლია ნაპოვნი, ყველა სხვადასხვა ზომისაა; უდიდესის დიამეტრი 7 სმ-ია, უმცირესისა — 3,2 სმ. მათ დასამზადებლად გამოუყენებიათ როგორც მეტ-ნაკლებად ბრტყელი და სადა ნაწილები თიხის ჭურჭლისა, ისევე გადრეკილი (ალბათ ჭურჭლის მხარყელისა) თუ ორნამენტირებული ნატეხებიც. ზოგი მათგანი საკმაოდ სქელკედლიანია, ზოგი მეტად უხეში კეცისაა. ეს რგოლ-დისკოები ეყარა მიცვალებულის სავარაუდო მუცლის არეში (ინვ. № 82—976/25; ნახ. $12_{11}$).

5. ბრინჯაოს სატევარი ვიწრო მაღალი ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობის პირითა და დაბალი წვერმომრგვალებული სატარეთი, რომლის ძირთან ნაპირებზე 2 სამანჭვლე ნახვრეტი აქვს დატანებული. სატევარს მთელ სიგრძეზე, თითქმის სატარეს ბოლომდე გასდევს არამკვეთრი შუაქედი, რომელიც განივკვეთში განზიდულ რომბსა ჰქმნის. ნაპირები გათხელებულია და წა-




ნახ. 13. № 3 ორმოსამარხის ინვენტარი

მახული. სატევარი მეტად სიმეტრიულია და კარგი ნახელავობით გამოირჩევა. მისი სიგრძე 22,5 სმ-ია, აქედან სატარეს სიგრძე — 3 სმ, უდიდესი სიგანე — 4,4 სმ. აქვეა 2 მანჭვალი, რომელთა სიგრძე 1,5 სმ-ია. მანჭვლებს ბოლოები გამსხვილებული აქვს, ალბათ ხის ტარში იყო ჩამაგრებული. სატევარი იდო სამარხის სამხრეთ ნაწილში, წვერით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, თიხის დისკოების სამხრეთით (ინვ. № 82—976/26; ნახ. $12_1$; ტაბ. IX, 1).

6. ბრინჯაოს სატევარი, ყუნწიანი, ვიწრო, გრძელი, ოდნავ „ალისებურად" გამოყვანილი პირითა და ბრტყელი, ზევითკენ ოდნავ შევიწროებული ყუნწით, რომელიც ბოლოში გადატეხილია. გადატეხის ადგილას მრგვალი ნახვრეტი უნდა ყოფილიყო, რაც გადანატეხშიც შეიმჩნევა. მხრები სატევარს ასიმეტრიული აქვს — ერთი სწორია, მეორე კი ოდნავ დაქანებული. პირს მთელ სიგრძეზე დაუყვება არამკვეთრი შუაქედი, რომელიც ნაპირებისაკენ თანაბრად დაბლდება. ცალ მხარეს შერჩენილი ჰქონდა ტყავისებური მასის ნაშთი. სიგრძე — 21,5 სმ-ია, ყუნწის სიგრძე — 2,2 სმ, უდიდესი სიგანე — 3,4 სმ. იდო პირველი სატევარის დასავლეთით, წვერით მიცვალებულის სახისკენ (ინვ. № 82—976/27; ნახ. $12_2$; ტაბ. IX, 2).

7. ბრინჯაოს რგოლი წრიული მოხაზულობის, ბოლოგახსნილი; ნაკეთებია მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისაგან. დიამეტრი — 2,6 სმ, აღმოჩნდა თავის ქალას ქვეშ (ინვ. № 82—976/29; ნახ. $12_2$; ტაბ. IX, 3).

ს ა მ ა რ ხ ი № 3 გაითხარა 1975 წელს; იგი მდებარეობდა № 2 სამარხის ჩრდილოეთით 2 მ-ზე. (ნახ. 1). სამარხი ორმო წინა სამარხებთან შედარებით კარგად იხაზებოდა. მისი სიგრძე — 1,20, სიგანე — 0,80, სიღრმე — 0,75 მ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ძვლები აქაც ცუდად იყო შენახული, იმის დადგენა მაინც მოხერხდა, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოხრილი ფეხებით და ხელებით. დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, თავით დასავლეთისაკენ. თავის ქალა რამდენადმე ჩაბრუნებული იყო სახით მიწისაკენ, ქვედა ყბა მარცხენა ყურის ადგილთან იდო. მოშორებით ეგდო ერთი კბილი და საერთოდ, ძვლების გარკვეულ ნაწილს სამარხში ვერ მივაკვლიეთ — კერძოდ, ხელის მტევნებისა და ფეხის ტერფების ძვლებს, ნეკნების ნაწილს, ხერხემლის მალების დიდ ნაწილს (მხოლოდ 2 მალა იდო ადგილზე), თავის ქალას თითქმის ნახევარს და ა. შ. ვფიქრობთ, რომ აქაურ კირიან ნიადაგში ძვლები ცუდად ინახება და ზოგჯერ მათი კვალიც კი ქრება, ვინაიდან ჩონჩხი დაძრულს არა ჰგავდა და ბუნებრივ მდგომარეობაში იყო (ტაბ. VIII, 2). სამარხში აღმოჩნდა:

1. თიხის ჯამი, მოშავო-მონაცრისფრო, ლანგრისებური, გვერდწიბოიანი, ბაკოიანი პირით და ვიწრო ბრტყელი ძირით. ქვედა ნაწილი შემკულია სხივური ორნამენტით — ძირიდან გვერდითი წიბოსაკენ მიმართული ნაპრიალები ზოლებით. თიხაში შეიმჩნევა თეთრი სილის მინარევი. კეცი შავი ფერისაა. სიმაღლე — 5, პირის დიამეტრი — 19, ძირის დიამეტრი — 6,7 სმ. იდო მიცვალებულის სახესთან, ხელებზე (ინვ. № 82—976/49; ნახ. $13_4$).

2. თიხის დოქი, მოყავისფრო, ცალყურა, პირგადაშლილი, ყელგანიერი; მუცელი ზედა ნაწილშია გამობერილი; ძირი ბრტყელი, მრგვალგანივკვეთიანი, ყური მიძერწილია მხარსა და პირზე. ყური ზედა ნაწილში, პირთან, ჰორიზონტალურად სამგანაა ამოჩხვლეტილი. მხარსა და მუცელზე ორ-ორი ჰდეული

ზოლი შემოუყვება. დოქი სუსტადაა გამომწვარი და ამდენად ძლიერ დაშლილია. აკლია დიდი ნაწილი. მუცლის დიამეტრი — 23,5, ძირის დიამეტრი — 9,7 სმ. ჩაშლილი იყო მიცვალებულის კეფასთან (ინვ. № 82—976/48; ნახ. $13_6$).

3. თიხის დოქი, ნაცრისფერი, ცალყურა, ოდნავ გადაშლილი ბაკოიანი პირით, მუცელგამობერილი, ოდნავ ამობურცული ძირით. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მხარზე და პირს ქვემოთ. ყურის ზედა ნაწილში მუთაქისებური მასიური დანაძერწი აქვს. ყურის ძირთან შემოუყვება ძნელად შესამჩნევი 3 კონცენტრული ღარი თუ ნაპრიალები ზოლი. კორპუსის ზედა ნაწილი დაფარულია ურთიერთგადამკვეთი ნაპრიალები ზოლებით, რომლებიც რომბისებურ ბადურას ჰქმნიან, ქვედა ნაწილი კი შვეული ნაპრიალები ზოლებით. დოქი შედარებით თხელკედლიანია, თიხაში შერეულია წმინდა სილა; ეტყობა ჩარხის კვალი. აკლია პირყელის მცირე ნაწილი. სიმაღლე — 28,5, პირის დიამეტრი — 10,6, მუცლის დიამეტრი — 24,5, ძირის დიამეტრი — 9 სმ. იდგა მიცვალებულის ფეხებთან (ინვ. № 82—976/47; ნახ. $13_5$).

4. ბრინჯაოს სატევარი ვიწრო გრძელი პირით, რომელსაც ნაპირები მცირედ გამოყვანილი აქვს. სატარე ნაწილს ნაპირები მომტვრეული აქვს. სატარეს ძირში, ნაპირებთან სიმეტრიულად განლაგებულია 2 სამანჭვლე ნახვრეტი. პირს მთელ სიგრძეზე გასდევს არამკვეთრი შუაქედი, რომელიც ნაპირებისკენ თანდათან დაბლდება. ახლავს 2 მანჭვალი. ერთი იმავე ტიპისაა, როგორიც № 2 სამარხში აღმოჩენილ სატევარს ჰქონდა, ოთხკუთხა განივკვეთის მქონე — 1,9 სმ სიგრძის, ბოლოებში გამსხვილებული ღერო, მეორე კი უფრო წვრილი მავთულია, ბოლოებისკენ მოღუნული. სატევრის სიგრძე — 21,5 სმ, უდიდესი სიგანე — 4,1 სმ. იდო სამარხის შუა ნაწილში, იატაკზე, მარჯვენა ბარძაყის ძვლის პარალელურად. წვერით მენჯისაკენ (ინვ. № 82—876/50; ნახ. $13_1$).

5. ბრინჯაოს საკინძი, ლურსმნისებურთავიანი; ღეროს თავთან 3 ღარი შემოუყვება, რომლის ქვევით მრგვალი ნახვრეტია გაკეთებული. საკინძის სიგრძე — 12,8, ქუდის დიამეტრი — 1,2 სმ. იდო ბრინჯაოს სატევრის თავთან, ირიბად; თავით მიმართული იყო მარჯვენა მუხლსა და მარცხენა იდაყვს შორის (ინვ. № 82—976/51; ნახ. $13_3$).

6. ბრინჯაოს ჩქიფი, ორად გატეხილი. ზედაპირზე წერტილოვანი ორნამენტი შეიმჩნევა. თითოეული ნატეხის სიგრძე — 6,5 სმ. იდო ბრინჯაოს სატევართან, თავით მის ქვეშ შედიოდა, ბოლოები კი მენჯის ძვლისაკენ ჰქონდა მიმართული (ინვ. № 82—976/52; ნახ. $13_2$).

7. ორი ხვია დამზადებული ბრინჯაოს წვრილი მავთულისაგან, ორრკალნახვევრიანი. როგორც ჩანს, მძივებად იყო ასხმული, ვინაიდან მათთან ერთად აღმოჩნდა და ერთი მიქანგული იყო სარდიონის მძივზე. (ინვ. № 82—976/55; ნახ. $13_8$).

8. სარდიონის მძივები, 40 ცალი, სხვადასხვა ფერის, მოყვითალოდან — მუქ წითლამდე. 4 ცალი ჰობილი მძივია, 2 ცალი — კასრისებური, დანარჩენი მანდარინისებურია. მძივები ცალი მხრიდანაა გახვრეტილი. აღმოჩნდა თავის ქალასა და დოქის აღების შემდეგ (ინვ. № 82—976/53; ნახ. $13_7$).

9. ძვლის მძივი, მოზრდილი ცილინდრული, რომელსაც ნაპირებთან 3—3 ჰდეული ზოლი შემოუყვება. შუა ნაწილში სიგანეზე განიერი გამჭოლი ნახვრეტი აქვს გაკეთებული. მძივის სიგრძე 2 სმ-ია, დიამეტრი — 0,9 სმ (ინვ. № 82—976/54; ნახ. $13_9$).

ცხრილი 2

| ანალიზის №№ | ნივთის დასახელება | ნივთის № | აღმოჩენის ადგილი და წელი | ქიმიური რაოდენობითი ანალიზის შედეგები %-ში | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | Cu | Sn | Pb | Fe | Zn | As | Sb | Ni | Bi | Ag | CO | Ti |
| 797 | სატევარი | 82—976:50 | სიონი, 1975 წ. სამარხი № 3 | ძ. ბევრი | 0,05 | 0,15 | ~1 | — | 4,3 | 0,3 | 0,02 | — | ~0,1 | — | 0,1 |
| 798 | სატევარი | სავ № XII—13 | სიონი, 1976 წ. | ძ. ბევრი | 0,08 | 0,17 | 0,6 | — | 5,5 | 0,3 | 0,02 | — | ~0,1 | — | 0,02 |
| 799 | საკინძი | სავ. № XII—14 | სამარხი № 5 | ძ. ბევრი | 0,1 | 0,16 | 0,5 | 0,1 | 4,2 | ~2 | 0,01 | — | ~0,1 | — | 0,02 |
| 800 | სატევარი | 82—976/26 | სიონი, 1974 წ. | ძ. ბევრი | 0,03 | 0,16 | ~1 | ~2 | 3,2 | 0,3 | 0,02 | — | ~0,1 | 0,2 | 0,01 |
| 801 | სატევარი | 82—976/27 | სამარხი № 2 | ძ. ბევრი | 0,8 | 0,17 | 0,3 | 0,1 | 2,6 | 0,6 | 0,01 | — | ~0,1 | უ/კვ. | 0,01 |

ამავე წელს გაითხარა შუაბრინჯაოს ხანის სამარხი (№ 4), რომელიც ცალკეა განხილული ნაშრომის წინა თავში.

როგორც დავინახეთ, ზემოთ განხილული სამივე სამარხი ერთგვაროვანია როგორც სამარხის აგებისა თუ დაკრძალვის წესით, ისე სამარხეული ინვენტარით. ისინი შემთხვევით აღმოჩენილ სამარხთან ერთად ერთ ჯგუფად იყვნენ განლაგებულნი, ერთმანეთისაგან სულ რაღაც 1,5—2 მ-ის დაშორებით. მათგან ჩრდილო-დასავლეთით მიკვლეულ იქნა სამარხთა მეორე ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთს ემსგავსება და რამდენადმე განსხვავდება პირველი ჯგუფის სამარხებისაგან. სწორედ აქ მდებარეობდა ჩვენს მიერ 1976 წელს გათხრილი სამარხები.




ნახ. 14. ორმოსამარხი № 5, გეგმა

ს ა მ ა რ ხ ი № 5[17] B — 78 კვადრატის ჩრდილოეთით მდებარეობდა, მცირედ გადადიოდა — 79 კვადრატში. დაზიანებულ სამარხში გადარჩენილა ჩონჩხის ზედა ნაწილი თავისი ინვენტარით, მენჯის ქვევით კი აღარაფერი იყო. ერთი შეხედვით, ეს სამარხიც წინა წლებში გათხრილ სამარხებს ჰგავდა. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა, ხელები სახესთან ჰქონდა მიტანილი, რომელზეც ლანგრისებური ჯამი ედგა მსგავსად № 1 სამარხისა. მაგრამ პირველივე თვალში საცემი მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენ იყო დამხრობილი. ჩონჩხი შედარებით

[17] ორმოსამარხები №№ 5, 6, 7 გაითხარა 1976 წელს.




ნახ. 15. № 5 ორმოსამარხის ინვენტარი

უკეთ იყო შენახული, მაგრამ აქაც ხელის ფალანგები გაბნეული იყო სამარხის სხვადასხვა ადგილას. ორმო კარგად იხაზებოდა; გადარჩენილი ნაწილის სიგრძე იყო 0,85, სიგანე — 0,75, სიღრმე — 0,7 მ (ნახ. 1, 14; ტაბ. VIII, 3), სამარხში აღმოჩნდა:

1. თიხის ჯამი მოშავო ზედაპირით, ლანგრისებური, გვერდზე პირთანვე 2 განიერი ღარი შემოუყვება. ძირი ბრტყელია. ქვედა ნაწილი შემკულია ნაპრიალები ზოლებისაგან შექმნილი სხივური ორნამენტით, რომელიც ძნელად შეიმჩნევა. შიდა პირი აფცქვნილია და გამოჩენილია მოყვითალო-ყავისფერი კეცი. სიმაღლე — 6,3 სმ; პირის დიამეტრი — 20 სმ. იდო მიცვალებულის მარჯვენა ხელზე (სავ. № XII—10, ნახ. $15_6$).

2. თიხის ხელადა, მოყავისფრო-მოყვითალო, ცალყურა, მცირედ გამობერილი მუცლით და ოდნავ ამოზნექილი ძირით. მხარზე 2 ჰდეული კონცენტრული წრე შემოუყვება. ნაძერწია სილანარევი თიხისაგან, კეცი ყავისფერია. დაზიანებულია, აკლია პირი, ყური, კორპუსის ნაწილები. მუცლის დიამეტრი — 22,5; ძირის დიამეტრი — 9,5 სმ. იდო მიცვალებულის კეფასთან (სავ. № XII—11, ნახ. $15_4$).

3. თიხის ჯამი, ნაცრისფერი, შავი ლაქებით, ბადიისებური, გვერდწიბოიანი, პირი გადაწეულია, ძირი ვიწრო და ბრტყელი. გვერდზე 3 არამკვეთრი განიერი ღარი შემოუყვება. ქვედა ნაწილი შემკულია დაირიბებული ნაპრიალები ზოლებისაგან შექმნილი სხივური ორნამენტით. ეტყობა ჩარხის კვალი. ნაძერწია სილანარევი თიხისაგან. სიმაღლე — 8,3, პირის დიამეტრი — 15, ძირის დიამეტრი — 5,5 სმ, იდო მიცვალებულის ზურგს უკან (სავ. № XII—12, ნახ. $15_5$).

4. ბრინჯაოს სატევარი გრძელი სიმეტრიული პირით, რომელიც მომრგვალებული წვერით მთავრდება. სატარე ნაწილი ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისაა, რომელსაც წვერი გადატეხილი აქვს. სატარეს ძირთან სიმეტრიულად განლაგებულია 2 სამანჭვლე ნახვრეტი. მთელ სიგრძეზე, სატარეს ჩათვლით, გასდევს არამკვეთრი ქედი, რომელიც ნაპირებისაკენ თანდათან დაბლდება. გამოირჩევა კარგი ნახელაობით. სიგრძე — 31,6, უდიდესი სიგანე — 5,7 სმ, იდო მიცვალებულის წელის არეში. სამარხის გარდი-გარდმო, წვერით აღმოსავლეთისაკენ, თავით მარცხენა იდაყვთან (სავ. № XII—13; ნახ. $15_1$; ტაბ. IX, 3).

5. ბრინჯაოს საკინძი, რომელიც ზედა ნაწილში ოვალურად გახვრეტილია, მის ზევით 2 წიბური შემოუყვება და მთავრდება მრგვალბრტყელი ბურთულით. საკინძის სიგრძე — 11,5 სმ-ია. იდო სატევრის სატარეზე წვერით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (სავ. № XII—14; ნახ. $15_3$).

6. ბრინჯაოს საკინძი, ლურსმნისებურთავიანი, ზედა ნაწილში ოვალური ნახვრეტით, სიგრძე — 12,3, ქუდის დიამეტრი — 1,2 სმ. იდო ზემოთ განხილულ საკინძთან ერთად (სავ. № XII—14, ნახ. $15_2$).

7. ბრინჯაოს ისრისპირი, სამკუთხა ქედიანი პირითა და მრგვალგანივკვეთიანი წვრილი ყუნწით. მთლიანი სიგრძე — 6,6, ყუნწის სიგრძე — 3,6 სმ. გაჰედილი იყო ადამიანის ნეკნის ძვალში (სავ. № XII—15, ნახ. $15_7$; ტაბ. IX, 4).

ს ა მ ა რ ხ ი № 6 მდებარეობდა № 5 სამარხის აღმოსავლეთით (B — 27, 28, 37, 38 კვადრატებში, მათ საზღვართან) 8 მეტრზე. სამარხი ორმო კარგად იხაზებოდა. იგი კუთხეებმომრგვალებულ წაგრძელებულ ოთხკუთხედს წარმოადგენდა, რომლის სიგრძე 1,05, ხოლო სიგანე — 0,90 მ იყო. მიცვალებული დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, თავით ჩრდილოეთისაკენ. იგი

იწვა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი ფეხებითა და ხელებით. ჩონჩხი სხვა სამარხებთან შედარებით კარგად და სრულად იყო შენახული. მენჯის ძვალი შედარებით მაღლა მდებარეობდა (ტაბ. VIII, 4; ნახ. 1; 16). სამარხში აღმოჩნდა:

1. თიხის ჯამი, ნაცრისფერი, ლანგრისებური, ბაკოიანი პირით, წიბოიანი, ოდნავ შედრეკილი გვერდით და არამკვეთრად გამოყოფილი ოდნავ ამობურცული ძირით. შიდაპირი ნაცრისფერია, გარედან რუხი ფერისაა ნაცრისფერი ლა-




ნახ. 16. ორმოსამარხი № 6, გეგმა

ქებით. გარეთა პირზე ალაგ-ალაგ ეტყობა სხვადასხვა მიმართულების ზოლები, რაც ზედაპირის გაპრიალების თუ მოგლუვების შედეგი უნდა იყოს. ნაძერწია სილანარევი თიხისაგან; შიდაპირი აფცქვნილია და მქისე. სიმაღლე — 5,8, პირის დიამეტრი — 22 სმ. იდგა მიცვალებულის ხელებზე (სავ. № XII—21; ნახ. $17_2$).

2. თიხის ჯამი, შავი ფერის, მონაცრისფრო ლაქებით, ბადიისებური; ბაკოიანი პირით, წიბოიანი „გოფრირებული" გვერდით და ბრტყელი ძირით. ქვედა ნაწილი შემკულია სხივური ორნამენტით, რომელიც შექმნილია არათანაბარი სიგანის ნაპრიალები ზოლებით. ნაძერწია თეთრი სილანარევი თიხისაგან. კეცი ყავისფერია. ზედაპირი უმეტეს ნაწილზე მქისეა დაზიანებისა თუ დანალექის შედეგად. აღდგენილია. მცირე ნაწილი აკლია. სიმაღლე — 8,8, პირის დიამეტრი — 16 სმ. მიდგმული იყო მიცვალებულის ზურგზე (სავ. № XII—22; ნახ. $17_1$).

3. თიხის დერგი, მოყავისფრო-მონაცრისფრო; ვიწრო ბაკოიანი პირით, დაბალი ყელით, ზედა ნაწილში გამობერილი კორპუსით, სადაც ორი ბრტყელი




ნახ. 17. 1—3. № 6 ორმოსამარხის ინვენტარი; 4—6. № 7 ორმოსამარხის ინვენტარი

ყური აქვს მიძერწილი, ბრტყელი ძირით. შემკულია ნაპრიალები ორნამენტით, ყელის ძირში და ყურების გასწვრივ კონცენტრული ასიმეტრიული ზოლებია დატანილი, ხოლო კორპუსის ზედა და ქვედა ნაწილებში შვეული ზოლები. ამგვარი შემკულობის შედეგად ჭურჭელი ორფრად გამოიყურება — ნაპრიალები ზოლები ყავისფერია, ხოლო მისგან თავისუფალი ადგილები ნაცრისფერი. დერგი ნაძერწია სილანარევი თიხისაგან; ეტყობა ჩარხის კვალი, პირის მცირე ნაწილი აკლია. სიმაღლე — 29,2, მუცლის დიამეტრი — 28 სმ. იდგა მიცვალებულის ფეხებზე (სავ. № XII — 23, ნახ. $17_3$).

სამარხი № 7 მდებარეობდა B — 47 კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნაწილობრივ გადადიოდა B — 48 კვადრატში, № 6 სამარხის დასავლეთით, 1,5 მ-ის დაშორებით. ოვალური ფორმის ორმოს სიგრძე 1,30, სიგანე — 1, სიღრმე 0,7 მ-ია. მიცვალებული დაკრძალული იყო ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე, თავით ჩრდილოეთისაკენ.




ნახ. 18. ორმოსამარხი № 7, გეგმა

ჩონჩხს მეტად ორიგინალური მდებარეობა ჰქონდა. შემორჩენილი ძვლები შედარებით კარგად იყო შენახული, მაგრამ გარკვეული ნაწილი აკლდა. თავის ქალა მარჯვენა გვერდზე იდო, წელსზედა ნაწილი ზურგზე ესვენა; მარჯვენა ხელი სახესთან ჰქონდა მიტანილი, მარცხენა კი გულზე ედო. ქვედა კიდურების ძვლები გვერდზე ელაგა, ხოლო მენჯი და ხერხემლის ნაწილი საერთოდ არ იყო (ნახ. 1; 18; ტაბ. VIII, 5).

სამარხში აღმოჩნდა:

1. თიხის ჯამი, ყვითელი ფერის, შავი ლაქებით; ლანგრისებური, წიბოია-

ნი, ოდნავ გადაშლილი გვერდით და ბრტყელი ძირით. ეტყობა ჩარხის კვალი. ნაძერწია სილანარევი თიხისაგან, ზედაპირი მქისეა. სიმაღლე — 5,5, პირის დიამეტრი — 19,7, ძირის დიამეტრი — 6,5 სმ. იდგა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მარჯვენა ხელის მაჯის ძვალთან (სავ. № XII — 24; ნახ. $17_4$).

2. თიხის დერგი მონაცრისფრო-მოვარდისფრო, ოდნავ გადაშლილი პირით, დაბალი ყელით და ბრტყელი ძირით. კორპუსის ყველაზე განიერ ადგილას მიძერწილი ჰქონია 2 ბრტყელი ყური. ზედაპირი სუსტად გაპრიალებულია. ეტყობა ჩარხის კვალი. აკლია მცირე ნაწილები. სიმაღლე — 24, მუცლის დიამეტრი — 23,5 სმ. იდგა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მიცვალებულის მარცხენა მხრის ძვალთან (სავ. № XII—25; ნახ. $17_6$).

3. ბრინჯაოს საკინძი, ლურსმნისებურთავიანი, ზედა ნაწილში ოვალური ნახვრეტით. მცირედ დაზიანებულია. სიგრძე — 11 სმ. იდო სამარხის შუა ნაწილში, იქ, სადაც მიცვალებულის წელია სავარაუდებელი და სადაც ძვლის ნაშთიც კი არ იყო. იდო წვერით აღმოსავლეთისაკენ (სავ. № XII—26; ნახ. $17_5$).

ს ა მ ა რ ხ ი № 8[18] მდებარეობდა B—67, 68, 77, 78 კვადრატების საზღვარზე (ნახ. 1), დამხრობილი იყო ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე. სამწუხაროდ, იგი დაზიანებული დაგვხვდა — მონგრეული ჰქონდა სამხრეთი ნაწილი. გადარჩენილი ნაწილის სიგრძე — 0,90, სიგანე — 0,65, სიღრმე 0,7 მ იყო. ჩონჩხი ცუდად იყო შენახული; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ, თავით ჩრდილოეთისაკენ. მოხრილი ხელები სახესთან უნდა ჰქონოდა მიტანილი, თუმცა მაჯისა და მტევნების ძვლები ადგილზე არ აღმოჩნდა. ქვედა კიდურების ადგილი ძვლებიანად მონგრეული იყო. პრეპარაციის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ სამარხში უძრავად იდო მხოლოდ თავის ქალა, რომელიც ერთგან ჩახვრეტილი ყოფილა ადრევე. ნეკნების ძვლები გაბნეული იყო მისგან სამხრეთითაც (სადაც, ბუნებრივია, უნდა ყოფილიყო კიდეც) და ჩრდილოეთითაც (ტაბ. XI, 1). სამარხის ალაგების შემდეგ კიდევ უფრო აშკარად გამოჩნდა ძვლების არეულობა და არაბუნებრივი განლაგება. სამარხში აღმოჩნდა:

1. ქოთანი თიხის, მოშავო ფერის, ნაცრისფერი ლაქებით; განიერი პირი ოდნავ გადაწეულია; ზედა ნაწილში მცირედ გამობერილი კორპუსი ძირისკენ ვიწროვდება. ძირი სუსტად ამოზნექილია. სიმეტრიულად განლაგებული ორი ბრტყელი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. შემკულია ჭდეული ორნამენტით — მხარზე შემოუყვება სწორი და ტეხილი ზოლებისაგან შემდგარი განიერი სალტე. ზედაპირი სუსტად გაპრიალებული ყოფილა, რომელზეც ძნელად შეიმჩნევა შეღული ნაპრიალები ზოლები. ქოთანი დამზადებულია ჩარხზე, მცირედ დაზიანებული და აღდგენილია. სიმაღლე — 16,2, პირის დიამეტრი — 14,8, ძირის დიამეტრი — 7,6 სმ (სავ. № XIII—5; ნახ. $19_1$). იდგა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.

2. კოჭობი თიხის, მოყვითალო-მოვარდისფრო. პირთან სუსტად პროფილირებული, ქვევით მცირედ გამობერილი და მრგვალძირიანი. ზედაპირი უსწორმასწორო და ალაგ-ალაგ ამოჩხვლეტილია. ნაკეთებია ხელით, უხეშად, ასიმეტრიულია. მცირედ დაზიანებული და აღდგენილია. სიმაღლე — 8,3, პირის

[18] ორმოსამარხები № 8, 9 და 10 გაითხარა 1977 წ.




ნახ. 19. 1,2 № 8 ორმოსამარხის ინვენტარი; 3—7. № 9 ორმოსამარხის ინვენტარი; 8—12. № 10 ორმოსამარხის ინვენტარი

დიამეტრი — 5,9 სმ (სავ. № XIII—6; ნახ. $19_2$). ჩადგმული იყო ზემოაღწერილ ქოთანში.

ს ა მ ა რ ხ ი № 9 მდებარეობდა B—16, A—06 კვადრატების საზღვარზე (ნახ. 1). ადგილ „ფარეხებზე“ მანამდე გათხრილ ყველა სამარხისაგან განსხვავებით, ამჯერად ორმოს ზევიდან დაწყობილი იყო ქვის ბრტყელი ფილები, ღორღი და რიყის ქვები (ტაბ. X, 1); ქვებით მოფენილი ფართობის სიგრძე — 2, ხოლო სიგანე 1 მ იყო. ღორღისა და რიყის ქვების ქვეშ ბრტყელი ფილაქვები გამოჩნდა (ტაბ. X, 2), რომლის ფართობი ნაკლები იყო — სიგრძე — 1,5, სიგანე კვლავ 1 მ დარჩა. ქვის ფილები რამდენადმე არეულად ეწყო, ერთი მათგანი ცალი ბოლოთი ისე ღრმად იყო მიწაში ჩასმული, რომ მისი აღებისთანავე თიხის დოქის პირი გამოჩნდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პირველი შემთხვევაა ამ სამაროვანზე, რომ ორმოსამარხი ზევიდან ფილაქვებით იყო გადახურული.




ნახ. 20. ორმოსამარხი № 9

სამარხი დამხრობილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე, მსგავსად №№ 1—3 სამარხებისა. ორმოს სიგრძე — 1,2, სიგანე — 0,7 მ, სიღრმე მიწის ზედაპირიდან 1,2 მ-ზე, ხოლო ნულის წერტილიდან 1,5 მ იყო. სამარხში ბავშვი იყო დაკრძალული. ჩონჩხი ძლიერ დაშლილ-დაზიანებული იყო, ძვლების გარკვეული ნაწილი მტვრად იყო ქცეული; შედარებით უკეთ იყო გადარჩენილი ქვედა კიდურების ძვლები. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა მოხრილი ხელ-ფეხით, თავით დასავლეთისაკენ (ტაბ. X, 3; ნახ. 20).

სამარხში აღმოჩნდა:

1. დოქი თიხის, მოყვითალო-მოვარდისფრო. პირგადაშლილი, განიერი

კონუსური ყელით, მრგვალი მუცლით და ბრტყელი ძირით. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხართან. მხარსა და მუცლის ზედა ნაწილში ორ-ორი არამკვეთრი ღარისებრი ზოლი შემოუყვება. ზედაპირი სუსტად გაპრიალებული უნდა ყოფილიყო. კორპუსის ქვედა ნაწილზე შეიმჩნევა ჰორიზონტალური უსისტემო ზოლები, ალბათ ზედაპირის დამუშავების დროს დამჩნეული. კეცი ნაპირებთან აგურისფერია, შუაში — ნაცრისფერი. აკლია პირის მცირე ნაწილი. სიმაღლე — 27, პირის დიამეტრი — 10,3, ძირის დიამეტრი — 8,8 სმ (სავ. № XIII—14; ნახ. $19_3$). იდგა სამარხის სამხრეთ ნაპირთან, მიცვალებულის გულმკერდის წინ.

2. თიხის ჯამი, ნაცრისფერი, მუქი ლაქებით. პირგადაწეული, გვერდწიბოიანი, ვიწრო ბრტყელი ძირით. გვერდი წიბოს ზევით გოფრირებულია, წიბოს ქვევით კი შემკული ყოფილა ნაპრიალები ზოლებისაგან შედგენილი სხივური ზოლებით. ჯამის ეს (ქვედა) ნაწილი ზოგან გადაქერცლილია და გამოჩენილია ჩარხის ნაკვალევი — კონცენტრული ზოლები. ასეთივე კონცენტრული ზოლები შეიმჩნევა ძირსა და შიდაპირზე. თიხაში შერეულია წმინდა მოთეთრო სილა და ქარსი. სიმაღლე — 6,8, პირის დიამეტრი — 13,4, ძირის დიამეტრი — 5 სმ (სავ. № XIII—15; ნახ. $19_5$). იდგა მიცვალებულის სახესთან.

3. ჯამი თიხის, მოწითალო-მონაცრისფრო, არათანაბარი ფერის ზედაპირით და ნაცრისფერი შიდაპირით. პირგადაწეული, გვერდწიბოიანი, ვიწრო ბრტყელი ძირით. გვერდზე წიბოს ზევით ერთი მკვეთრი ვიწრო ღარი შემოუყვება, ქვედა ნაწილში კი შემკული ყოფილა სხივური ნაპრიალები ზოლებით. ჯამის ქვედა ნაწილზე გადაფცქვნილ ადგილებსა და ძირზეც შეიმჩნევა ჩარხის კვალი — კონცენტრული ზოლები. კეცი მოწითალო ფერისაა, თიხაში თეთრი და შავი ფერის საკმაოდ მსხვილი მინარევი შეიმჩნევა. სიმაღლე — 4,7, პირის დიამეტრი — 14,2, ძირის დიამეტრი — 5,4 სმ (სავ. № XIII—17; ნახ. $19_4$). ჩადგმული იყო მოზრდილ ჯამში დოქის გვერდით, აღმოსავლეთიდან.

4. ჯამი თიხის, ლანგრისებური, მოყვითალო-მოვარდისფრო, ზედაპირზე მუქი ლაქებით, გვერდწიბოიანი, ბრტყელი ძირით. თითქმის სწორი გვერდის პირთან და წიბოსთან თითო არამკვეთრი ღარი შემოუყვება. ჯამი აღდგენილია, ზედაპირი ზოგან დაზიანებულია. შეიმჩნევა ჩარხის კვალი. სიმაღლე — 6,5, პირის დიამეტრი — 20,6, ძირის დიამეტრი — 7,8 სმ (სავ. № XIII—16; ნახ. $19_6$). იდგა სამარხის სამხრეთ ნაწილში, დოქის გვერდით, შიგ ჩადგმული იყო მეორე ჯამი.

5. სატევარი ბრინჯაოსი, გრძელი, მხრებთან გაზიდული და მომრგვალებული პირი მკვეთრად ვიწროვდება და საკმაოდ ვიწრო, თითქმის პარალელურგვერდებიანი წვერით მთავრდება. წვერწაკვეთილი სამკუთხედის ფორმის სატარე ნაწილზე სამი სამანჭვლე ნახვრეტია დატანილი. მთელ სიგრძეზე გასდევს მომრგვალო ქედი, რომელიც ზედა, განიერ ნაწილში უფრო მკვეთრად გამოიყოფა. ნაპირები და წვერი მახვილია, გაწმენდილია და კარგად შენახული. სიგრძე — 25,8, უდ. სიგანე — 4,6 სმ (სავ. № XIII—18; ნახ. $19_7$). აღმოჩნდა სამარხის შუა ნაწილში, წვერით თითქმის ებჯინებოდა ერთმანეთში ჩადგმულ ჯამებს.

სამარხი № 10 მდებარეობდა № 9 სამარხის სამხრეთით, დაახლოებით 3 მეტრზე; B—15, A—05 კვადრატების სამხრეთ განაპირას (ნახ. 1). სამარხი ორმო ზევიდან ქვის სამი ბრტყელი ფილით იყო გადახურული, რომლებიც ნაწილობრივ ერთმანეთზე გადადიოდა (ტაბ. XI, 2). სახურავის მიხედვითაც ჩანდა,




ნახ. 21. ორმოსამარხი № 10, გეგმა

რომ პატარა სამარხთან გვქონდა საქმე. ორმო კარგად იხაზებოდა (ტაბ. XI, 3). მისი სიგრძე — 1, ხოლო სიგანე — 0,58 მ იყო. სამარხის ძირი მიწის ზედაპირიდან 1,5 მ-ზე მდებარეობდა, აბსოლუტური დონე კი — 1,9 მ. დაკრძალული იყო ბავშვი. ჩონჩხი ძალიან ცუდად იყო შენახული, ძვლები თითქმის მტვრად იყო ქცეული. აქა-იქ გაბნეული ძვლების ნაშთის გამოცნობაც კი ჭირდა. ორმო ორიენტირებული იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე (მცირე გადახრით). თავის ქალის ნაშთი დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა. დაბეჯითებით მტკიცება ძნელია, მაგრამ, ვფიქრობთ, მიცვალებული მარჯვენა გვერდზე უნდა ყოფილიყო დაკრძალული. სამარხის დასავლეთ ნაწილში ცალ-ცალკე ეწყო ლულოვანი ძვლები, ალბათ ზედა კიდურებისა, შუა ნაწილში — ნეკნების ფრაგმენტები; მათი ალაგების შემდეგ გამოჩნდა რამდენიმე კბილი, ალბათ ქვედა ყბა უნდა ყოფილიყო. პრეპარაციის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ ზედ დაუდგამთ თიხის ჭურჭელი. თიხის ჯამებში ცხოველის ძვლები ეყარა (ნახ. 21).

სამარხში აღმოჩნდა:

1. დოქი თიხის, ცალყურა, მოყავისფრო; მცირედ პირგადაშლილი, განიერი კონუსური ყელით, მსხლისებური კორპუსითა და ბრტყელი ძირით. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე, რომლის ქვედა ბოლო მთავრდება სამსხივიანი რელიეფით. მხარსა და მუცელზე შემოუყვება სამ-სამი ჭდეული ზოლი. კორპუსზე შეიმჩნევა შვეული ნაპრიალები ზოლები. ზედაპირი მოგლუვებულია, თიხაში საკმაოდ მსხვილი მინარევი შეიმჩნევა. ჩამოტეხილი ჰქონდა პირის ნაწილი, რომელიც ნაწილობრივ აღდგა. აკლია მცირე ნაწილები. სიმაღლე — 26, პირის დიამეტრი — 9,9, ძირის დიამეტრი — 8,2 სმ (სავ. № XIII—29; ნახ. $19_8$). იდგა სამარხი ორმოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირთან.

2. ჯამი თიხის, ფიალისებური, მოყვითალო ფერის, მოშავო ლაქებით, გვერდწიბოიანი, თითქმის სწორ გვერდზე შუა ნაწილში ძნელად შესამჩნევი ჭდეული ზოლი შემოუყვება. ჯამი ჩარხზეა ნაკეთები, რომლის კვალი კონცენტრული ზოლების სახით შეიმჩნევა შიდაპირზეც და უფრო ნაკლებად, გარეპირზეც. ზედაპირი მქისეა და რამდენადმე დაზიანებული. თიხაში წმინდა მინარევი შეიმჩნევა. სიმაღლე — 5,7, პირის დიამეტრი — 13,5, ძირის დიამეტრი — 4,8 სმ (სავ. № XIII—30; ნახ. $19_{10}$). იდგა ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ორმოს კედელსა და თავის ქალას შორის.

3. ჯამი თიხის, შავი ფერის, მოყვითალო ლაქებით; ლანგრისებური, გვერდწიბოიანი. თითქმის სწორი გვერდი პირთან მცირედ გადაშლილია, წიბოს ქვევით მკვეთრად ვიწროვდება. ეს ნაწილი დაფარულია მჭიდრო კონცენტრული ზოლებით, რაც ჯამის ძირზეც გადადის. შიდაპირი სუსტად გაპრიალებული ყოფილა, ალაგ-ალაგ შეიმჩნევა სხვადასხვა მიმართულების ნაპრიალები ზოლები. კეცი მოყვითალოა; ჯამი აღდგენილია ნატეხებისაგან. სიმაღლე — 6,3, პირის დიამეტრი — 23,5, ძირის დიამეტრი — 7.6 სმ (სავ. № XIII—31; ნახ. $19_{12}$). ჩაჭედილი იყო ორმოს კედელსა და თავის ქალას შორის სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

4. ჯამი თიხის, ბადიისებური, მონაცრისფრო-მოშავო, არათანაბარი ფერის, პირგადაშლილი, გვერდწიბოიანი (ბიკონუსური კორპუსით), ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული. ქვედა ნაწილზე შეიმჩნევა ნაპრიალები ზოლები, რომელიც სხივების სახით უნდა ყოფილიყო დატანილი. ზედაპირი სუსტად გაპრია-

ლებული ყოფილა. შიდაპირზეც და გარეპირზეც შეიმჩნევა ჩარხის კონცენტრული ზოლები. კეცი მონაცრისფროა. აკლია პირის მცირე ნაწილი. სიმაღლე — 7,7, პირის დიამეტრი — 13,4, ძირის დიამეტრი — 5 სმ (სავ. № XIII—32; ნახ. 19$_{11}$). იდგა ორმოს ჩრდილო ნაპირთან.

5. საკინძი ბრინჯაოსი, მრგვალთავიანი; მრგვალგანივკვეთიანი ღერო წვეროსკენ ვიწროვდება, თავისკენ მცირედ დაბრტყელებული და გახვრეტილია. ნახვრეტსა და თავს შორის ღერო „გოფრირებულია". სიგრძე — 12,1 სმ (სავ. № XIII—35; ნახ. 19$_9$). აღმოჩნდა ორმოს ჩრდილოეთით, ჯამებს შორის.

6. მძივი სარდიონის, კასრისებური ფორმის, მოწითალო ფერის, ცილინდრული ვიწრო ნახვრეტით. სიგრძე — 1,3 სმ, უდიდესი განივკვეთი — 0,8 სმ (სავ. № XIII—34). აღმოჩნდა ორმოს აღმოსავლეთ ნაპირთან.

ამრიგად, 1974—77 წლებში სოფ. სიონში, ადგილ „ფარეხებზე" ექსპედიციამ გვიანბრინჯაოს ხანის ცხრა სამარხი გათხარა, ხოლო ერთი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შემთხვევით იქნა აღმოჩენილი. ყველა სამარხი, ძირითადად, ერთმანეთის მსგავსია, თუმცა ზოგიერთი განსხვავებაც შეინიშნება. აღნიშნული სამარხები ორმოსამარხების ტიპს განეკუთვნება; ყველა მათგანში თითო სუბიექტია დასაფლავებული; ერთგვაროვანია სამარხის აგებისა და დაკრძალვის წესი, ინვენტარის ჩატანების წესი და სხვ.

როგორც გათხრებმა დაგვანახა, „ფარეხებზე" მიცვალებულებს ასაფლავებდნენ მომცრო ორმოებში, რომელთაც კუთხეებმომრგვალებული წაგრძელებული ოთხკუთხედის ან ოვალის ფორმა აქვს. ამ ორმოების სიგრძე საშუალოდ 1—1,20 მ-ია, სიგანე — 0,8—0,9 მ, სამარხის ძირი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან საშუალოდ 0,7—0,8 მ-ზე მდებარეობს. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ №№ 9 და 10 სამარხები წარმოადგენდა, რომელთაგან პირველის სიღრმე — 1,2 მ, ხოლო მეორისა 1,5 მ იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გათხრების დროისათვის მხოლოდ ეს ორი სამარხი ორმო იყო ფილაქვებით გადახურული. შესაძლოა, თავის დროზე დანარჩენ სამარხებსაც ჰქონდა ამგვარი სახურავი და გვიან, მიწის სამუშაოების შედეგად დაზიანდა. მიცვალებულები ყველა შემთხვევაში გვერდზე წვანან მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, მოხრილი კიდურებით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს № 7 სამარხი, რომელშიც ჩონჩხი წელს ზევით გულაღმა იყო, წელს ქვევით კი — მარჯვენა გვერდზე, მოხრილი ფეხებით; მარჯვენა მხარეზე იდო თავის ქალაც, ხოლო მენჯი და წელის არეში ძვლები საერთოდ არ იყო შემორჩენილი (ნახ. 18, ტაბ. VIII, 5). მაგრამ ეს შემთხვევა არატიპიურია და რაღაც გარკვეული მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული. აღნიშნული ცხრა სამარხიდან ხუთში ბავშვია დაკრძალული (№№ 1—3, 9, 10 სამარხები), ხოლო ოთხში — მოზრდილი ადამიანი (№№ 5—8 სამარხები); ყველა მათგანი მარჯვენა გვერდზეა დასვენებული. გვიანბრინჯაოს ხანის საქართველოს სხვადასხვა სამაროვნებზე დადასტურებული წესის ანალოგიით, თავდაპირველად ვფიქრობდით, რომ „ფარეხებზე" ჯერჯერობით მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელთა სამარხებს მივაკვლიეთ. მაგრამ ძვლების შესწავლამ სხვა სურათი დაგვანახა[19]. გაირკვა, რომ № 7 სამარხში 25—30 წლის ქალია

---

[19] ადამიანის ძვლების შესწავლაში დიდ დახმარებას გვიწევს ექიმი პ. ფირფილაშვილი და ზოგჯერ მეტად საინტერესო მონაცემებს გვაწვდის. ამ მიმართებით ნაშრომში მოტანილი ყველა დასკვნაა. ფირფილაშვილს და ანთროპოლოგ ლ. ასლანიშვილს ეკუთვნით, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

დაკრძალული, თუმცა ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე ესვენა. კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა სპეციალისტების დაკვირვება ამავე სამარხის თავის ქალაზე: მარცხენა თხემის ძვლის არეში ტრეპანირებული ხვრელია; იქვე, იმავე ძვალზე, თხემთაშუა ნაკერის მახლობლად აღინიშნება ჩაღრმავება, რაც მიყენებულია მკვრივი და მაგარი საგნით. ტრავმა და ტრეპანაცია სიკვდილის მიზეზი არ გამხდარა; პირიქით, ერთ-ერთი ხვრელი აშკარად წარმოადგენს სიცოცხლეში სამკურნალო მიზნით ოპერაციის გზით მიყენებულ დეფექტს — ტრეპანაციას. აღნიშნული დეფექტი მიგვანიშნებს, რომ პიროვნებას ოპერაციის შემდეგაც უცოცხლია.

ასეთივე საინტერესო დაკვირვების საშუალება მოგვცა № 8 სამარხის თავის ქალამაც. აქ დაკრძალული ყოფილა 45—50 წლის მამაკაცი. ამ შემთხვევაში ჩაჭყლეტილი იყო თხემის ძვალი, ე. ი. დაზიანებული იყო კომპაქტური და ღრუბლოვანი შრეები. ჭრილობა შეხორცდა და სუბიექტს ამის შემდეგაც უცოცხლია.

მეტად საინტერესო ფაქტია დადასტურებული № 5 სამარხში, სადაც ადამიანის ნეკნის ძვალში ბრინჯაოს ისრისპირი იყო გარჭობილი (ტაბ. IX, 4). სპეციალისტების აზრით, ისარმა გაიარა გულმკერდის მე-3 და მე-4 ნეკნშუა სივრცე, დააზიანა ფილტვები და გულმკერდის ორგანოები, მოხვდა მე-10 ნეკნში და ორად გაჰყო იგი — ზემოდან ქვემოთ მიმართულებით. აქედან ირკვევა, რომ ეს პიროვნება ისრის მოხვედრის მომენტში ან მოხრილი იყო, ან ისარი ზევიდან ესროლეს. მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობა თავისთავად სასიკვდილო არ ყოფილა, სუბიექტი მალე გარდაცვლილა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკვლევ სამარხებში ინვენტარის ჩატანების ერთგვაროვანი წესია დადასტურებული. თიხის ჭურჭელი ძირითადად იდგმევა მიცვალებულის თავთან და ფეხებთან, აგრეთვე — ზურგსუკან ან მუცელთან. ამასთანავე ლანგრისებური ჯამები უმეტეს შემთხვევაში ხელის მტევნებზე დევს (მაგალითად, სამარხები №№ 1—3, 5—7, 10), ბადიისებური ჯამები კი — ზურგსუკან (მაგალითად, სამარხები №№ 5, 6, 10), ხელადები თუ დოქები, ან მოზდილი დერგები — თავთან ან ფეხებთან (მაგალითად, სამარხები №№ 1, 3, 5—7, 10). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი ერთგვაროვანია ბავშვებისა თუ მოზრდილთა სამარხებში; იმდენად ერთგვაროვანია, რომ ბავშვებს ბრინჯაოს სატევრებსაც კი ატანდნენ მოზრდილთა მსგავსად.

ამ სამარხებს შორის ერთადერთი თვალშისაცემი განსხვავება დამხრობაში მდგომარეობს — ბავშვები, როგორც წესი, დაკრძალულნი არიან დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე, თავით დასავლეთისაკენ, ხოლო მოზრდილები — ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე, თავით ჩრდილოეთისაკენ.

საინტერესოა ერთი გარემოება. სამარხები ძეგლზე ჯგუფებად არის განლაგებული. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ცხრა სამარხია გათხრილი, ამგვარი წესის დადგენა მაინც მოხერხდა. ბავშვების სამარხები თითქმის მწკრივად არის განლაგებული ხუდისწყლის ნაპირთან, ე. ი. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ; ასეთებია, №№ 1—3, 9 და 10 სამარხები; ხოლო მოზრდილთა სამარხები ასევე მწკრივადაა განლაგებული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ასეთებია №№ 5—8 სამარხები (იხ. ნახ. 1).

მსგავსი ვითარება საკმაოდ იშვიათად არის შენიშნული სამაროვნებზე საერთოდ და კერძოდ, გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნებზე. პირველი ძეგლი, სადაც

აღნუსხულია მიცვალებულთა დაკრძალვა სქესისა და ასაკის მიხედვით, მადნისჭალის სამაროვანია, რომლის გამთხრელი ნ. თუშიშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავდა: „მიცვალებულთა დაკრძალვა სქესისა და ასაკის შესაბამისად მათთვის საგანგებოდ გამოყოფილი ერთი სამაროვნის სხვადასხვა უბნებზე, დღემდე შესწავლილ ჩვენთვის ცნობილ სხვა ძეგლებში არსად არის დამოწმებული. ამ მხრივ იგი, ნაცნობი მასალის ფონზე, უნიკალურად გამოიყურება და ცოდნის დღევანდელ დონეზე განსახილველი სამაროვნის ლოკალურ თავისებურებას უნდა მივაწეროთ"[20]. ამჟამად კი ჩვენ უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფ. სიონის სამაროვანი მეორე ძეგლია, სადაც მიცვალებულთა დაკრძალვა ასაკის შესაბამისად ხდებოდა. მართალია, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, სიონში ჯერჯერობით ძალიან პატარა სამუშაოებია ჩატარებული, ამდენად მონაპოვარიც მცირეა, რაც შორს წამსვლელი დასკვნების გამოტანის საშუალებას ამ ეტაპზე არ იძლევა, მაგრამ იმის მიხედვით, რაც გვაქვს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სიონში მოზარდებსა და სრულასაკოვნებს ცალ-ცალკე ასაფლავებდნენ; გარდა ამისა, მკაცრადაა განსაზღვრული მათი დაკრძალვის ორიენტაციაც — ბავშვები თავით დასავლეთისაკენ წვანან, მოზრდილები კი — თავით ჩრდილოეთისაკენ. მადნისჭალის სამაროვანზე კი სხვადასხვაგვარი ორიენტაციაა სამარხებისა: O—W, NW—SO, N—S. ამასთანავე თავით ხან ერთ მხარესაა მიმართული მიცვალებული და ხან მეორე. ასევე არ არის შენიშნული, რომ ერთი ასაკის და სქესის სუბიექტები ყოველთვის ერთგვარი ორიენტაციით იმარხებოდნენ[21]. ამგვარად, სოფ. სიონის სამაროვანი ზემოთ განხილული ნიშნებით ზოგად მსგავსებას იჩენს ქვემო და შიდა ქართლის სინქრონულ ძეგლებთან, მაგრამ კონკრეტულად ყველაზე ახლოს მადნისჭალის სამაროვანთან დგას. ასეთივე ვითარება შეინიშნება სამარხეულ ინვენტარშიც.

„ფარეხებზე" მოპოვებული არქეოლოგიური მასალის დიდი ნაწილი კერამიკაზე მოდის. ყველა სამარხში საშუალოდ 3 თიხის ჭურჭელია. საკმაო რაოდენობითაა ლითონის ნაწარმიც. იარაღი ერთადერთი სახეობით არის წარმოდგენილი — ბრინჯაოს სატევრებით. გვხვდება აგრეთვე სამკაულიც: ბრინჯაოს საკინძები, სამაჯური თუ რგოლები. იშვიათადაა სარდიონის მძივები.

თიხის ჭურჭელი დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ყველაზე მრავლადაა ნაპოვნი ლანგრისებური ჯამები, რომლებიც, როგორც წესი, ყველა სამარხშია ჩატანებული. ე. ი. სულ ცხრა ამგვარი ჯამია ნაპოვნი, ყველა ერთი ტიპის გვერდწიბოიანი ჭურჭელია, რომლებიც რამდენადმე ზომებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

შედარებით ნაკლები რაოდენობისაა ღრმა, ბადიისებრი ჯამები. ესენიც გვერდწიბოიანი ჭურჭლებია, რომელთაც გვერდი ღრმად დაღარული, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გოფრირებული აქვთ. ჩვენს სამარხებში ხუთი ამგვარი ჯამია ნაპოვნი.

ორივე ტიპის ჯამებს ქვედა ნაწილი, ე. ი. კალთა ზოგჯერ შემკული აქვთ ნაპრიალები ორნამენტით, რომელიც, ძირითადად, ძირიდან სხივურად იშლება გვერდებისკენ (იხ. ნახ. $13_4$; $15_{5,6}$).

---

[20] ნ. თუშიშვილი, მადნისჭალის სამაროვანი, თბ., 1972, გვ. 69.
[21] იქვე, გვ. 24—57.

ორივე ტიპის ჯამები გავრცელებულია გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებზე, კერძოდ, მადნისჭალის სამაროვანზე[22], ბეშთაშენში[23], კასპში[24], სამთავროს სამაროვანზე[25], თბილისში (ნავთლუღი)[26], ღრმახევისთავში[27] და სხვ. ყველა ეს ძეგლი, ზოგადად, ძვ. წ. XIV—XII სს. ფარგლებში ექცევა.

ჯამებთან ერთად გვხვდება დოქები (ნახ. $10_1$; $13_{5,6}$; $15_4$; $19_{3,8}$), მოზრდილი ორყურა დერგისებური ჭურჭლები (ნახ. $17_{3,6}$), რომელთაგან ერთი საკმაოდ რთული ნაპრიალები ორნამენტითაა შემკული. ეს ჭურჭლებიც გავრცელებულია გვიანბრინჯაოს ხანის ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებზე.

აღნიშნულთან ერთად, ერთეული ცალებითაა წარმოდგენილი პატარა გვერდწიბოიანი ტოლჩა (ნახ. $10_2$), ორყურა ქვაბქოთანი (ნახ. $19_1$), რომელიც კარგი ნახელაობით გამოირჩევა და სხვ.

ამით ამოიწურება, ძირითადად „ფარეხების“ კერამიკული ინვენტარი, რომელიც ემსგავსება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვემო და შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნებიდან მომდინარე თიხის ნაწარმს. უფრო საყურადღებო და საინტერესოა ლითონის ინვენტარი.

როგორც აღვნიშნეთ, „ფარეხების“ სამარხეულ ინვენტარში იარაღის მხოლოდ ერთი სახეობა გვხვდება — სატევარი, თუმცა ეს იარაღი თავისი „მრავალფეროვნებით“ იქცევს ყურადღებას. სულ აქ 5 სატევარია ნაპოვნი და გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ მათგან 4 სატევარი ბავშვების სამარხებიდან მომდინარეობს (2 სატევარი № 2 და თითო — №№ 3 და 9 სამარხებიდან). მეხუთე სატევარი თავისი დიდი ზომით გამოირჩევა და მეტად მახვილ, მრისხანე იარაღს წარმოადგენს (იხ. ნახ. $15_1$). აღნიშნული სატევრებიდან ერთია ყუნწიანი (ნახ. $12_2$), დანარჩენი კი, ზოგადად, ალბათ „ფოთლისებურ“ სატევრებს შეიძლება მივამსგავსოთ. მაგრამ ეს მსგავსება მეტად მიახლოებითი და პირობითია. სინამდვილეში კი ისინი განსხვავდებიან არა მარტო ჩვენთვის ცნობილ ე. წ. „ფოთლისებურ“ სატევრებისაგან, არამედ ერთმანეთისაგანაც (იხ. ნახ. $12_1$; $13_1$; $15_1$; $19_7$). ყოველ მათგანს პირის მთელ სიგრძეზე გასდევს არამკვეთრი შუაქედი, რომელიც ნაპირებისკენ თანდათან დაბლდება და განივკვეთში ძლიერ განზიდულ რომბს ჰქმნის. სატარეზე ყველასა აქვს სამანჭვლე ნახვრეტები, სამს — ორ-ორი, ხოლო ერთს (№ 9 სამარხიდან) სამი. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ პირველ სამ სატევარს ერთნაირად ჰქონია ტარი მიმაგრებული, რაზეც მიგვანიშნებს სატარეზე შერჩენილი ანაბეჭდი (ნახ. $12_1$; $13_1$; $15_1$). ამით ამოიწურება, თითქოს მათი მსგავსება. განსხვავებანი მათ შორის უფრო მეტია. დავიწყოთ სატარეთი. მართალია სატარე ნაწილი დაუზიანებლად მხოლოდ ერთს, № 2 სამარხის, სატევარს შემორჩა (დანარჩენებს მცირედ დაზიანებული აქვთ),

---

[22] ნ. თუშიშვილი, დასახ. ნაშრომი, სურ. 5, 8, 11, 23, 27, 31, 34 და სხვ.

[23] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, ტაბ. XVIII; . მენაბდე, თრიალეთი გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში (ძვ. წ. XIV—VI სს), სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაბეჭდი), 1973, ტაბ. 4.

[24] მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, IV, თბილისი. 1965, გვ. 40, ტაბ. II, 11.

[25] ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957, სურ. 8.

[26] დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1955, ტაბ. XXX.

[27] ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, ნახ. 152, 168 და სხვ.

მაგრამ მაინც შეიძლება განსხვავების დაჭერა. მაგალითად, თუ ერთი სატევრის სატარეს (№ 3 სამარხისას) ოდნავ დაქანებული მხრები აქვს (იხ. ნახ. $13_1$), მეორესას (№ 2 სამარხიდან) — საშუალოდ დაქანებული და მთლიანობაში დაბალ ტოლფერდა სამკუთხედს წააგავს, მომრგვალებული წვერით. მესამე სატევრის სატარეს (№5 სამარხიდან) ძლიერ დაქანებული მხრები აქვს, რომლის ზედა ნაწილი გადატეხილია. ამჟამად ეს ნაწილი წვერწაკვეთილ ტოლფერდა სამკუთხედს წარმოადგენს, თუმცა გადანატეხზე აშკარად ეტყობა, რომ ეს ნაწილი მაღალი უნდა ყოფილიყო, ალბათ ყუნწისებურად ბოლოვდებოდა. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა ასეთი დიდი ზომის იარაღის დამაგრება ტარზე (იხ. ნახ. $15_1$). კიდევ უფრო განსხვავებულია მეოთხე სატევრის სატარე, რომელიც ასევე აშკარად გადატეხილია წვერთან და სამი სამანჭვლე ნახვრეტიცა აქვს (იხ. ნახ. $19_7$).

ასევე შეიმჩნევა განსხვავებანი სატევრის პირის მოყვანილობაშიც. პირველი სატევარი (სამარხი № 3) შუა ნაწილამდე ვიწროვდება, აქ თითქოს გამოყვანილია და ქვედა მხარე თითქმის თანაბარ სიგანეზეა წაგრძელებული; მთავრდება მომრგვალებული წვერით. ამის გამო ზედა და ქვედა ნაწილების განივკვეთიც განსხვავებულია. შუა ნაწილს ქვემოთ სატევრის განივკვეთი განზიდული რომბისებურია, ზედა ნაწილში კი ნაპირები გათხელებულია და ძლიერ წამახული.

მეორე სატევარი (სამარხი № 2) მეტისმეტი სიმეტრიულობით გამოირჩევა. მისი პირი სატარედან მომრგვალებულ წვერამდე თანაბრად ვიწროვდება და წვერისკენ ოდნავ, სრულიად შეუმჩნევლად გამოყვანილია თითქოს. ნაპირები ამ სატევარსაც მახვილი აქვს. ზომით, განხილული ორივე სატევარი, თითქმის თანაბარია.

მესამე სატევარი დანარჩენებზე ბევრად დიდია. თუ მათი სიგრძე 21,5 და 22 სმ-ია, ეს უკანასკნელი 31,8 სმ-ის სიგრძისაა და მეტად ძლიერი იარაღია, რომელიც ზომით მახვილს უახლოვდება. მისი ნაპირები თანაბრად ვიწროვდება და მომრგვალებული წვერით მთავრდება. ამ სატევარს ნაპირებიცა და წვერიც მახვილი აქვს; ნაპირებზე, თითქოს დანარჩენი ორის მსგავსად, გალესვის კვალიც ეტყობა.

კიდევ უფრო ორიგინალური ფორმისაა მეოთხე სატევარი. იგი განივრდება სატარე ნაწილის ძირთან, მაგრამ მალევე მკვეთრად ვიწროვდება და წაგრძელებული, თითქმის პარალელურგვერდებიანი წვერით მთავრდება.

როგორც ვხედავთ, ზემოთ აღწერილი სატევრები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან შიდა ქართლში გავრცელებული ე. წ. „ფოთლისებური“ სატევრებისაგან და არა მარტო მათგან. შეიძლება ითქვას, რომ მათი ზუსტი ანალოგია ჩვენ არსად გვეგულება. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს № 2 სამარხის სატევარი, რომელიც თითქოს უახლოვდება მადნისჭალის 31-ე ორმოსამარხის სატევარს[28]. შორეულ ანალოგიებად კი ალბათ შეიძლება დავასახელოთ როგორც ე. წ. „ფოთლისებური“ სატევრები, ისე თლის ადრეული სატევრები[29], რაჭაში, სოფ. გარიში შემთხვევით აღმოჩენილი კომპლექსის სატევრები[30] და სხვ. მაგ-

---

28 ნ. თუშიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118, სურ. 32, ტაბ. XXXI (124).

29 Б. В. Техов, Центральный Кавказ в XVI—X вв. до н. э., М., 1977, рис. 8;1: 30—32.

30 Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, табл. XXIX, 1—3.

რამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ანალოგიები მეტად შორეული და ზოგადია.

ზემოთ აღწერილი ბრინჯაოს უტარო სატევრებთან ერთად „ფარეხებზე“ ერთი ყუნწიანი სატევარიც არის აღმოჩენილი (ნახ. $12_2$), მას ვიწრო მხრები და წვერისკენ თანაბრად შევიწროებული პირი აქვს. მოკლე ყუნწი გახვრეტილი ყოფილა. სწორედ ამ ადგილზეა იგი გადატეხილი. სატევარს მთელ სიგრძეზე დაბალი შუაქედი გასდევს, რომელიც ნაპირებისაკენ თანდათან დაბლდება ისე, რომ განივკვეთში განზიდულ რომბს ჰქმნის. აღნიშნულ სატევართან ძლიერ ახლოს დგას ო. ჯაფარიძის მიერ ქვასათალში გათხრილი № 1 კოლექტიური სამარხის ერთ-ერთი სატევარი[31]. ქვასათალის სატევარსაც ყუნწი იმავე ადგილზე (ნახვრეტთან) აქვს გადატეხილი. სამწუხაროდ, მას წვერი მოტეხილი აქვს[32], მაგრამ მაინც აშკარაა მსგავსება აღნიშნულ ორ სატევარს შორის — მხრებიც კი ორივეს ერთნაირად ასიმეტრიული აქვთ — ერთი მხარი თითქმის სწორია, მეორე კი — დაქანებული. ქვასათალის № 1 კოლექტიური სამარხი შუაბრინჯაოს ხანითაა დათარიღებული[33]. საკმაოდ არქაული იერი აქვს ჩვენს სატევარსაც.

როგორც ვხედავთ, სიონის 10 ორმოსამარხში ბრინჯაოს 5 სატევარია აღმოჩენილი და ხუთივე ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმისა და ზომის იარაღია. ამასთანავე ისინი ორიგინალურად გამოიყურებიან თანადროული მასალის ფონზე. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, შესაძლებელია აქ ადგილობრივი სახელოსნოს არსებობა ვივარაუდოთ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიონის სამარხეულ ინვენტარში იარაღი მრავალფეროვნებით არ ხასიათდება. სატევრებს გარდა აქ ერთადერთი ისრისპირია ნაპოვნი და ისიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიონელებს არ ეკუთვნით, ვინაიდან იგი ადამიანის ნეკნის ძვალში იყო ჩაჭედილი, ე. ი. ვიღაცამ, ალბათ უცხომ, ესროლა ეს ისარი ადგილობრივ მკვიდრს.

გაოცებას იწვევს იარაღის სახეობათა ასეთი სიღარიბე „ფარეხებზე“. რომ ამ დარგის ხელოსნობა მაღალ დონეზე იყო, აშკარად ჩანს სატევრების მიხედვით. აშკარაა, ამას ლითონის ნაკლებობითაც ვერ ავხსნით, ვინაიდან შესანიშნავ სატევრებს ბავშვებსაც ატანდნენ სამარხში და ზოგჯერ ორ ეგზემპლარსაც კი, კიდევ უფრო წარმოუდგენელია დავუშვათ, რომ ისინი იარაღის სხვა სახეობას არ იცნობდნენ. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ჯერჯერობით აუხსნელი რჩება ამ ფაქტის გამომწვევი მიზეზი.

რაც შეეხება ერთადერთ ისრისპირს, იგი აღმოსავლურ ამიერკავკასიურ ორფრთიან ისრისპირთა ტიპს განეკუთვნება. მსგავსი ისრისპირი ნაპოვნია ბეშთაშენის № 4 ორმოსამარხში, ე. წ. „ფოთლისებურ“ სატევართან ერთად[34]. ამ ტიპის გრძელყუნწიანი ისრისპირები ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებზე, მაგრამ გვიანდელი ისრისპირებისაგან განსხვავებით სიონისა და ბეშთაშენის ისრისპირებს შედარე-

---

31 О. М. Джапаридзе, Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, КСИИМК, вып. 60, М., 1955, с. 24, рис. 2:5.

32 ინახება საქ. სახ. მუზეუმის ძირითად ფონდში, ინვ. № 9—59:1.

33 О. М. Джапаридзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

34 მ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50, ტაბ. I, 3, 4.

ბით მოკლე, ბოლოსაკენ წაწვეტებული მრგვალგანივკვეთიანი ღერო, პატარა ქედიანი პირი და თხელი ფრთები აქვთ. ბეშთაშენის მე-4 ორმოსამარხი გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპითაა დათარიღებული[35].

ლითონის დანარჩენი ინვენტარიდან ყველაზე მრავლად ბრინჯაოს საკინძებია წარმოდგენილი. აქ გვხვდება ჭდეული ორნამენტით შემკული კონუსური საკინძები (ნახ. $8_{8,9}$), ლურსმნისებურთავიანი და მრგვალთავიანი საკინძები (ნახ. $8_{4,5}$; $13_3$; $15_{2,3}$; $17_5$; $19_9$).

ჭდეული ორნამენტით შემკული კონუსური საკინძები სამთავროს სამაროვანზე გვხვდება როგორც უძველეს ორმოსამარხებში (№ 261, ბაიერნისეული № 583 და სხვა ორმოსამარხებში), ისე მომდევნო ხანის კომპლექსებში (მაგალითად, №№ 29, 88, 125, 131, 173 და სხვა ორმოსამარხები). ბეშთაშენის სამაროვანზე ამგვარი საკინძები ნაპოვნია ძვ. წ. XIII საუკუნისა და XII საუკუნის პირველი ნახევრის კომპლექსებში (№№ 18, 19, 20 ორმოსამარხები). ასეთივე საკინძები აღმოჩენილია წოფის № 5 ქვისფილებიან ორმოსამარხში[36], ღრმახევისთავში[37], და სხვ.

დაახლოებით ასეთივე ვითარება შეინიშნება ლურსმნისებურთავიან და მრგვალთავიან საკინძებთანაც. ისინი გვხვდება როგორც გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის, ისე მომდევნო ხანის კომპლექსებში. ამგვარი საკინძები მრავლადაა აღმოჩენილი სამთავროს სამაროვნის უძველეს ორმოსამარხებში[38], მაღნისჭალის[39], ბეშთაშენის სამაროვნებზე და სხვ.

ამას გარდა, სიონის სამარხებში აღმოჩენილია ბრინჯაოს რგოლები, სამაჯური, ხვიები, სავარცხელი, სარდიონის მძივები, რომლებიც დათარიღების თვალსაზრისით ბევრს ვერაფერს ამბობენ. აქ აღმოჩენილი ზოგიერთი ლითონის ნივთის სპექტრალური ანალიზის შედეგები მოცემულია № 2 ცხრილში.

როგორც ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, მიუხედავად სამარხებისა და, შესაბამისად, მასალის სიმცირისა, ჩვენს მიერ განხილული სოფ. სიონის არქეოლოგიური მონაპოვარი მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა. აქაური მასალა ემსგავსება ქვემო და შიდა ქართლში გათხრილ გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპისა თუ მისი მომდევნო ხანის ძეგლებიდან მომდინარე მასალას და, ზოგადად, გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება. უფრო კონკრეტული დათარიღებისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ. მაგრამ სხვა ძეგლებთან მსგავსებასთან ერთად, სიონის გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნის ინვენტარი, და პირველ რიგში ბრინჯაოს სატევრები, თავისებურებითაც ხასიათდება, რაც, ვფიქრობთ, ძეგლის ლოკალურობით შეიძლება ავხსნათ.

---

35 რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXII—B, თბ., 1961, გვ. 310—311.

36 რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, წოფის სამაროვანი (1958 წ. გათხრების ანგარიში), საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1959, გვ. 18.

37 ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, ნახ. 152, 168, 170, 171.

38 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XVIII, 5533, 5543.

39 ნ. თ უ შ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, სურ. 27, 29, 30, 31, 34 და სხვ.

# რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხები

1978-79 წლებში სოფ. სიონში გათხრები წარმოებდა ეკლესიის ჩრდილოეთით (ტაბ. XII, 1). ისევე, როგორც თავიდან „ფარეხებზე“, მუშაობის დაწყება აქაც ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა; სამუშაოები ისევ შეზღუდულად მიმდინარეობდა. ვსწავლობდით მხოლოდ გზაზე მდებარე დაზიანებულ სამარხებს, რის გამოც სამაროვნის ტერიტორიის განსაზღვრა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა; თუმცა აშკარაა, რომ მას საკმაოდ დიდი ფართობი უკავია.

სამუშაოების დაწყებისთანავე გამოიკვეთა 4 სამარხი ქვაყუთის კონტური, რომლებიც ზედაპირულადვე დავნომრეთ. სულ მალე მათი რიცხვი ორჯერ გაიზარდა. იქ, სადაც № 1 სამარხს ვვარაუდობდით, ექსპედიციამ 3 სამარხი გამოავლინა. ერთმანეთის გვერდზე მდებარე № 1 და № 8 სამარხები გადახურული იყო ერთი უზარმაზარი და ორი შედარებით მომცრო ზომის ფილაქვით, ხოლო მესამე, სამარხი № $1_1$ მოწყობილი იყო № 1 სამარხის გადახურვაზე, მის




ნახ. 22. სამაროვანი ეკლესიის ჩრდილოეთით, სიტუაციური გეგმა.

N W კუთხესთან (ტაბ. XII, 2, 3; ნახ. 23). იგი, როგორც ჩანს, ქვაყუთს წარმოადგენდა, რომლიდანაც მხოლოდ 2 კედლის — ჩრდილოეთის და დასავლეთის ქვა იყო გადარჩენილი. დანარჩენი კედლები და სახურავი გათხრების დროისათვის არ შემორჩენილა. ადამიანის ჩონჩხი რამდენადმე დაძრულს ჰგავდა, თუმცა ძვლების ბუნებრივი თანმიმდევრობა დარღვეული არ იყო. მიცვალებული მარცხენა გვერდზე იყო დასვენებული. ჩონჩხს ისეთი პატარა ფართობი ეკავა (სიგრძე — 0,8, სიგანე თავის მხარეს — 0,4, ფეხებისკენ — 0,18 მ), რომ თავდაპირველად ბავშვის სამარხი გვეგონა. მაგრამ პრეპარაციამ ეს ვარაუდი არ გაამართლა. მიცვალებულის ბარძაყის ძვლის სიგრძე დაახლოებით 38 სმ იყო. მიცვალებული თავით დასავლეთისაკენ იწვა, რომლის ჩონჩხი შემორჩენილი კედლის ქვებზე იყო მიბჯენილი. მუხლები ისე ძლიერ ჰქონდა მოხრილი, რომ გულმკერდთან იყო ატანილი. იდაყვის ძვალთან ერთმანეთში გაყრილი ბრინჯაოს 2 რგოლი და რკინის პატარა ღეროს ნაშთი აღმოჩნდა, ხოლო მარჯვენა ბარძაყის ძვლის აღების შემდეგ — რკინის მოგრძო (12 სმ) ღეროს ნაშთი გა-

მოჩნდა. მიცვალებულის სახესთან იდო სამარხის ერთადერთი თიხის ჭურჭელი — კანელურებიანი კოჭობი. ქვემოთ აღვწერთ სამარხის ინვენტარს.

1. კ ო ჭ ო ბ ი  თიხის, მოყავისფრო, ვიწრო ყელით, მცირედ გადაშლილი პირით, მრგვლად გამობერილი მუცლით და ბრტყელი განიერი ძირით. კორპუსზე დატანილია შვეული მკვეთრი ზოლები, საკმაოდ არათანაბრად. კოჭობი აღდგენილია პატარა ფრაგმენტებისაგან, ნაკლული ადგილები შევსებულია თაბაშირით. შესაძლოა, ამის გამო ამჟამად ასიმეტრიულია, თუმცა ჩარხზე უნდა იყოს დამზადებული, კეცი ყავისფერია, თიხაში მოთეთრო მინარევი შეიმჩნევა (სავ. № XIV—1; ტაბ. XVIII, 1; ნახ. $25_3$).




ნახ. 23. №№ 1, $1_1$ და 8 ქვაყუთების გეგმა

2. რ გ ო ლ ე ბ ი  ბრინჯაოსი, 2 ცალი, ოვალური მოხაზულობის, ბოლო გახსნილია და ერთმანეთთან მჭიდროდ მისული. ოვალურგანივკვეთიანი ღერო ერთ ბოლოში გაწვრილებულია, მეორეში კი ბრტყლად წაჭრილია. რგოლები ერთმანეთშია გაყრილი (სავ. № XIV—2; ნახ. $25_1$).

3. რ კ ი ნ ი ს  ღ ე რ ო ს  ნაშთი (სავ. № XIV-3).

4. რ კ ი ნ ი ს  საკინძის (?) ფრაგმენტები, ძლიერ დაჟანგული. მრგვალგანივკვეთიან ღეროს ერთ ბოლოში პატარა შვერილივითა აქვს შერჩენილი. შემორჩენილია 2 ფრაგმენტი (სავ. № XIV—4; ნახ. $25_2$).

5. რკინის მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ფრაგმენტი, ძლიერ დაჟანგული (5 ფრაგმენტი). ადგილზე მისი ნაალაგევის სიგრძე 12 სმ იყო (სავ. № XIV—5).

ს ა მ ა რ ხ ი № 1, როგორც უკვე აღვნიშნეთ, № $1_1$ სამარხის ქვეშ მდებარეობდა (ტაბ. XII, 2). იგი მრავალი ნიშნით განსხვავდებოდა ამ სამაროვანზე გათხრილი დანარჩენი სამარხებისაგან. ჯერ ერთი იგი ყველაზე დიდი ზომისაა, მეორეც, თუ დანარჩენები ქვის ფილებისაგან აგებული ქვაყუთებია, № 1 სამარხის ოთხივე კედელი ამოშენებული იყო 3—4 რიგად ერთმანეთზე მშრალად დაწყობილი დიდრონი ქვებით (ნახ. $24_{2,3}$). თითქმის ყველგან, და განსაკუთრებით კუთხეებსა და ჩრდილოეთის კედელთან, ზედა რიგის ქვები რამდენადმე წინაა გამოწეული ქვედასთან შედარებით, რის შედეგადაც სამარხის ძირი ოდნავ უფრო ფართოა, ვიდრე ზედა ნაწილი. სამარხის შიდა ფართობი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ კუთხეებმომრგვალებულ ოთხკუთხედს წარმოადგენდა, რომლის სიგრძე შუა ნაწილში 1,13—1,15, ხოლო სიგანე — 0,8 მ იყო. სამარხი გადახურული იყო 20—25 სმ სისქის უზარმაზარი ლოდით, რომლის სიგრძე — 1,9, ხოლო სიგანე დასავლეთ ნაწილში — 0,9, აღმოსავლეთ ბოლოში კი — 0,6 მ უდრიდა. სახურავი, როგორც ვხედავთ, სამარხზე ბევრად უფრო დიდ ფართობს ფარავდა. ამ ლოდის გაგრძელებაზე სამხრეთით შედარებით მომცრო ფილაქვები ეწყო, რომლის ქვეშ შემდეგ № 8 სამარხი გაითხარა (ტაბ. XII, 2).

სახურავი ლოდის აღებისთანავე და შემდეგ სამარხის მთელ შევსებაში შეხვდებოდით თითო-ოროლა ბრინჯაოს კილიტებს. მიწა სამარხში სველი და ფხვიერი იყო, ალბათ მჭიდრო სახურავის გამო. უნდა ვიფიქროთ, რომ ამან განაპირობა სამარხში ძვლებისა თუ ინვენტარის ცუდად შენახვა.

უკვე 15—20 სმ სიღრმეზე სამარხის შუა და აღმოსავლეთ ნაწილში ჩნდებოდა ცალკეული ძვლები — ძირითადად ფალანგები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დაახლოებით 27—28 სმ სიღრმეზე გამოჩნდა ხელადის პირი, სამარხის სიღრმე 0,50 მ იყო.

ადამიანის ჩონჩხი ზემოთ ხსენებული ფალანგებიდან დაახლოებით 25 სმ-ით დაბლა გამოჩნდა. მიცვალებული დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. თავის ქალა ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან იდო (ნახ. $24_1$). საკმაოდ მაღალი ადამიანი მარჯვენა გვერდზე იწვა ძლიერ მოხრილი კიდურებით (ბარძაყის ძვლის სიგრძე 46—47 სმ უდრიდა). ჩონჩხს თითქმის შევსებული ჰქონდა სამარხი. ძვლები ცუდად იყო შენახული. ლულოვანი ძვლების გარდა, დანარჩენი თითქმის მთლიანად განაცრებული იყო და ფუნჯს მიჰყვებოდა. დასველებულ ფხვიერ მიწაში ნების ძვლები სულ ცალ-ცალკე ეყარა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში ყურიანი ქოთნის ჩრდილოეთით. ნეკნები ჩრდილოეთის კედლის პარალელურად გაიწმინდა. როგორც ჩანს, მიცვალებული ოდნავ ჩამხობილი იწვა, ვინაიდან პრეპარაციის შემდეგ ხერხემლის მალების ორივე მხარეს ნეკნები გამოჩნდა. ხელები სახესთან უნდა ჰქონოდა მიტანილი. მკლავის ძვლის პარალელურად ძვლისტარიანი ოდნავ მოხრილი დანისებური ნივთის ნაშთი აღმოჩნდა. ადგილზე მისი მთლიანი სიგრძე 24 სმ-მდე იყო, აქედან ძვლის ტარის სიგრძე — 10 სმ. სამწუხაროდ, აღებისას იგი მთლიანად დაიშალა. დანის სამხრეთით ყუნწთან გახვრეტილი ქვის სალესი იყო. იქვე ახლოს, სამხრეთით, წითლადგამომწვარი თიხის თხელკედლიანი ჭურჭელი იდო, რომელიც სინესტისაგან უმი თიხისას გავდა. ამ ჭურჭლის დასავლეთით კიდევ ერთი რკინის ნივთის ნაშ-




ნახ. 24. №№ 1 და 8 ქვაყუთების გეგმა და ჭრილები



ნახ. 25. 1—3. № $1_1$ ქვაყუთის ინვენტარი; 4—12. № 1 ქვაყუთის ინვენტარი

თი აღმოჩნდა. დაჟანგული და ძლიერ დაშლილი რკინის შუბისპირი იდო სამხრეთის კედლის პარალელურად, რომლის მასრა ჩანდა, ხოლო პირი სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დადგმული ხელადის ქვეშ შედიოდა. ადგილზე ამ შუბისპირის სიგრძე 30—31 სმ იყო. სამწუხაროდ, არც ამ ნივთის აღება მოხერხდა. ჩამოთვლილის გარდა, კისრის არეში ვიპოვეთ რამდენიმე მძივი (ტაბ. XIII, 1, 2; ნახ. $24_1$).

1. რკინის დანის ნაშთი, ძვლისტარიანი ძლიერ დაშლილ-დაჟანგული, გადარჩენილია ძვლის ტარის 2 ფრაგმენტი თითო რკინის მანჭვლით და პირის მცირე ფრაგმენტები (სავ. № XIV—50; ნახ. $25_5$).

2. რკინის შუბისპირის ნაშთი, ძლიერ დაშლილ-დაჟანგული (სავ. № XIV—51).

3. რკინის იარაღის ნაშთი, ძლიერ დაშლილ-დაჟანგული (სავ. № XIV—52).

4. რკინის საკინძისებური ღეროს ფრაგმენტი, ძლიერ დაჟანგული, სიგრძე — 6,8 სმ (სავ. № XIV—53; ნახ. $25_6$).

5. ხელადა თიხის მოყავისფრო, მოყვითალო ლაქებით, მაღალი ყელით, ოდნავ გადაწეული პირით, ბიკონუსური კორპუსითა და ბრტყელი ძირით. მომრგვალო ყური, რომელიც კორპუსის ზედა ნაწილს და პირს აერთებს, ზევითკენ დაბრტყელებულია და დაფარულია უსისტემო წიწვური ნაჭდევებით. მოგლუვებული ზედაპირი ზოგან ამოჩვრეტილია და დაზიანებული. ხელადა ჩარხზეა ნაკეთები, თუმცა რამდენადმე ასიმეტრიულია. მთელია, აკლია პირის მცირე ნაწილები. კეცი მოყვითალოა. ნაძერწია წმინდა სილანარევი თიხისაგან. სიმაღლე — 20, პირის დიამეტრი — 8, ძირის დიამეტრი — 8,8 სმ (სავ. №№ XIV—46; ნახ. $25_{10}$).

6. ქოთანი თიხის ცალყურა, მოყავისფრო, არათანაბარი ფერის. ყელდაბალი, მკვეთრად გადაწეული პირით, მცირედ გამობერილი მუცლით და განიერი ბრტყელი ძირით. მრგვალი ყური მიძერწილია კორპუსზე. მოგლუვებულ ზედაპირზე შეიმჩნევა სუსტი გაპრიალების კვალი ჰორიზონტალური არაპროპორციული ზოლების სახით. ქოთანი ჩარხზეა ნაკეთები, მთელია, მცირედ ჩამოფცქვნილი აქვს პირის ნაწილები. კეცი მოყვითალო-ნაცრისფერია, ნაძერწია წმინდა სილანარევი თიხისაგან, სიმაღლე — 14,5, პირის დიამეტრი — 12, ძირის დიამეტრი — 10 სმ (სავ. № XIV—47; ტაბ. XVIII, 2; ნახ. $25_{11}$).

7. ფრაგმენტები თიხის ჭურჭლისა, წითლად გამომწვარი, გაპრიალებული ზედაპირით. მცირე ზომის დაბალი კოჭობი უნდა ყოფილიყო, თანაბრად გამობერილი მუცლით და ბრტყელი ძირით. კოჭობი ჩარხზე უნდა იყოს ნაკეთები, ნაწილი აღდგენილია და შევსებულია თაბაშირით. აკლია ნახევარზე მეტი. კეცი მოწითალო-მოყვითალო ფერისაა, თიხაში შერეულია მოთეთრო სილა. გადარჩენილი ნაწილის სიმაღლე — 6,7 სმ (სავ. № XIV—48; ნახ. $25_9$).

8. მძივები 4 ც. 2 მომრგვალო მძივი სარდიონისაა, ორივე ცალი მხრიდანაა გახვრეტილი. 1 მრგვალბრტყელი მძივი მომწვანო პასტისაა, მეოთხე მეტად ორიგინალური ფორმის მომწვანო მინის მძივია, რომელიც მინიატურულ მინის ჭურჭელს წააგავს (სავ. № XIV—54; ნახ. $25_{12}$).

9. კილიტები ბრინჯაოსი, დაჟანგული და დაზიანებული. არც ერთს არა აქვს შერჩენილი ქსოვილზე მისამაგრებელი „მარყუჟები“. უფრო მოზრდილები 6 ც. მათი დიამეტრი 1 სმ-ია; მომცროები 9 ცალია, მათი დიამეტრი 0,6 სმ-ია (სავ. № XIV—54; ნახ. $28_8$).

10. ფრაგმენტი ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა (სარტყლისა?), რომელიც ერთ ბოლოში გახვრეტილი უნდა ყოფილიყო. ძლიერ დაჟანგულია, სიგანე — 1,9 სმ, სიგრძე — 2,2 სმ (სავ. № XIV—54; ნახ. $25_7$).

11. სალესი ქვა, გრძელი, მრგვალგანივკვეთიანი, თავსა და ბოლოში წაწვეტებული, თავთან მრგვალი გამჭოლი ნახვრეტით. მთელია, ცალ მხარეს თხელი ფენა აფცქვნილია. სიგრძე — 19,3 სმ, განივკვეთი — 2 სმ (სავ. № XIV—49; ნახ. $25_4$).

ს ა მ ა რ ხ ი № 2 ქვაყუთს წარმოადგენდა. გარედანვე ძლიერ იყო დაზიანებული. სახურავი ქვის ფილა ჩალეწილი იყო დაფერდებულად, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. კედლების ქვების ზედა ნაპირებიც ხერხივით დაკბილული იყო. სახურავისაგან თავისუფალ ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან კედლის ზედა დონეზე ეყარა თიხის დაფხვნილი ჭურჭელი (ტაბ. XIV, 1, 2).




ნახ. 26. № 8 ქვაყუთის ინვენტარი

ქვაყუთი დამხრობილი იყო ჩრდილო-დასავლეთიდან — სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ. სამი კედელი თითო ფილაქვისაგან იყო აგებული, ხოლო ჩრდილო კედლის ქვა დამტვრეული იყო მცირე ნაწილებად. ყუთის სიგრძე — 1, სიგანე — 0,60—0,65, სიღრმე — 0,45 მ. სახურავი ქვის ნატეხების აღების შემდეგ შიგნითაც მეტად არეული იყო სამარხი. ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები ეყარა სამარხის სიგრძივ დაახლოებით შუა ნაწილში. დამტვრეული თავის ქალა დასავლეთის კედელთან იდო, ნეკნების ფრაგმენტები — სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ძვლების ნაშთის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული მარცხენა გვერდზე იწვა, მოხრილი კიდურებით. ძვლები ძალიან ცუდად

იყო შენახული. მაჯის ძვლების ქვეშ იდო დაახლოებით 15—16 სმ სიგრძის რკინის ოდნავ მოხრილი დანისებური ნივთის ნაშთი, რომელიც აღებისთანავე დაიფშვნა. მისგან ჩრდილოეთით, კედლის გასწვრივ იდო რკინისავე შუბისპირის ნაშთი. ესეც ძლიერ იყო დაჟანგული და აღებისთანავე დაიმტვრა მცირე ნაწილებად. მისი სიგრძე ადგილზე 23 სმ იყო, აქედან მასრისა — 10 სმ; შუბი წვერით დასავლეთისაკენ იდო. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ბრინჯაოს პატარა რკალი (ნახ. $27_1$).

1. რკინის შუბისპირის ფრაგმენტები, მასრაგახსნილი, ძლიერ დაჟანგული და დაზიანებული (სავ. № XIV—57; ნახ. $28_1$).




ნახ. 27. 1. ქვაყუთი № 2; 2. ქვაყუთი № 3 (გეგმები)

2. რკინის დანისებური ნივთის ნაშთი, ძლიერ დაჟანგული (სავ. № XIV—58).

3. რკალი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, პატარა, ოვალური მოხაზულობის, ბოლოგახსნილი, გაწმენდილია. დიამეტრი 1,7×1,4 სმ (სავ. № XIV—56; ნახ. $28_2$).

4. ფრაგმენტები თიხის ჭურჭლისა, მოყავისფრო ზედაპირით, აღდგენილია ძირ-გვერდის პატარა ფრაგმენტი. ძირი ბრტყელია და არამკვეთრად გადადის გვერდებზე. ყურიანი ჭურჭელი ყოფილა. შემორჩენილია ყურის ფრაგმენტიც. ზედაპირი არათანაბარია. კეცი ყავისფერი, თიხაში მოთეთრო სილის მინარევი შეიმჩნევა. ძირთან შიდაპირი აგურისფერია (სავ. № XIV—55; ნახ. $28_3$).

სამარხი № 3 დაზიანებულ ქვაყუთს წარმოადგენდა. იგი დამხრობილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე. მთელად შემოინახა სამხრეთის კედლის მასიური ფილაქვა, რომლის სიგრძე — 0,98 მ, სისქე დაახლოებით 11—12 სმ იყო. მისი მოპირდაპირე კედელიც მთლიანი ქვის უნდა ყოფილიყო, მაგრამ გათხრების დროისათვის დახეთქილი იყო სიგრძივ და სიბრტყივ. ამ კედლის სიგრძე 1,2 მ იყო. აღმოსავლეთის კედლის ქვა გატეხილი იყო ოთხ ნაწილად; რამდენადმე გარეთ გადაწეული დასავლეთის კედლის მასიური ქვა დაბზარული იყო. სამარხის გარეთა ზომებია დაახლოებით 1,3×0,85, ხოლო შიდა ფართო-

ბისა 1,00×0,58 მ. ქვაყუთის სიღრმე 35 სმ. სახურავი არ ჰქონდა. სამარხი შიგნით ძლიერ არეული იყო (ტაბ. XIV, 3).

ქვაყუთის კედლის ზედა დონიდან 10 სმ-ის სიღრმეზე უკვე ჩნდებოდა ძვლების ერთეული ფრაგმენტები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შლადი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. დაახლოებით 30 სმ-ის სიღრმეზე უკვე გამოჩნდა ძვლები და ინვენტარი. ჩონჩხი ძალიან ცუდად იყო შენახული, განსაკუთრებით ზედა ნაწილი. თავის ქალას ნაშთიც კი არ ჩანდა, მხოლოდ ერთი კბილი ვიპოვნეთ. მცირე ფრაგმენტებით შემორჩა ზედა კიდურების ძვლები და ცოტათი უკეთესად — ქვედა კიდურებისა. მენჯის ძვალიც სრულიად გამქრალი იყო. მიუხედავად ძვლების ცუდად შენახვისა, კიდურების მდებარეობის მიხედვით შეიძლებოდა დადგენა, რომ მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ყოფილა დაკრძალული, ძლიერ მოხრილი ფეხებით, თავით დასავლეთისაკენ.

სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში წითლადგამომწვარი ხელადის ფრაგმენტები ეყარა. მათგან ჩრდილოეთით — ბრინჯაოს 2 სამაჯური, ხოლო კიდევ უფრო ჩრდილოეთით ბრინჯაოს პატარა რგოლი აღმოჩნდა. მისგან ჩრდილო-დასავლეთით ბრინჯაოს მშვილდსაკინძი იდო, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — რკინის მოხრილი, ძლიერ დაჟანგული დანა, რომლის სიგრძე ადგილზე 18 სმ იყო. ჩრდილოეთის კედელთან, დაახლოებით შუა ადგილას იდო ძლიერ დაჟანგული რკინის შუბისპირი. სამწუხაროდ, მხოლოდ მასრის აღება მოხერხდა, პირი იქვე დაიშალა. აღსანიშნავია, რომ მთელი ინვენტარი სამარხის დასავლეთ ნახევარშია მოქცეული (ნახ. $27_2$).

1. რკინის დანა ძლიერ დაჟანგული და ნაკლული (ნახ. $28_5$). მცირედ მოხრილი, ცალპირლესილი. სატარე ნაწილი შედარებით განიერია და ზედ შერჩენილია 1 მანჭველი: მოტეხილი აქვს წვერი, ახლავს მცირე ფრაგმენტები. სიგრძე — 16,2, სიგანე — წვერთან — 2,2, სატარესთან — 2,8 სმ (სავ. № XIV—16).

2. ფრაგმენტი რკინის შუბისპირის მასრისა, ძლიერ დაჟანგული და დაზიანებული (ნახ. $28_4$).

3. სამაჯური ბრინჯაოსი, თავგახსნილი, წრიული მოხაზულობის, ბოლოებზე გველის გამოსახულებით, დამზადებულია ოვალურგანივკვეთიანი ღეროსაგან. უდიდესი დიამეტრი — 5,6, ღეროს განივკვეთი — 0,4×0,3 სმ (სავ. № XIV—15; ნახ. $28_{11}$).

4. სამაჯური ბრინჯაოსი, თავგახსნილი, წრიული მოხაზულობის, ბოლოები დაბრტყელებულია და შემკულია ჭდეულხაზოვანი ორნამენტით. დამზადებულია მრგვალი ღეროსაგან. გაწმენდილია. უდ. დიამეტრი — 8,7, ღეროს განივკვეთი — 0,5 სმ (სავ. № XIV—15; ნახ. $28_{10}$).

5. მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, რომელსაც ცალი ბოლო წაკვეთილი აქვს, მეორე კი მოკაუჭებული (ნახ. $28_6$), მშვილდი დაბრტყელებულია და კიდეები 4—4 ადგილას შეჭრილი აქვს არაპროპორციულად. ენა რკინისა ჰქონია, რომლის ნაკვალევიც ეტყობოდა. გაწმენდილია (სავ. № XIV—17).

6. რკალი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, ბოლოები გახსნილი და ერთმანეთთან მიტანილია, ასიმეტრიულია. გაწმენდილია, უდ. დიამეტრი — 2,5, ღეროს განივკვეთი — 0,3 სმ (სავ. № XIV—18; ნახ. $28_8$).

7. ფრაგმენტები თიხის ხელადისა, წითლად გამომწვარი, არათანაბარი ფერის; ბრტყელი, მცირედ შეზნექილი ძირით და მცირედ გამობერილი მუცლით.




ნახ. 28. 1—3. № 2 ქვაყუთის ინვენტარი; 4—11. № 3 ქვაყუთის ინვენტარი

აღდგენილია ძირ-გვერდის ნაწილი. ახლავს მრგვალგანივკვეთიანი ყური ზედა ნაწილში წიწვური ნაჭდევებით შემკული. ნაკეთები უნდა იყოს ჩარხზე. კეცში თეთრი სილის მინარევი შეიმჩნევა. ძირის დიამეტრი — 8,8 სმ (სავ. № XIV—14; ნახ. $28_9$).

ს ა მ ა რ ხ ი № 4 ქვაყუთს წარმოადგენდა. იგი, შეიძლება ითქვას, დამხრობილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე, სულ მცირეოდენი გადახრით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ჩრდილოეთის კედელი ერთი საკმაოდ სქელი და მასიური ფილაქვისაგან შედგებოდა, რომლის სიგრძე — 1,17, სიმაღლე — 0,54 მ, სისქე საშუალოდ 17—19 სმ იყო. ეს მასიური ქვა დაშაშრული და ალაგ-ალაგ ჩამომსკდარი იყო. მისი მოპირდაპირე სამხრეთის კედლად 2 ასევე სქელი ფილაქვა იყო გამოყენებული, რომელთაგან დასავლეთი ქვის ზომებია 52×47×16 სმ, ხოლო აღმოსავლეთისა — 67×38×16 სმ. არ არის გამორიცხული, რომ ეს ერთი ქვა იყო და შემდეგ გატეხილა. დასავლეთის კედელთანაც ერთი ფილაქვაა ზომებით 80×50×10. აღმოსავლეთის კედლის ქვა მთლიანად ვერ ავსებს მანძილს ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებს შორის. ის არაწესიერი მოყვანილობისაა. მისი ქვედა, უფრო განიერი წიბოს სიგრძე 57 სმ უდრიდა, სიმაღლე — 27 სმ. ეს ქვა ირიბად და დაფერდებულად იყო ჩადგმული. მასა და ჩრდილოეთის კედელს შორის მანძილს ავსებს ზედაპირულად დადგმული სამკუთხა მოყვანილობის მოზრდილი ქვა. სახურავი არ შემორჩენილა. მიწა, შედარებით, ფხვიერი იყო (ტაბ. XIV, 4).

ადამიანის ძვლები ცუდად იყო შენახული. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა ძლიერ მოხრილი ხელ-ფეხით. თავის ქალა დასავლეთის კედელთან იყო მიბჯენილი. ხერხემალი და ნეკნები თითქმის გამქრალიყო. შედარებით უკეთ იყო შენახული ლულოვანი ძვლები. ბარძაყის ძვლების მიხედვით ძალიან მაღალი ადამიანი უნდა ყოფილიყო დაკრძალული (ნახ. 29).

ამ სამარხშიც ინვენტარი დასავლეთ ნახევარში თავსდებოდა. სახის წინ წაქცეული იყო პატარა კოჭობი, მისგან აღმოსავლეთით, დაახლოებით 5—7-სმ-ის მოშორებით იდგა მოზრდილი დოქი, მასა და სამხრეთის კედელს შორის ჩაჭედილი იყო წითლადგაპრიალებული ორყურა ჭურჭელი, რომელშიც პირთანვე იდო ბრინჯაოს სკვითური ისრისპირი. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ჩრდილო კედლის გასწვრივ აღმოჩნდა რკინის დანისებური ნივთის ნაშთი, რომელიც აღებისას სულ დაიფხვნა.

1. რკინის დანისებური იარაღის წვრილი ფრაგმენტები. ძლიერ დაჟანგული (სავ. № XIV—25).

2. ისრისპირი ბრინჯაოსი, სკვითური ტიპის, სამფრთიანი, მოკლე მრგვალი მასრით. გაწმენდილია. სიგრძე — 3,2 სმ (სავ. № XIV—24; ტაბ. XXIX, 2; ნახ. $30_1$).

3. კოჭობი თიხისა, შავი ფერის, სუსტად გაპრიალებული. პირგადაშლილი, მხრებში გაზიდული და ძირისკენ შევიწროებული, ბრტყელი ძირით. მთელია, ჩამოტეხილი აქვს პირის მცირე ნაწილები. კეცი მონაცრისფრო, თიხაში თეთრი სილის მინარევი შეიმჩნევა. ჩარხზე უნდა იყოს ნაკეთები. ზედაპირი ალაგ-ალაგ აფცქვნილი აქვს. სიმაღლე — 10, პირის დიამეტრი — 7,8, ძირის დიამეტრი — 5 სმ (სავ. № XIV—23; ტაბ. XXVIII, 3; ნახ. $30_4$).

4. ჭურჭელი თიხისა წითელი ფერის, ორყურა, ვიწროყელიანი, პირგადაშლილი, კვერცხისებური მუცლით და ვიწრო ბრტყელი ძირით. სიმეტრიულად



ნახ. 29. ქვაყუთი № 4; გეგმა და ჭრილები

განლაგებული ყურები მიძერწილია მხარსა და პირს ქვემოთ. ყურებზე ზედა ნაწილში თითო კონუსური მორჩია. ზედაპირი დაფარულია წერნაქით და გაპრიალებულია; აღდგენილია, აკლია ძირის მცირე ნაწილი. კეცი აგურისფერია. ზედაპირი მცირე ადგილზე აფცქვნილია. თიხაში თეთრი ფერის საკმაოდ მსხვილი მინარევი შეიმჩნევა. ჩარხზეა ნაკეთები. სიმაღლე — 26, პირის დიამეტრი — 13, ძირის დიამეტრი — 4,2 სმ (სავ. № XIV—22) (ტაბ. XXVIII, 5; ნახ. $30_2$).

5. დოქი თიხისა ნაცრისფერი, მოყვითალო ლაქებით. მაღალი, ზევითკენ მცირედ გაფართოებული ყელ-პირით, ზედა ნაწილში მრგვალად გამობერილი მუცლით და ბრტყელი ძირით. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. კორპუსის ყველაზე განიერ ადგილზე რამდენიმე ნაპრიალები ასიმეტრიული ზოლი შემოუყვება, მის ზევით კი ასევე ნაპრიალები ზოლებისაგან შექმნილი დაშტრიხული სამკუთხედების წყება. დოქი თითქმის მთელია, აღდგენილია ძირის და პირის ნაწილები. მცირე ადგილები შევსებულია თაბაშირით. კეცი ყავისფერია, თიხაში შეიმჩნევა სილის მინარევი. ზედაპირი ქვედა ნაწილში ალაგ-ალაგ აფცქვნილია. ჩარხზეა დამზადებული. სიმაღლე — 31, პირის დიამეტრი — 9,3, ძირის დიამეტრი — 11 სმ (სავ. № XIV—21; ტაბ. XXVIII, 6; ნახ. $30_3$).

ს ა მ ა რ ხ ი № 5 ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ ქვაყუთს წარმოადგენდა. ყუთის კედლებად თითო ქვა იყო გამოყენებული, რომელთაგან ჩრდილო-დასავლეთის კედლის ქვის ძირი რამდენადმე გარეთ იყო გაწეული, სამარხი პატარა ზომის ასიმეტრიულ ოთხკუთხედს წარმოადგენდა, რომლის სიგრძე ძირთან დაახლოებით 1 მ, პირთან კი 0,86 მ უდრიდა. სიგანე — 0,58, სიღრმე 0,50 მ იყო. ქვაყუთს თითქმის ყველა მხრიდან დამატებით დიდრონი ქვები ჰქონდა შემოწყობილი (იხ. ნახ. $31_2$).

სამარხი დარღვეულის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ძვლები მასში თითქოს არაბუნებრივად იყო განლაგებული, თავის ქალა დასავლეთ ნახევარში იდო, რომელსაც ორი მხრიდან ებჯინებოდა ქვედა კიდურების ლულოვანი ძვლები. თავის ქალა ძლიერ იყო ფრაგმენტირებული. თითო-ოროლა ლულოვანი ძვალი გაბნეული იყო სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიც. შემორჩენილი ძვლების მიხედვით მიცვალებულის პოზის დადგენა შეუძლებელი იყო.

სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, სამარხისკენ გადმოფერდებული კედლის ქვის ძირში აღმოჩნდა თიხის მეტად ორიგინალური სარქვლიანი პატარა ჭურჭელი. თავის ქალასთან სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრინჯაოს სამაჯური იდო. ბრინჯაოს კონუსურთავიანი საკინძი აღმოჩნდა ჩრდილოეთის კედელთან აღმოსავლეთ ნაწილში. მასთანვე ახლოს რკინის 2 დანისებური იარაღის ნაშთი. ეს იარაღები ერთმანეთზე ეწყო ჯვარედინად. ქვედა მცირედ მოხრილი იარაღი ყოფილა, რომლის ნაალაგევის სიგრძე დაახლოებით 16 სმ იყო. სამწუხაროდ, ორივე იარაღი ისე ძლიერ იყო დაჟანგული, აღება ვერ მოხერხდა.

სამარხის ალაგებისა და ამოსუფთავების შემდეგ გაირკვა, რომ სამარხის ძირიც ფილაქვებით ყოფილა მოგებული, რომლის დაახლოებით შუა ნაწილში რკინის კიდევ ერთი გაურკვეველი ნივთის ნაშთი აღმოჩნდა.

1. სამაჯური ბრინჯაოსი, წრიული მოხაზულობის, ბოლოგახსნილი, ნაკეთებია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან, რომელსაც ბოლოები სწორად აქვს წაკვეთილი. დიამეტრი — 7,3×7,1 სმ (სავ. № XIV—35, ნახ. $30_5$).

2. საკინძი ბრინჯაოსი კონუსურთავიანი. მოკლე მრგვალგანივკვეთიანი ღე-




ნახ. 30. 1—4. № 4 ქვაყუთის ინვენტარი; 5—7 № 5 ქვაყუთის ინვენტარი



ნახ. 31. 1. ქვაყუთი № 6; 2. ქვაყუთი № 5 (გეგმები)

რო წვეროსაკენ წაწვეტებულია. თავი ზევიდან ბრტყლად წაკვეთილი და სადაა, გვერდებზე კი შემკულია ჭდეული ხაზებით. საკინძს კონუსური თავის ძირთან მრგვალი გამჭოლი ნახვრეტი აქვს გაკეთებული. სიგრძე — 8,5, სიგანე თავთან — 1,2 სმ (სავ. № XIV—36; ნახ. $30_6$).

3. რკინის დანისებური იარაღის ნაშთი ძლიერ დაჟანგული და დაქუცმაცებული. ერთ ფრაგმენტზე მანჭვალია შერჩენილი (სავ. № XIV—37).

4. რკინის დანისებური იარაღის ნაშთი, მცირედ მოხრილი უნდა ყოფილიყო ძლიერ დაჟანგული და დაქუცმაცებულია (სავ. № XIV—38).

5. ჭურჭელი თიხის მოყვითალო ფერის ნაცრისფერი ლაქებით. პირმოყრილი, დაბალი მკვეთრად გამობერილი მუცლით, რომელიც ძირისკენ მრგვალადვე ვიწროვდება. ძირი გამოყოფილი არ არის, მხოლოდ ქვედა ნაწილში სიმეტრიულად განლაგებული 4 მოგრძო ოვალური ფორმის დაბალი „ფეხი" აქვს მიძერწილი. კორპუსის ზედა ნაწილში 5 გადატეხის ხაზია, რომელიც ჭრილში დაკუთხულ ზედაპირს ქმნის. ორგან, ყურის ადგილას ვერძის თავებია მიძერწილი. მათსავე ხაზზე პირთან 2 მრგვალი ნახვრეტია გაკეთებული, ალბათ სარქველის მისაბმელად. სარქველი, რომელიც მჭიდროდაა მორგებული ჭურჭელზე, ცალ მხარესაა გახვრეტილი. ჭურჭელი მთელია, დამზადებული უნდა იყოს ჩარხზე. სიმაღლე სარქვლიანად — 7, უსარქვლოდ — 5, პირის დიამეტრი — 5,3, მუცლის დიამეტრი — 11,2 სმ (სავ. № XIV—34; ტაბ. XVIII, 4; ნახ. $30_7$).

სამარხი № 6 დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ არაწესიერი ოთხკუთხედის ფორმის ქვაყუთს წარმოადგენდა. ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კედლებად თითო ფილაქვა იყო გამოყენებული, რომლებიც გათხრების დროისათვის რამდენიმე ადგილას დაბზარულიყო. სამხრეთით მხოლოდ აღმოსავლეთ ნახევარში იყო ფილაქვა შემორჩენილი, დასავლეთის კედელთან კი რამდენიმე ქვა იდო, ძირითადად ზედაპირულად. სახურავი ყუთს არ ჰქონდა. სამარხის სიგრძე დაახლოებით — 1,2, სიგანე — 0,6, სიღრმე კი — 0,4 მ იყო. (ტაბ. XV, 2).

ადამიანის ძვლები ცუდად იყო შენახული. თავის ქალა სამარხის დასავლეთ ნაწილში იდო. ძირითადად შემორჩენილია ხელ-ფეხის ძვლები, რის მიხედვითაც დადგინდა, რომ მიცვალებული მარცხენა მხარეზე ყოფილა დასვენებული ძლიერ მოხრილი კიდურებით. მცირეოდენი ლულოვანი ძვლების ნაშთი აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთანაც, მაგრამ ადამიანის არ უნდა ყოფილიყო.

პრეპარაციის დაწყებისთანავე, ჩრდილო კედლის თითქმის ზედა დონესთანვე გამოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები. აქ ჩამტვრეული იყო მოზრდილი ჭურჭელი. მიცვალებულის კეფასთან იდო თიხის ჯამი, სახის პირდაპირ, ჩრდილო კედელთან—ყურიანი ქოთნის ფრაგმენტები. მარცხენა მაჯაზე გადადებული იყო ბრინჯაოს ძეწკვი რკინის ნაშთით. ძეწკვის ბოლოს, დაახლოებით სამარხის შუა ნაწილში ბრინჯაოს კონუსურთავიანი საკინძი იდო. ამავე ძეწკვის მცირე ნაწილი რამდენადმე მოშორებით, მარჯვენა იდაყვთან აღმოჩნდა. ზემოთ ხსენებული ძეწკვის ქვეშ ბრინჯაოსვე დაფანჯრული ფირფიტა იდო, რომელშიც ჩამაგრებული იყო რკინის პატარა კაუჭი. კისრის არეში რამდენიმე სარდიონის მძივი და თეთრი პასტის იოტი ჩნდებოდა, მაგრამ იოტები აღებისთანავე იშლებოდა. იქვე იყო მოთეთრო ლითონის სამაჯურისებრი ღეროს ფრაგმენტი (ნახ. $31_1$).

1. ჯაჭვი (ძეწკვი) ბრინჯაოსი და რკინის, შედგენილია ოვალური მოხაზულობის ბოლოგახსნილი რგოლებისაგან, რომელთა ბოლოები მჭიდროდაა ერთმანეთთან მიტანილი. ჯაჭვის დიდი ნაწილი ბრინჯაოსია, რკინის ნაწილი ძლიერ დაჟანგულია. მასზე მიჟანგულია რკინისავე ღეროს ნაშთი, ასევე ძლიერ დაჟანგული და ფორმაშეცვლილი. მსგავსი ღეროს ფრაგმენტი ცალ-ცალკეცაა ნაპოვნი მათთან ახლოს. ბრინჯაოს ჯაჭვის სიგრძე დაახლოებით 27 სმ-ია. ძირითადად ორი სხვადასხვა ზომის რგოლებისაგან შედგება. უფრო დიდი ზომის რგოლის სიგრძე 1,8 სმ-ია, სიგანე — 1,1 სმ, მომცრო რგოლების სიგრძე კი საშუალოდ — 1,3 სმ. ყველა რგოლი დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან. მხოლოდ ერთი, ბოლოსწინა რგოლი, რომელ მხარესაც რკინის რგოლები ებმის,




ნახ. 32. № 6 ქვაყუთის ინვენტარი

ზომითაც პატარაა, ბრტყელი მავთულისაგანაა დამზადებული და ბოლოები ერთმანეთზე გადადიან ხვიისებურად. ბრინჯაოს ჯაჭვი დაწყვეტილია. რკინის რგოლების გაზომვა არ ხერხდება, ვინაიდან ერთმანეთზეა მიჟანგული (სავ. № XIV—9; ნახ. $32_1$).

2. რკინის დანისებური იარაღის ნაშთი, ძლიერ დაჟუცმაცებული (სავ. № XIV-9).

3. საკინძი ბრინჯაოსი კონუსურთავიანი. მრგვალგანივკვეთიანი ღერო ბოლოსკენ გაწვრილებულია. კონუსის თავი სადაა და სუსტად ამობურცული, გვერდები კი შემკულია ნაჭდევი ზოლებით. კონუსის ძირთან საკინძი გახვრეტილია. საკინძი მთელია, კარგად შენახული. სიგრძე — 7,5, თავის დიამეტრი — 1,5 სმ (სავ. № XIV—10; ნახ. $32_2$).

4. ნივთი ბრინჯაოსი, დაფანჯრული. ნაკეთებია წვერწაკვეთილი სამკუთხედის ფორმის ბრტყელ ფირფიტაზე. ქვედა მხარე სადაა. ზედა შემკულია ჭდეული ზოლებითა და წერტილებით. გაწვრილებულ ადგილას გახვრეტილია. ცალ ფანჯარაში გამოდებული ჰქონდა რკინის კავისებური ნივთის ნაშთი, რომელიც ძლიერ დაჟანგულია, მაგრამ მაინც შეიმჩნევა, რომ ერთმანეთზე მიჟანგულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსა და რკალის ფრაგმენტები. შესაძლოა თავმოკაუჭებული საკინძისმაგვარი ნივთი იყო. სიგრძე — 5,3, უდიდესი სიგანე — 3,2 სმ, (სავ. № XIV—11; ნახ. $32_{4,5}$).

5. ფრაგმენტები ტყვიის რგოლისა (3 ფრაგმენტი), განივკვეთი — 0,4 სმ (სავ. № XIV—12; ნახ. $32_3$).

6. ჯამი თიხის, მოშავო-მოყვითალო, არათანაბარი ფერის, ღრმა; განიერი პირი სწორად წაჭრილია. გვერდები თანაბრად ვიწროვდება ძირისკენ და მომრგვალებულად გადადის ბრტყელ ძირზე. ჯამი ასიმეტრიულია, ხელით ნაძერწსა ჰგავს; ზედაპირი არათანაბრადაა მოგლუვებული სველი ხელით. კეცი მოყავისფროა. აღდგენილია. სიმაღლე — 6,5, პირის დიამეტრი — 14,7 სმ (ნახ. $32_8$).

7. ქოთანი თიხის, ცალყურა, რუხი ფერის, მონაცრისფრო ლაქებით, ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, სუსტად გამობერილი მუცელი და განიერი ბრტყელი ძირი აქვს. მრგვალი ყური მიძერწილია მუცლის ზედა ნაწილზე. ზედაპირი არათანაბრად მოგლუვებულია. აღდგენილია ფრაგმენტებისაგან, პირის და კორპუსის ნაკლული ადგილები შევსებულია თაბაშირით. სიმაღლე — 18,7, პირის დიამეტრი — 12,5, ძირის დიამეტრი — 11,5 სმ (სავ. № XIV—7; ნახ. $32_9$).

8. ფრაგმენტები თიხის ჭურჭლისა, მოშავო-მოყავისფრო, არათანაბარი ფერის, მხარზე კონცენტრული ღარები ჰქონია, რომლის ქვეშ ხორბლისმარცვლისებური ნაჭდევების მწკრივი შემოუყვება, ძირი ბრტყელი აქვს. აღდგენილია ჭურჭლის ქვედა ნაწილი, ყელ-პირი აკლია, ახლავს პირის პატარა ფრაგმენტი. კეცი ყავისფერია, თიხაში სილის მინარევი შეიმჩნევა, ძირის დიამეტრი — 12,7 სმ (სავ. № XIV — 8, ნახ. $32_{10}$).

9. მძივები სარდიონისა (5 ც). და პასტის იოტების (31 ც). სარდიონისა ცალი მხრიდან გახვრეტილი მანდარინისებური მძივებია, რომელთაგან ერთი ცალი ვარდისფერია, 1 მოყავისფრო-წითელი, 3 — კი მოწითალო. პასტის იოტები მოცისფრო-მოყვითალო ფერისაა, აქვეა ბრინჯაოს კილიტი (სავ. № XIV—13; ნახ. $32_{6,7}$).

ს ა მ ა რ ხ ი № 7 ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ წესიერ ოთხკუთხედს წარმოადგენს, რომელიც სიდიდით მხოლოდ № 1 სამარხს ჩამოუვარდებოდა. იგი აგების წესითაც განსხვავდებოდა დანარჩენებისაგან და თითქოს შუალედურ ვარიანტს წარმოადგენდა № 1 სა-

მარხსა და დანარჩენ ქვაყუთებს შორის. სახელდობრ, მისი სიგრძივი კედლები ნაგები იყო რამდენიმე წყებად ერთმანეთზე მშრალად დაწყობილი დიდრონი ლოდებისაგან, განივ კედლებად კი თითო ფილაქვა იყო გამოყენებული. სამარხის სიგრძე — 1,25, სიგანე — 0,70, ხოლო სიღრმე — 0,44—0,46 მ იყო. ზევიდან იგი გადახურული ყოფილა მოზრდილი ფილაქვით, რომელიც გათხრების დროისათვის სულ დალეწილი იყო (ტაბ. XVI, 1, 2; ნახ. 33).




ნახ. 33. ქვაყუთი № 7, გეგმა და ჭრილი

გარეგნულად სამარხი დაუძრავს ჰგავდა, მაგრამ პრეპარაციამ საწინააღმდეგო სურათი გვაჩვენა. ჩონჩხი ისე იყო არეული, რომ რაიმეს დადგენა შეუძლებელი გახდა. თავის ქალა ოთხ ნაწილად იყო გაფანტული, სამარხის ჩრდილოდასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებსა და სამხრეთის კედლის გაყოლებით დასავლეთ ნაწილში. დაახლოებით შუა სამარხში, რამდენადმე დასავლეთისკენ და ჩრდილო კედელთანაც ლულოვანი ძვლების ნაშთები ჩნდებოდა, რომელთა ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ფრაგმენტირებულ ცალყურა თიხის ქოთნის ქვეშაც შედიოდა. აღნიშნული ჭურჭლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 6—7 სმ-ზე ბრინჯაოს კონუსურთავიანი საკინძი და რკინის ნაშთი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ სამარხში შედარებით მრავლადაა წარმოდგენილი რკინის იარაღი. კერძოდ, ბრინჯაოს საკინძისა და მის სამხრეთით მდებარე ლულოვანი ძვლების აღების შემდეგ რკინის რამდენიმე იარაღი ვიპოვენეთ. ზევიდან იდო მოხრილი დანისებრი იარაღი, მის ქვეშ გრძელპირიანი შუბისპირი, კიდევ უფრო ქვევით რკინის ტარიანი სატევარი. რკინის ნაშთები კიდევ უფრო ქვევითაც ჩნდებოდა და თან რამდენიმე ადგილას. ჩვეულებისამებრ რკინის იარაღი აქაც ძლიერ დაჟანგული და დაშლილი იყო, თუმცა, მაინც მოხერხდა შუბისპირისა და სატევრის მეტ-ნაკლები სისრულით აღება (ნახ. 33).

სამარხის მთელი აღმოსავლეთი ნახევარი მოფენილი იყო თიხის ჭურჭლის სხვადასხვა ზომის ფრაგმენტებით, რომელთა შორის ვიწროყელიანი ხელადისებური ჭურჭლის ნახევარიც ერია.

ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია ასეთი არეულობა სამარხში — იქნებ იმ რამდენიმე ქვის ჩავარდნამ სამარხში, რომლებსაც პრეპარაციის დროს წავაწყდით (?).




ნახ. 34. № 7 ქვაყუთის ინვენტარი

1. სატევარი რკინის, ტარიანი. ფოთლისებური ვიწრო და გრძელი პირით და მაღალი სატარეთი, რომელსაც ბოლო გაგანიერებული აქვს. პირს მთელ სიგრძეზე გასდევს მაღალი მკვეთრი ქედი. სატარე ნაწილზე მკვეთრად შეიმჩნევა გარსაკრავის ნაალაგევი, რომელიც ხისა ან ძვლის უნდა ყოფილიყო. ეს გარსაკრავი 13 მანჭვალით ყოფილა მიმაგრებული ტარზე. თითქმის ყველა მანჭვალი შერჩენილია. სატევარი ძლიერ დაჟანგული და დაზიანებულია. გატეხილი იყო სამ ნაწილად. აღდგენილია, გამაგრებულია; სიგრძე — 29, სიგანე მხრებთან — 4,8, თავთან — 4,5 სმ (სავ. № XIV—$27_1$; ტაბ. XIX, 2; ნახ. $34_2$).

2. შუბისპირი რკინისა, მასრაგახსნილი. ფოთლისებურ ვიწრო და გრძელ პირს მთელ სიგრძეზე გასდევს მკვეთრი ქედი, რომელიც ნაწილობრივ მასრაზეც გადადის. მხრები ძლიერ დაქანებული აქვს. ეტყობა მასრის ბოლოში მანჭვლები უნდა ჰქონოდა. მასრაში შერჩენილია ხის ნაშთი. ძლიერ დაჟანგულია და ორად გატეხილი. გამაგრებულია. სიგრძე — 30, სიგანე — 4,5, მასრის უდიდესი დიამეტრი — 2,4 სმ (სავ. № XIV—30; ტაბ. XIX, 1; ნახ. $34_1$).

3. დანა რკინის, მცირედ მოხრილი, ცალპირლესილი. წვერთან შევიწროებული, სატარე ნაწილი წაწვეტებული აქვს, რომელზეც ალბათ ხის ტარი ჰქონდა წამოცმული, თითქოს შეიმჩნევა ტარის ნაალაგევიც. ძლიერ დაჟანგულია, წვერი მოტეხილი აქვს. გამაგრებულია, სიგრძე — 11,2, უდიდესი სიგანე — 1,5 სმ (სავ. № XIV—31; ნახ. $34_3$).

4. რკინის დანისებური იარაღის ფრაგმენტები. ვიწრო პირი ჰქონია, ძლიერ დაჟანგულია და დეფორმირებული. გამაგრებულია, შემორჩენილია სამი ფრაგმენტი, რომლებიც ებმის ერთმანეთს. აკლია სატარე ნაწილი. სიგრძე შემორჩენილი ნაწილისა — 11 სმ, უდიდესი სიგანე — 2,1 სმ (სავ. № XIV—33; ნახ. $34_4$).

5. რკინის იარაღის ფრაგმენტი, პატარა სამკუთხა მოყვანილობის ფირფიტა. ძლიერ დაჟანგული (სავ. XIV—32).

6. საკინძი ბრინჯაოსი, კონუსურთავიანი. მრგვალგანივკვეთიანი ღერო წვეროსაკენ გაწვრილებულია. კონუსური თავი ზევიდან ბრტყლად წაკვეთილია და პატარა ოთხკუთხა მოყვანილობის ნაჭდევი ეტყობა. ალბათ დაზიანების შედეგია. კონუსის გვერდები შემკულია ნაჭდევი ზოლებით, ძირთან კი მეტად ფართო მრგვალი ნახვრეტი აქვს დატანილი. საკინძი მთელია, გაწმენდილია. სიგრძე — 4 სმ, კონუსური თავის უდ. დიამეტრი — 1,3 სმ (სავ. № XIV—29; ნახ. $34_5$).

7. ქოთანი თიხის, ცალყურა მოყავისფრო-მოშავო, არათანაბარი ფერის, დაბალყელიანი, მცირედ გადაშლილი ბაკოიანი პირით, გამობერილი მუცლითა და ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მხარსა და მუცელზე. მის გასწვრივ ქოთანი დაფარულია მჭიდროდ მიჯრილი კონცენტრული ღარებით, რომელთა ქვეშ ხორბლისმარცვლისებური თუ ფრჩხილისებური ნაჭდევების მწკრივი შემოუყვება. ნაკეთები უნდა იყოს ჩარხზე. მქისე ზედაპირი ზოგან დაზიანებულია. თიხა საშუალოდ განლექილია. კეცი ყავისფერი; აღდგენილია. ნაკლული ადგილები შევსებულია თაბაშირით. სიმაღლე — 17, პირის დიამეტრი — 13,2, ძირის დიამეტრი — 9,5 სმ (სავ. № XIV—26; ტაბ. XIX, 8; ნახ. $34_7$).

8. დოქი თიხისა, მოშავო ფერის, ცალყურა; ვიწრო, მაღალი ყელი, გადაშლილი პირი, ბიკონუსური ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ყური მიძერწილი ყოფილა პირსა და მხარზე (ძირიანად მოტეხილია). მხარზე 4 კონცენტრული

ლარი აქვს დატანებული. ნაკეთები უნდა იყოს ჩარხზე. ზედაპირი დიდ ნაწილზე აფცქვნილია. კეცი მოყავისფროა. აღდგენილია, აკლია პირის ნაწილები და ყური. კორპუსის ნაკლული ადგილები შევსებულია თაბაშირით. სიმაღლე — 23,7, ყელის დიამეტრი — 6, ძირის დიამეტრი — 8 სმ (სავ. № XIV—27; ტაბ. XIX, 6; ნახ. $34_8$).

9. ფრაგმენტები თიხის დოქისა, ცალყურა, მოყავისფრო, მაღალყელიანი, პირგადაშლილი, მრგვალი მუცლითა და ბრტყელი ძირით. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. მუცლის ზედა ნაწილი შემკულია ნაპრიალები ზოლებისაგან შექმნილი ორნამენტით: რამდენიმე რიგი კონცენტრული ზოლებისა, რომელთა ქვეშ დაშტრიხული სამკუთხედების ერთი წყება შემოუყვება, ნაკეთებია ჩარხზე. ზედაპირი ზოგან აფცქვნილია, კეცი მოყვითალო-ყავისფერი, დოქი ძლიერაა ფრაგმენტირებული. აღდგენილია ყურიანი პირგვერდის ნაწილი და ცალკე ძირგვერდის ნაწილი. ახლავს წვრილი ნატეხები. ძირის დიამეტრი — 9,5 სმ (სავ. № XIV—28; ნახ. $34_6$).

სამარხი № 8 ქვაყუთს წარმოადგენდა (ტაბ. VIII, 3). დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ არაწესიერ ოთხკუთხედის ფორმის ყუთს, ოთხივე კედელი თითო თხელი ფილაქვისაგან ჰქონდა შედგენილი. კედლების გარეთ, თითქმის ყველა მხარეს დამატებით კიდევ ქვები იყო შემოწყობილი. სამარხი ზევიდან გადახურული ყოფილა მთლიანი ფილაქვით, რომელიც გათხრების დროისათვის დამტვრეული იყო. ქვაყუთის ჩრდილო კედლის სიგრძე — 0,76, სამხრეთისა — 0,71, დასავლეთისა — 0,50, ხოლო აღმოსავლეთის კედლისა — 0,47 მ იყო (აღებულია შიდა ზომები). სიღრმე დაახლოებით — 0,29—0,30 მ ჰქონდა. გვერდით მდებარე № 1 სამარხის მსგავსად, მიწა ამ სამარხშიც ნესტიანი და ფხვიერი იყო და, აგრეთვე, სახურავის აღებისთანავე და პრეპარაციის პროცესშიც თითო-ოროლა ბრინჯაოს პატარა კილიტი ჩნდებოდა.

ძვლები აქაურ ნიადაგში საერთოდ ცუდად ინახება. № 8 სამარხში ამას ისიც ემატებოდა, რომ ბავშვი იყო დაკრძალული და მისი პატარა და სუსტი ძვლები სულ განაცრებული იყო. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე მოხრილი ხელ-ფეხით, თავით დასავლეთისაკენ. თავის ქალა კისრით იდო დასავლეთ კედელთან ჩრდილო ნაწილში. ქვედა ყბა უფრო აღმოსავლეთისკენ იყო გადავარდნილი (უკანა კბილები უფესვო იყო). ნეკნების ნაშთი ჩრდილო კედლის გასწვრივ გაიწმინდა; მარცხენა ხელის მტევანი გულმკერდთან ჰქონდა მიტანილი, იდაყვი კი თითქმის მენჯამდე აღწევდა. სამარხი არც თუ ისე ღრმა იყო და ერთეული ძვლები თითქმის ზედა დონესთანვე ჩნდებოდა. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან წვრილი ძვლები ეყარა, ალბათ ცხოველისა. სამარხში თიხის ორი ჰურჰელი აღმოჩნდა — დოქი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და პატარა ხელადა სამხრეთ კედელთან. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ორივე ჰურჰელი თავიდანვე ნაკლული ჩაუტანებიათ — ორივეს აკლდა ყური და პირის ნაწილები. კისრისა და გულმკერდის არეში პასტისა და მინის მძივები ეყარა. ხელის ძვლებთან ბრინჯაოს სამაჯურისებრი რგოლი ვიპოვნეთ. სახესა და მხარს შორის რკინის იარაღის ნაშთი იდო. ხოლო ნეკნების აღების შემდეგ გულმკერდის არეში რკინის მშვილდსაკინძის ნაშთი გამოჩნდა (ტაბ. XIII, 3; ნახ. $24_1$).

1. რკინის იარაღის ფრაგმენტები, დანისებური (?), ძლიერ დაჟანგული და დეფორმირებული. ერთი გათხელებული წვერის ფრაგმენტია, მეორე სატარესა-

ვით წაწვეტებულია. ახლავს რამდენიმე წვრილი ფრაგმენტიც (სავ. № XIV—42; ნახ. $26_7$).

2. მშვილდსაკინძი (?) რკინის, ძლიერ დაჟანგული და დეფორმირებული, შემორჩენილია მშვილდის ნაწილი (სავ. № XIV—43; ნახ. $26_3$).

3. სამაჯური ბრინჯაოსი, ნაკეთები ოვალურგანივკვეთიანი მავთულისაგან; ბოლოები წაწვეტებული და ძლიერ დაშორებულია ერთმანეთისაგან (შესაძლოა ნაკლულია?), გაწმენდილია (სავ. № XIV—41; ნახ. $26_6$).

4. კილიტები ბრინჯაოსი, ძლიერ დაჟანგული, პატარა ზომის, დიდი ნაწილი დაიფშვნა, შემორჩა 4 ც. (სავ. № XIV—44; ნახ. $26_5$).

5. მძივები მინისა და პასტის და იოტები. 4 ც. მინის მძივი ლურჯი ფერისაა, ერთი თეთრია, ყველა ირიზებულია. პასტის მძივები და იოტები უფრო მრავლადაა წარმოდგენილი და სხვადასხვა ფერისაა — თეთრი, მოსალათისფრო, ცისფერი და სხვ. (სავ. № XIV—45; ნახ. $26_4$).

6. დოქი თიხისა, მოყავისფრო-მონაცრისფრო, არათანაბარი ფერის, გამობერილი მუცლითა და ბრტყელი ძირით, ჩარხზე უნდა იყოს ნაკეთები. სადა ზედაპირი ზოგან ამოჩხვლეტილია. ოვალურგანივკვეთიანი ყური ჰქონია, რომლის ქვედა მხარე მხარზე ყოფილა მიძერწილი. აკლია ყელ-პირი და ყური. მუცლის დიამეტრი — 25, ძირის დიამეტრი — 11,3 სმ (სავ. № XIV—39; ნახ. $26_1$).

7. ხელადა თიხისა, პატარა, რუხი ფერის, მოწითალო ლაქებით; განიერი ყელი, მრგვალი კორპუსი და ბრტყელი ძირი აქვს. მრგვალგანივკვეთიანი ყურის ქვედა ბოლო შერჩენილია მხარზე. მოტეხილი აქვს ყელ-პირი და ყური. სუსტად გაპრიალებული ზედაპირი ზოგან დაზიანებულია. თიხაში თეთრი ფერის მინარევი შეიმჩნევა. ხელადა ჩარხზე უნდა იყოს დამზადებული. მუცლის დიამეტრი — 11, ძირის დიამეტრი — 6,3 სმ (სავ. № XIV—40; ნახ. $26_2$).

ამით დამთავრდა მუშაობა პირველ წელს ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე სამაროვანზე, სადაც ცხრა სამარხი გაითხარა. შემდეგ სეზონშიც იმავე სამაროვანზე გააგრძელა ექსპედიციამ მუშაობა დარჩენილი დაზიანებული ქვაყუთების გამოსავლენად და 5 ასეთი ქვაყუთი გათხარა.

ს ა მ ა რ ხ ი № 9, რომელიც გზაზე ყველაზე ქვევით მდებარეობდა, თითქმის კვადრატულ ყუთს წარმოადგენდა (ნახ. 22). დამხრობა დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე. სამარხი წინა წელს გათხრილ № 7 სამარხის მსგავსად იყო აგებული — დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლებად თითო ფილაქვა იყო გამოყენებული, გრძივი კედლები კი დიდრონი ლოდებისაგან იყო ნაგები მშრალი წყობით (იხ. ჭრილი ნახ. 35). ქვაყუთის შიდა ზომებია — 1,13×0,90×
×0,45 მ. სამარხი ძლიერ დაზიანებული იყო. ჩამტვრეული სახურავის რამდენიმე ნატეხი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ხოლო ერთი მოზრდილი ნატეხი შუა სამარხში იყო ჩავარდნილი. ამ ქვების ქვევითაც და ზევიდანაც ეყარა ძვლები, რომელთა ნაწილი ადამიანს ეკუთვნოდა, ნაწილი კი ცხოველისა უნდა ყოფილიყო. ჩავარდნილ ქვას უნდა გაეტეხა მოზრდილი ლანგარიც, რომლის პატარა ფრაგმენტი შუა სამარხისაკენ იყო გადავარდნილი, დიდი ნაწილი კი სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდო, რომლის ქვეშ თიხის დოქი აღმოჩნდა.

ძვლები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძლიერ იყო არეული. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი მოფენილი იყო ლულოვანი ძვლებით, რომლებიც ერთმანეთის მიმართ არაბუნებრივად იყო განლაგებული. დასავლეთ ნაწილში თავის ქალას

ფრაგმენტები გამოჩნდა, ჩრდილოეთით იყო გადავარდნილი ყბის ფრაგმენტი კბილებით. მიცვალებულის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

სამარხის ალაგების შემდეგ გაირკვა, რომ იატაკის დიდი ნაწილი მოზრდილი ფილაქვებით ყოფილა მოგებული წინა წელს გათხრილი № 5 სამარხის




ნახ. 35. ქვაყუთი № 9, გეგმა და ჭრილი

მსგავსად. ქვისგან თავისუფალი იატაკის მხოლოდ სამხრეთი ვიწრო ზოლი იყო. იატაკზე რკინის ნაშთები გამოჩნდა: გაურკვეველი ნივთისა — სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დოქთან და დანისებური ნივთისა — ჩრდილოეთ კედელთან, დაახლოებით შუაში.




ნახ. 36. № 9 ქვაყუთის ინვენტარი

1. ლანგარი თიხის, მოშავო ფერის; მომრგვალებული გვერდი, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული კალთა და ბრტყელი ძირი აქვს. ზედაპირი სუსტად გაპრიალებულია, კეცი შავი ფერისაა. დამზადებულია ჩარხზე. აღდგენილია. სიმაღლე — 9,5, პირის დიამეტრი — 33, ძირის დიამეტრი — 17,5 სმ (სავ. № XV—4; ტაბ. XIX, 5; ნახ. $36_3$).




ნახ. 37. № 10 ქვაყუეთის ნაშთი, გეგმა




ნახ. 38. № 10 ქვაყუთის ინვენტარი

2. დოქი თიხის, მოშავო ფერის; მაღალი ძაბრისებური პირი, მკვეთრად გამობერილი მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი აქვს. მრგვალგანივკვეთიანი ყუ-

რი მიმაგრებულია პირსა და მხარზე. მხარსა და მუცელზე შემოუყვება სამ-სამი არამკვეთრი ჭდეული ზოლი. სუსტად გაპრიალებული ზედაპირი ზოგან დაშაშრული და დაზიანებულია. დოქი ჩარხზეა ნაკეთები. აღდგენილია, ნაკლული ადგილები შევსებულია თაბაშირით. სიმაღლე — 23,4, პირის დიამეტრი — 7,5, ძირის დიამეტრი — 8 სმ (სავ. № XV—18; ნახ. $36_2$).

3. დანა რკინის, მოხრილი, ცალპირლესილი. ტარის და წვერისკენ გაწვრილებულია; ძლიერ დაჟანგული და დაზიანებულია. სიგრძე — 18,5 სმ (სავ. № XV—20; ნახ. $36_1$).

4. რკინის ნივთის ფრაგმენტი, ძლიერ დაჟანგული და დაშლილი (სავ. № XV—21).

სამარხი № 10 ძლიერ იყო დაზიანებული. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ აქ სამარხის ნაშთიღა იყო დარჩენილი. ერთი მხრიდან რამდენიმე ქვა იდო მორკალულად, საკმაოდ ზედაპირულად, რომელთა სიღრმე 21—23 სმ-ს არ აღემატებოდა. ინვენტარის ძირითადი ნაწილი კი უფრო ღრმად აღმოჩნდა. თიხის ძლიერ ფრაგმენტირებული ჭურჭელი ქვების ზედა დონეებზევე გამოჩნდა და მთელ მათ სიღრმეზე ჩადიოდა. მათგან 45—47 სმ-ით იყო დაშორებული (აღმოსავლეთისკენ) იმავე ჭურჭლის პირის ფრაგმენტი და 12 სმ-ით დაბლა იდო. კიდევ უფრო შორს და 20 სმ-ით ღრმად მდებარეობდა ბრინჯაოს რგოლი და ჯაჭვი. ჩონჩხის ნაშთსაც კი ვერ მივაკვლიეთ (ნახ. 37).

1. ქოთანი თიხის, ცალყურა, ნაცრისფერი. გადაშლილი პირი, მცირედ გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მოზრდილი ყური მიმაგრებულია მხარზე. ყურის ზედა ნაწილი დაფარულია ნაჩხვლეტი ხაზებით. მუცელზე შემოუყვება არათანაბარი და ასიმეტრიული ჭდეული ზოლების წყება. ზედაპირი მქისეა, კეცი ნაცრისფერი. ჩარხზე უნდა იყოს დამზადებული. აღდგენილია ნატეხებისაგან, აკლია თითქმის ნახევარი. სიმაღლე — 20,3, ძირის დიამეტრი — 9,8 სმ (სავ. № XV—1; ნახ. $38_1$).

2. რგოლი ბრინჯაოსი, ბოლოგახსნილი, ასიმეტრიული; დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან, რომელსაც ცალი ბოლო გაწვრილებული აქვს, მეორე კი სწორად წაკვეთილი (სავ. № XV—2; ნახ. $38_2$).

3. ჯაჭვი ბრინჯაოსი, შედგენილი ბრტყელმავთულიანი რგოლებისაგან. ერთ მხარეს ბოლო რგოლში რკინის ნაშთია ჩარჩენილი. სიგრძე — 23,3 სმ (სავ. № XV—2; ნახ. $38_3$).

სამარხი № 11 დამხრობილი იყო დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ, მცირეოდენი გადახრით. იგი დაზიანებულ ქვაყუთს წარმოადგენდა, რომელსაც გათხრების დროისათვის აღმოსავლეთით კედლის ქვა აღარ ჰქონდა. ეს ქვაყუთი აგების წესით რამდენადმე განსხვავდებოდა დანარჩენებისაგან. დასავლეთის კედელი ამოშენებული იყო ერთმანეთზე მშრალად დაწყობილი რამდენიმე ბრტყელი ქვით. სამხრეთით და ჩრდილოეთით სამ-სამი ქვა იდო, რომელთაგან ჩრდილოეთის ქვები დიდრონ ლოდებს წარმოადგენდა და არა ბრტყელ ფილაქვებს, როგორსაც ჩვეულებრივ ქვაყუთებისათვის ხმარობდნენ ხოლმე და როგორიც გამოყენებული იყო ამავე სამარხის სამხრეთის კედლად (იხ. ტაბ. XVII, 1; ნახ. 40). ზოგიერთი ქვის აღება წინასწარვე დაგვჭირდა, ვინაიდან პრეპარაციას ხელს უშლიდა. გაკვირვებას იწვევდა ის გარემოება, რომ ქვაყუთში, სამხრეთის კედლის პარალელურად ქვის მეორე კედელი აღმოჩნდა, რომლის დანიშნულებაც ვერ გავარკვიეთ (ტაბ. XVII, 1; ნახ. 39, გეგმა). ამ

შუა კედლის ორივე ბოლოში, დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც, კერამიკა ეწყო, ხოლო მისი აღების შემდეგ, ზუსტად მის ქვეშ აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხის ნაშთიც და ინვენტარიც. უნდა აღინიშნოს, რომ სამარხეული ინვენტარი თითქოს ჯგუფებად იყო ჩატანებული: აღმოსავლეთ ბოლოში — თიხის სადღვებელი, შლადი თიხის პატარა ქოთანი და რკინის დანისებური ნივთი; დასავლეთ კედელთან — თიხის ორი დოქი და ჯამი; ხოლო შუა სამარხში ლითონის ნივთები და მძივები. კერამიკულ ნაწარმს შორის სიგრძეზე ადამიანის ძვლები იყო განლაგებული: დასავლეთით, დოქებიდან დაახლოებით 20 სმ-ზე, თავის ქალას ნაშთი და, კიდევ უფრო აღმოსავლეთით, დანარჩენი ჩონჩხის ნაშთი. მაჯისა და ხელის მტევნების ძვლებთან ბრინჯაოს 2 სამაჯური და ხატისუღელი აღმოჩნდა, რომლის ქვეშ ჩანდა ადამიანის ქვედა ყბა პატარა კბილებით. ლითონის ნივთებს შორის და გარშემო ეყარა სარდიონის, ქარვის და პასტის მძივები (იხ. ტაბ. XVII, 2; ნახ. 40). უფრო აღმოსავლეთით ლულოვანი ძვლებისა და მენჯის ნაშთი გამოჩნდა. სამარხის მთელ ინვენტარს ქვევიდან რაღაც მოშავო-მოყავისფრო მასა ედო, თითქოს ხის ან ტყავის ნაშთი.

1. დოქი თიხის, არათანაბარი ნაცრისფერი ზედაპირით. ძაბრისებურად გადაშლილი პირი, ძლიერ გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მასიური მრგვალგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია პირსა და მხარზე. ყურს შუაწელს ქვემოთ კონუსური კოპი აქვს დაძერწილი. შემკულია ჭდეული და ნაპრიალები ხაზებით. ზედაპირი მქისეა და ძლიერ დაზიანებული. აღდგენილია, აკლია მცირე ნაწილები. ქვედა ნაწილში ერთ ადგილას დოქი მრგვალად ამოტეხილია, რაც ადრინდელი დაზიანება უნდა იყოს. ძირზე ეტყობა წითელი ოქრის კვალი. სიმაღლე — 33,5, პირის დიამეტრი — 10,7, ძირის დიამეტრი — 12 სმ (სავ. № XV—$19_1$; ტაბ. XIX, 7; ნახ. $41_2$).




ნახ. 39. ქვაყუთი № 11, გეგმა და ჭრილი

2. დოქი თიხის, არათანაბარი ნაცრისფერი ზედაპირით; მაღალი ძაბრისებური პირი, ბიკონუსური მოყვანილობის კორპუსი და ბრტყელი ძირი აქვს. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. შემკულია ჭდეული და ნაპრიალები ზოლებით, რომელიც ძნელათღა შეიმჩნევა ზედაპირის დაზიანების გამო. აღდგენილია, ნაკლული ადგილები შევსებულია თაბაშირით. სიმაღლე — 24,7, პირის დიამეტრი — 7,7, ძირის დიამეტრი — 9,3 სმ (სავ. № XV—12; ტაბ. XIX, 4; ნახ. $41_1$).

3. სადღვებელი თიხის, ნაცრისფერი, მხრებთან განიერი, ძირისკენ წაგრძელებულია; ბრტყელი ძირი აქვს. პირი ვიწრო და გადაშლილი ჰქონია. საკმაოდ




ნახ. 40. ქვაყუთი № 11, გეგმა




ნახ. 41. № 11 ქვაყუთის ინვენტარი

ორიგინალურადა აქვს სასუნთქი მილი გაკეთებული — ჰორიზონტალურად მიმაგრებული მრგვალგანივკვეთიანი ყურის ცალი ბოლო დაბრტყელებული და გამჭოლად გახვრეტილია. შესაძლოა მეორე ყურიც ჰქონოდა — აკლია მთელი ზედა ნაწილი. აღდგენილია, შევსებულია თაბაშირით. მხარი შემკული ყოფილა ნაპრიალები ზოლებით. ძირის დიამეტრი — 11,2 სმ (სავ. № XV—14; ნახ. $41_4$).

4. თიხის ჯამი, ფიალისებური, შავი ზედაპირითა და არათანაბარი ნაცრისფერი შიდაპირით. მაღალი მცირედ გადაშლილი გვერდი, მოკლე დაქანებული კალთა და განიერი ბრტყელი ძირი აქვს. ძირის შიდაპირზე სამი კონცენტრული რელიეფური წიბური შეიმჩნევა. ზედაპირი მოგლუვებულია. შიდაპირზე კარგად ჩანს თიხაში თეთრი სილის მინარევი. აკლია პირის ნაწილები. სიმაღლე — 5, პირის დიამეტრი — 15,5, ძირის დიამეტრი — 9 სმ (სავ. № XV—17; ნახ. $41_3$).

5. ფრაგმენტები თიხის პატარა შავზედაპირიანი ჭურჭლისა, რომელსაც მცირედ გადაშლილი პირი, გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი ჰქონია. კორპუსის ორ ფრაგმენტს კონუსური კოპი აქვს შერჩენილი. ზედაპირი მქისეა, თიხაში თეთრი სილაა შერეული (სავ. № XV—13; ნახ. $41_5$).

6. საკისრე რგოლი (ხატისუღელი) ბრინჯაოსი, გრეხილი, ბოლოები გაბრტყელებული და ჩახვეულია. გაწმენდილია, მთელია (სავ. № XV—16, ნახ. $41_6$).

7. სამაჯური ბრინჯაოსი, წრიული მოხაზულობის, ბოლოგახსნილი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან. ბოლოები სწორად წაკვეთილი აქვს. შემკულია ნაჭდევი ორნამენტით. ღეროს განივკვეთი — 0,5 სმ (სავ. № XV—22; ნახ. $41_7$).

8. სამაჯური ბრინჯაოსი, წრიული მოხაზულობის, ბოლოგახსნილი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან. ბოლოები სწორად წაკვეთილი აქვს. ღეროს განივკვეთი — 0,4 სმ (სავ. № XV—22; ნახ. $41_8$).

9. ფრაგმენტები (2) ვერცხლის წვრილმავთულიანი რკალისა (საყურე?). ერთ ფრაგმენტს ცალი ბოლო ოდნავ დაბრტყელებული და გაჩხვლეტილი აქვს; ნაკლულია (სავ. № XV—19; ნახ. $41_{10}$).

10. მძივები და იოტები სარდიონის, ქარვის და პასტის. სარდიონის წვრილი არათანაბარი მრგვალბრტყელი მძივებია (321 ც.); ქარვის მძივები ძირითადად ბრტყელი ფორმის ყოფილა. მაგრამ ძლიერ დაშლილ-დაზიანებულია; ცისფერი პასტის მძივების ნაწილი ცილინდრული ფორმისაა (15 ც), ნაწილი კი ე. წ. „დაჭრილი“ მძივებია (11 ც). რამდენიმე იოტია თეთრი ფერის (სავ. № XV—15; ნახ $41_9$).

11. რკინის გაურკვეველი ნივთის ნაშთი (სავ. № XV—14).

სამარხი № 12 დაზიანებულ ქვაყუთს წარმოადგენდა. კედლის ქვები დამტვრეული და სამარხისკენ გადაქცეული იყო, რის გამოც ზოგიერთის აღება წინასწარვე დაგვჭირდა. სამარხი დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო დამხრობილი, მისი სიგრძე დაახლოებით 0,80 მ, სიგანე კი — 0,40—0,45 მ იყო. ძვლები ძალიან ცუდად იყო შენახული. სამარხში ბავშვი ყოფილა დაკრძალული მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ. აღმოსავლეთის კედლის ქვა ძვლებზე იყო გადმოქცეული, რის შედეგადაც ფეხის ძვლები თითქმის გამქრალა (ტაბ. XVII, 3).

ყუთის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან თიხის ორი ჭურჭელი იდგა, ორივეს პირის ნაწილები აკლდა. იქვე ახლოს, მაჯის ძვალთან, ბრინჯაოს სამაჯური აღ-

მოჩნდა, ხოლო მისგან ჩრდილოეთით რკინის ნაშთი, რომელშიც ბრინჯაოს პატარა რგოლებია (?) ჩაჟანგული. კისრის არეში 1 ც. სარდიონის და პასტის მძივები ეყარა. აქვე ვიპოვნეთ ტყვიის ღეროს ფრაგმენტი (ნახ. 42).




ნახ. 42. ქვაყუთი № 12, გეგმა

1. ქოთანი თიხის, ცალყურა, არათანაბარი მოყვითალო და მონაცრისფრო ზედაპირით. გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მცირედ გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ბრტყელი ყური შუა კორპუსზე აქვს მიმაგრებული. მოგლუვებული ზედაპირი ალაგ-ალაგ დაზიანებულია. აკლია პირის ნაწილები.




ნახ. 43. № 12, ქვაყუთის ინვენტარი

ჩარხზეა ნაკეთები. სიმაღლე — 12,7, პირის დიამეტრი — 10,5, ძირის დიამეტრი — 9 სმ (სავ. № XV—5; ნახ. $43_1$).

2. კოჭობი თიხის, არათანაბარი მონაცრისფრო ზედაპირით. გადაშლილი პირი, გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ზედაპირი მქისეა; აკლია პირის ნაწილები. ჩარხზე უნდა იყოს დამზადებული. სიმაღლე — 8, ძირის დიამეტრი — 4,8 სმ (სავ. № XV—6; ნახ. $43_2$).

3. ფრაგმენტები თიხის პატარა ჭურჭლისა, მოშავო ფერის, აღდგენილია მცირე ნაწილი, დიდი ნაწილი კი აკლია (სავ. № XV—13).

4. სამაჯური ბრინჯაოსი, წრიული მოხაზულობის, ბოლოგახსნილი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან. ირგვლივ დასერილია მოკლე სწორი ხაზებით (სავ. № XV—9; ნახ. $43_3$).

5. ფრაგმენტები ტყვიის რგოლისა, ძლიერ დაზიანებული (სავ. № XV—7; ნახ. $43_4$).

6. რკინის გაურკვეველი ნივთის ნაშთი, რომელშიც ჩაჟანგულია ბრინჯაოს პატარა რგოლები (?), რომელთა განცალკევება ვერ მოხერხდა, ვინაიდან დაიშლებოდა. გამაგრებულია მთლიანად (სავ. № XV—8).

7. მძივები სარდიონის (1 ც.) და პასტის (სავ. № XV—10; ნახ. $43_5$).




ნახ. 44. ქვაყუთი № 13, გეგმა

ს ა მ ა რ ხ ი № 13 დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ ოთხკუთხა ქვაყუთს წარმოადგენდა, რომლის დასავლეთი კედელი ორი, დანარჩენი კედლები კი თითო ფილაქვისაგან შედგებოდა. გრძივ კედლებს გარეთა მხრიდან რიყის ქვები ჰქონდა შემოწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ეს სამარხი დაუზიანებელს ჰგავდა, შიგნით გაურკვეველი ვითარება დაგვხვდა. შევსების მიწა საკმაოდ ფხვიერი იყო, მაგრამ ყუთის ქვევითაც ასევე გრძელდებოდა. ქვაყუთის შიდა ფართობის ზომებია 103×60×55 სმ. დასავლეთ ნაწილში სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა კერამიკის ფრაგმენტები. რაიმე სხვა ინვენტარი, ან ჩონჩხის კვალი არსად არ შეგვხვედრია. სამარხის ძირის ქვეშ, სადაც ფხვიერი მიწა კვლავ გრძელდებოდა, აღმოჩნდა უზარმაზარი ლოდი, რომელიც სამარხთან დაკავშირებული არ იყო (ნახ. 44).

1. ფრაგმენტები თიხის სხვადასხვა ჭურჭლისა; ფრაგმენტების ნაწილი პატარა ხელადისებურ ჭურჭელს ეკუთვნის, რომელსაც დაბალი გამობერილი მუცელი და განიერი ბრტყელი ძირი ჰქონია (სავ. № XV—13).

როგორც დავინახეთ, სამაროვანზე ეკლესიის ჩრდილოეთით 14 დაზიანებული სამარხი გავთხარეთ, რომელთა ძირითადი ნაწილი ბრტყელი ფილაქვებით ნაგებ ყუთებს წარმოადგენდა. მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შეგვხვდა განსხვავებული კონსტრუქციით ნაგები ქვაყუთებიც; მაგალითად: № 1 სამარხის ოთხივე კედელი მოზრდილი ლოდებით იყო ნაგები მშრალი წყობით (იხ. ტაბ. XIII, 1, 2; ნახ. 24). ამგვარადვე ჰქონდა აგებული მხოლოდ გრძივი (ე. ი. ჩრდილოეთის და სამხრეთის) კედლები №№ 7 და 9 სამარხებს, განივ კედლებად კი, ჩვეულებისამებრ, თითო ფილაქვა იყო გამოყენებული

(იხ. ტაბ. XVI, 2; ნახ. 33 და 35), ხოლო № 11 სამარხში პირიქით, განივ, ე. ი. დასავლეთის კედლად ერთმანეთზე მშრალად დაწყობილი ბრტყელი ფილების რამდენიმე წყება იყო გამოყენებული. შესაძლოა, ასევე იყო აგებული მისი მოპირდაპირე აღმოსავლეთის კედელიც, მაგრამ აქ ქვები საერთოდ არ დაგვხვედრია დაზიანების გამო (ტაბ. XVII, 1, 2; ნახ. 39).

სხვამხრივ აქაური სამარხები თითქოს ერთმანეთის მსგავსია და მეტ-ნაკლებად თანადროულიც უნდა იყოს. ვფიქრობთ, ყოველი მათგანი გადახურული უნდა ყოფილიყო დიდი ზომის ფილაქვით; ყველაზე უკეთ შემორჩენილი იყო № 1 ქვაყუთის სახურავი, რომელიც გასაოცრად დიდი იყო და სამარხზე ბევრად დიდ ფართობს ფარავდა (ტაბ. XII, 2; ნახ. 23). ჩამტვრეულ-ჩალეწილი იყო №№ 2, 7 და 8 სამარხების სახურავი ქვები (ტაბ. XIV, 1; XVI, 1; XII, 2 — მარცხნივ). დანარჩენ სამარხებს ან სრულიად არ შემორჩენიათ (ალბათ დაზიანების შედეგად), ან შიგ ღრმად იყო ჩაცვივნული სახურავის შედარებით მცირე ფრაგმენტები. უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც სახურავად, ისე ქვაყუთის კედლებად, ძირითადად, მთლიანი, ზოგჯერ საკმაოდ მოზრდილიც, ფილაქვები ყოფილა გამოყენებული, რომლებიც გვიანდელი დაზიანების შედეგად (საფიქრებელია ბულდოზერით თხრის დროს), დაბზარულა ან დამტვრეულა.

სამარხები დამხრობილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ზოგჯერ მცირეოდენი გადახრით ჩრდილო-დასავლეთისკენ. მეტ-ნაკლებად განსხვავებულია ზომებიც; მათი სიგრძე მერყეობს 1,25-დან 0,75 მ-მდე, სიგანე — 0,8 მ-დან — 0,4 მ-მდე, სიღრმე კი — 0,5 მ-დან — 0,3 მ-დე. ხშირად ქვაყუთის კედლებს გარედან დამატებით ქვები აქვს შემოწყობილი, ალბათ გამაგრების მიზნით. სამარხებს, ჩვეულებრივ, მიწის იატაკი აქვთ; მხოლოდ ორი შემთხვევა გვაქვს იატაკზე ქვის ფილების დაგებისა (სამარხები №№ 5 და 9; იხ. ნახ. 35).

ჩვენ მიერ გათხრილი ყველა სამარხი ინჰუმაციური და ინდივიდუალურია. ძვლების კვალს ვერ მივაკვლიეთ მხოლოდ № 10 სამარხში, რომელიც სრულიად დანგრეული დაგვხვდა და სამარხის ნაშთს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ძვლები ამ სამაროვანზეც, მსგავსად „ფარეხებისა", საკმაოდ ცუდადაა დაცული, ხშირად განაცრებულია; ძვლების გარკვეული ნაწილის კვალიც კი გამქრალია. მაგრამ ყველგან, სადაც კი პოზის დადგენა მოხერხდა, მიცვალებული წევს მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით დასავლეთისაკენ (ან ჩრდილო-დასავლეთისაკენ).

სამარხში ინვენტარის ჩატანების რაიმე გარკვეული წესი არ შეინიშნება. ნივთები გვხვდებოდა სამარხის ყველა ნაწილში, მიცვალებულის თავთან, ფეხებთან, გულმკერდთან და სხვ. №№ 3, 4 და 9 სამარხებში მთელი ინვენტარი თავსდებოდა ყუთის დასავლეთ ნახევარში. მაგრამ დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ თავიდანვე ასე იყო ჩალაგებული ინვენტარი ამ სამარხებში, არ შეიძლება, ვინაიდან თითქმის ყველა ჩვენს მიერ გათხრილი სამარხი, ალბათ გარდა №№ 1 და 8 ქვაყუთებისა, ძლიერ დაზიანებული იყო.

ინვენტარის თითქმის ნახევარს კერამიკა შეადგენს, თუმცა დიდი მრავალფეროვნებით იგი არ გამოირჩევა. თიხის ჭურჭლის მეტი წილი დოქებსა და ცალყურა ქოთნებზე მოდის. თავისი ფორმებით, ორნამენტაციით და ტექნოლოგიით აქაური სამეთუნეო ნაწარმი ემსგავსება აღმოსავლეთ საქართველოს რკინის ფართო ათვისების ხანის სამაროვნებზე მოპოვებულ შესატყვის მასალას (იხ. ტაბ. XVIII, XIX). ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს თიხის ორი ჭურჭელი: წითლად ანგობირებული ორყურა ჭურჭელი № 4 სამარხიდან

(ტაბ. XVIII, 5) და პატარა სარქვლიანი ნაცრისფერი ჭურჭელი (ტაბ. XVIII, 4). პირველი ჭურჭელი კარგი ნახელაობით გამოირჩევა; იგი მეტად პროპორციულ და ლამაზ ქილას წარმოადგენს, რომელსაც ყურებზე ორი „აცქვეტილი“ მორჩი აქვს. ანალოგიური ჭურჭლები ცნობილია არგიშტიხინილიდან (ურარტულ სამარხებში), რომელსაც საკულტო ჭურჭლებს უწოდებენ[1]; აგრეთვე, თეფესიალკის A ნეკროპოლიდან[2]. დავით სტრონახი ამდაგვარ ჭურჭელს მიდიური ხანის, დაახლოებით ძვ. წ. 625—550 წწ. კერამიკასთან[3] ათავსებს. ყველა ჩამოთვლილი ჭურჭელი საერთო ნიშნებით ერთმანეთს ემსგავსება, კერძოდ, ყველა „წელში გამოყვანილი“, პირგადაშლილი და ორყურაა (ყურებზე თითო მორჩით), ოღონდ პროპორციებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; სიონის აღნიშნული ჭურჭელი, ვფიქრობთ, ერთ-ერთ საუკეთესო ეგზემპლარს წარმოადგენს.

რაც შეეხება მეორე, პატარა სარქველიან ჭურჭელს (იხ. ტაბ. XVIII, 4) ნაცრისფერი დაწახნაგებული ზედაპირით, ოთხი პატარა „ფეხით“ და ორი ვერძისთავებიანი ყურით, იგი სრულიად ორიგინალურად გამოიყურება და თანადროულ ძეგლებზე მისი პარალელი ჩვენ არ გვეგულება.

სიონის აღნიშნულ სამაროვანზე მოპოვებული კერამიკა თითქმის მთლიანად ჩარხზეა დამზადებული. ზედაპირი, ძირითადად, არათანაბარი ფერისაა: მოყავისფრო, მოშავო ან ნაცრისფერი; იშვიათად გვხვდება წითელი ფერისაც. მეტად იშვიათია გაპრიალებულზედაპირიანი ჭურჭლები; ძირითადად გავრცელებულია სუსტადგაპრიალებული ჭურჭლები, რომელთაც ხშირად ზედაპირი დაზიანებული აქვთ. ზოგჯერ ჭურჭლის ზედაპირი უსწორმასწოროდ მოგლუვებულია. თიხაში, ძირითადად, სილაა შერეული, ზოგჯერ მოთეთრო ფერისაც. ორნამენტი დაჭდეულია ან ნაპრიალები.

გარდა კერამიკისა, სამაროვანზე მოპოვებულია ლითონის ნაწარმიც, იარაღი რკინისაგან არის დამზადებული, გამონაკლისს მხოლოდ ბრინჯაოს სკვითური ისრისპირი წარმოადგენს; სამკაული კი ბრინჯაოსაგანაა დამზადებული. რკინის იარაღიდან ყველაზე მრავლად გვხვდება რკინის მცირედ მოხრილი დანები, ან დანისებური იარაღის ფრაგმენტები; ამგვარი დანები ძლიერ გავრცელებულია ძვ. წ. VII—VI სს. ძეგლებზე. სამწუხაროდ, რკინის ინვენტარი ძალიან ცუდად ინახება და ამ შემთხვევაშიც, ხშირად მხოლოდ ნაფხვენების სახითღა იყო შემორჩენილი. ერთ დანას (№ 1 სამარხიდან, ნახ. $25_5$) ძვლის ტარი ჰქონია მანჭვლებით დამაგრებული სატარეზე. სამწუხაროდ, დაშლილი იყო დანის პირიც და ტარიც. დანები თითქმის ყველა სამარხშია ნაპოვნი.

რკინის სხვა იარაღიდან აღსანიშნავია რკინისტარიანი სატევარი № 7 სამარხიდან (ნახ. $34_2$; ტაბ. XIX, 2), რომელიც ჩვენთვის ცნობილ ამ ტიპის სატევართა შორის ერთ-ერთი საუკეთესო ეგზემპლარია. მართალია იგი ძლიერ

---

[1] А. А. Мартиросян, Аргиштихинили. Археологические памятники Армении 8; Урартские памятники, I, Ереван, 1974, с. 36, рис. 18; с. 108, рис. 69.

[2] М. Н. Погребова, Иран и Закавказье в раннем железном веке, М., 1977, с. 105, табл. XXIV, 1, 3.

Ghirshman R., Fouilles de Sialk pres de Kashan, m. 2, P., 1939, ტაბ. IV, 1, 2; XVI.

[3] Stronach D., Excavation at Tepe Nush—i Gan, 1967; Iran, Journal of the British Institute of Persian Studies, Volume VII, 1969, L., გვ. 18, ნახ. $7_2$.

დაჟანგული და გატეხილიც იყო, მაგრამ მოხერხდა მისი აღდგენა და გამაგრება. ეს არის 29 სმ სიგრძის იარაღი ფოთლისებური მკვეთრქედიანი პირითა და ბოლოში გაგანიერებული სატარეთი, რომელზეც შერჩენილია 13 მანჭვალი და ხის (ან შესაძლოა, ძვლის) ტარის ანაბეჭდი (ნახ. $34_2$; ტაბ. XIX, 2). ანალოგიური სატევრები გავრცელებულია ძვ. წ. VIII—VII სს. ძეგლებზე, კერძოდ, აღმოჩენილია წოფში, სევანის ტბის დასავლეთ სანაპიროზე[4], ღრმახევისთავში[5] და სხვ.

ამავე (№ 7) სამარხში აღმოჩნდა რკინის შუბისპირი, შედარებით კარგად შენახული, მას მოკლე გახსნილი მასრა და, შედარებით, გრძელი, ფოთლისებური ქედიანი პირი აქვს (ნახ. $34_1$; ტაბ. XIX, 1). იგი საკმაოდ განსხვავდება ამავე სამაროვნის სხვა შუბისპირებისაგან (მაგ., იხ. ნახ. $28_1$) და თავისი ფორმით ბრინჯაოს მასრაგახსნილ შუბისპირებს წააგავს. სწორედ ეს ორი ნივთი, რკინის ტარიანი სატევარი და შუბისპირი რამდენადმე აძველებს № 7 სამარხს და იგი თითქოს, დანარჩენებზე ადრეული ჩანს.

რკინის ნაწარმიდან № 7 სამარხში კიდევ ორი დანა თუ დანისებური იარაღია ნაპოვნი (ნახ. $34_{3,4}$).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრინჯაოს იარაღი ერთადერთი ისრისპირითაა წარმოდგენილი (სამარხი № 4). ეს არის სკვითური ტიპის სამფრთიანი ისრისპირი მოკლე მრგვალი მასრით. ამგვარი ისრისპირები ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნეში ყოფილა გავრცელებული[6]. სიონის ისრისპირთან ახლოს დგას კარმირ-ბლურზე და ღრმახევისთავში აღმოჩენილი ისრისპირები. კარმირ-ბლურზე აღმოჩენილ სკვითურ ისრისპირებს ძვ. წ. VI საუკუნის პირველი მეოთხედით ათარიღებენ[7], ხოლო ღრმახევისთავის ისრისპირის შემცველი კომპლექსი ძვ. წ. VI საუკუნით არის დათარიღებული[8].

სამკაულის ძირითადი ნაწილი ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. რკინისა მხოლოდ ერთი მშვილდსაკინძის (ნახ. $26_3$) და ორიოდე საკინძისებური ნივთის ღეროს (ნახ. $25_{2,6}$) ნაშთია ნაპოვნი. სამივე ნივთი ძლიერ დაჟანგული და დაზიანებულია. ბრინჯაოს სამკაულები კი უფრო მრავალფეროვანია. აქ ნაპოვნია სამაჯურები, კონუსურთავიანი საკინძები, რგოლები, ჯაჭვები, ფიბულა, გაურკვეველი დანიშნულების აჟურული ნივთი და სხვ.

სიონში ნაპოვნი ყველა სამაჯური წრიული მოხაზულობის ბოლოგახსნილი სამაჯურებია, რომლებიც ძირითადად, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან არის დამზადებული. სამი სამაჯური ნაჭდევი ორნამენტითაა შემკული (იხ. ნახ. $28_{10}$; $41_7$; $43_3$), ერთი გველისთავებიანი (ნახ. $28_{11}$), დანარჩენი კი სადა სამაჯურებია. ამგვარი სამაჯურები მრავლადაა მოპოვებული ძვ. წ. VII—VI სს. სამაროვნებზე[9]. ამავე ხანაში გავრცელებული ბრინჯაოს კონუსურთავიანი სა-

---

[4] რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXII—B, 1961, გვ. 368, ტაბ. XVII, 1:2, 3.

[5] ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 21, ტაბ. XIV, XVI; ნახ. 105, 116.

[6] К. Ф. Смирнов, Вооружение савроматов, Материалы и исследования по археологии СССР, № 101, табл. II.

[7] Б. Б. Пиотровский, Кармир-Блур, I, Ереван, 1959, с. 86, рис. 55:3.

[8] ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 21, ნახ. 86 (132).

[9] А. А. Мартиросян, Раскопки в Головино, Ереван, 1954, табл. V, 25; მ. მენაბდე, ც. დავლიანიძე, თრიალეთის სამაროვნები, I, თბ., 1968, ტაბ. XI—XV; ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, ნახ. 139, 144, 178.

კინძებიც და ხატისუღელიც. სიონის საკინძებს მოკლე, წვერისკენ წაწვეტებული მრგვალგანივკვეთიანი ღერო და დაბალი კონუსისებური თავი აქვს, რომლის ზედა ნაწილი ბრტყლად წაკვეთილია, ხოლო ქვედა, ნაჭდევი ზოლებით შემკული ნაწილის ძირში მრგვალი ნახვრეტი აქვს გაკეთებული (იხ. ნახ. $30_{[illegible]}$; $32_{2}$; $34_{5}$). ამ ტიპის საკინძები კონუსურთავიან საკინძთა შორის ყველაზე გვიანდელებია და, ძირითადად, ძვ. წ. VII—VI სს თარიღდება[10]. სიონის საკინძის ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია ბეშთაშენის ციხესთან მდებარე სამაროვნის ჩრდილოეთ უბანზე[11], წოფში[12], ძველსა და ახალ დმანისში და სხვ.

სიონის № 11 სამარხში ნაპოვნია ბრინჯაოს გრეხილი ხატისუღელი, რომელსაც ბოლოები სადა, დაბრტყელებული და ჩახვეული აქვს. ხატისუღელი გავრცელებული ჩანს დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში. სიონის მსგავსი ორი გრეხილი ხატისუღელია აღმოჩენილი თლის სამაროვანზე, ისეთ კომპლექსებში, რომლებიც რკინას ჯერ არ შეიცავენ, რის საფუძველზეც გამთხრელი მათ ძვ. წ. X ს. მეორე ნახევრით ათარიღებს[13]. ანალოგიური ხატისუღლები ნაპოვნია მინგეჩაურის გვიანბრინჯაოს ხანის ორმოსამარხებშიც[14], მაგრამ ხრტანოცის 1929 წ. გათხრილ კრომლეხებში ისინი გვხვდება ძვ. წ. VII—VI სს. კომპლექსებში[15]. დაახლოებით ამავე დროისა უნდა იყოს სიონის № 11 სამარხიც. რაც შეეხება ბრინჯაოს ბრტყელზურგიან მშვილდსაკინძს შეჭრილი ნაპირებით, ისინიც იმავე დროს ჩანს გავრცელებული და პარალელები მოეპოვება წოფში[16], ღრმახევისთავში[17] და სხვ.

სიონის სამარხებში ბრინჯაოს, ხოლო ერთ შემთხვევაში შერეული — რკინის და ბრინჯაოს ჯაჭვებია აღმოჩენილი. ყველა შემთხვევაში მათთან რკინის ნაშთიც ჩნდება. საფიქრებელია, მსგავსად ღრმახევისთავის უკეთ შენახული ანალოგიური ნივთებისა[18], ეს ჯაჭვებიც რკინის საკინძებზე უნდა ყოფილიყო მიმაგრებული.

სიონის სამარხებში გვხვდება სარდიონის, პასტის და ქარვის მძივები; არის პასტის წვრილი იოტებიც. მძივების ასეთივე ასორტიმენტია წარმოდგენილი ზემოდასახელებულ რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლებზეც.

როგორც ვხედავთ, სიონის არქეოლოგიური მონაპოვარი პარალელებს პოულობს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, ძირითადად, ძვ. წ. VII—VI სს. ძეგლებიდან მომდინარე მასალასთან. ვფიქრობთ, ასევე უნდა დათარიღდეს, ზოგადად, სიონში ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე სამაროვანზე გათხრილი სამარხები. აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ მიუხედავად მასალის სიმცირისა, მაინც

---

10 J. de Morgan, Mission scientifique au Caucase I, Paris, 1889, გვ. 119.

11 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, рис. 46; მ. მენაბდე, ც. დავლიანიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. X (328, 329).

12 საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყ-ის ფონდი, ინვ. № 1—63:55, 126—128, 210.

13 Б. В. Техов, Центральный Кавказ в XVI—X вв. до н. э., М., 1977, с. 150, рис. 107:17,18.

14 Г. М. Асланов, Р. М. Вандов, Г. И. Ионе, Древний Мингечаур. Баку, 1959, табл. XVIII, 17, 18.

15 А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VII.

16 საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდი, ინვ. № 1—63: 217.

17 ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, ნახ. 105 (193).

18 იქვე, ნახ. 88 (139), 126 (257), 139 (313) და სხვ.

შეინიშნება განსაკუთრებული სიახლოვე ღრმახევისთავის სინქრონულ მასალებთან.

## ადრეფეოდალური ხანის სამარხები

ადრეფეოდალური ხანის ორი სამარხი ქვაყუთი გავთხარეთ სოფ. სიონის მკვიდრ ი. კუპატაძის ეზოში.

ქვაყუთი № 1 ექსპედიციას საპრეპარაციოდ გამზადებული დახვდა. ი. კუპატაძეს თავისი ფერდიანი ეზო ბულდოზერით გაუსწორებია; ამ სამუშაოების დროს რამდენიმე ქვაყუთი სრულიად განადგურებულა; ზემოთ აღნიშნულ ქვაყუთს კი გადახდილი ჰქონდა სახურავი ქვა, რომლის ნატეხები იქვე ეყარა. მიწის ზედაპირზე ჩანდა ქვაყუთის ერთ-ერთი, როგორც შემდეგ გამოირკვა, სამხრეთ კედლის ქვა. როგორც ეზოს პატრონმა გვითხრა, ბულდოზერით დანგრეულ დანარჩენ ქვაყუთებში ძვლების მეტი არაფერი ყოფილა.

№ 1 ქვაყუთის პრეპარაციის დაწყებისთანავე, ზედა ჰორიზონტშივე ჩნდებოდა ცხოველის ძვლები, მაგრამ მათი მიკუთვნება სამარხზე სათუოა. დაახლოებით 40—45 სმ-ის სიღრმეზე გამოჩნდა ადამიანის თავის ქალა და ტერფის ძვლები. დანარჩენი ძვლები უფრო ღრმად მდებარეობდა. სამარხი თითქმის უინვენტარო იყო. ქვედა ყბა გადავარდნილი იყო და მის ნაალაგევზე რკინის გაურკვეველი ნივთის პატარა ფრაგმენტი აღმოჩნდა; მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით — გაშოტილი, გულაღმა, თავით დასავლეთისაკენ, ხელები მუცელზე ჰქონდა დაწყობილი. აღსანიშნავია, რომ სამარხში ძირითადი ჩონჩხის გარდა მეორე სუბიექტის ძვლებიც გვხვდებოდა. მაგალითად, ძირითად თავის ქალასთან მოზარდი ადამიანის ქვედა ყბა იდო; ასევე მცირე რაოდენობის ძვლები მენჯის არეში იყო გაბნეული; ბარძაყის ძვალი კი მარცხენა ბარძაყის ძვალთან იდო ირიბად (ნახ. 45). სამარხის მთელ ინვენტარს ბრინჯაოს ერთადერთი საკინძი შეადგენდა, რომელიც მარჯვენა მენჯის ძვლის ქვეშ აღმოჩნდა. საკინძი სრულიად ორიგინალურია და მის პარალელს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. იგი წარმოადგენს წვერისკენ წაწვეტებულ მრგვალგანივკვეთიან ღეროს, რომელიც თავთან მოღუნულია და პატარა მრგვალი ბურთულით მთავრდება (ტაბ. IX, 5). პრეპარაციის დროსვე გამოჩნდა, რომ ჩონჩხი დასვენებული იყო თიხის „ფილებზე", რომელიც ნაპირებამდე არ მიდიოდა. სწორედ აქ, იატაკსა და კედელს შორის, მიწაში ალაგ-ალაგ ჩანდა ცხოველის ძვლები, რომელიც ნაწილობრივ „იატაკის ქვეშაც" შედიოდა. განსაკუთრებით ბევრი იყო ცხოველის ძვლები სამხრეთი კედლის დასავლეთ ნახევარში. მიცვალებულის მტევნის ფალანგები გაბნეული იყო; უნდა აღვნიშნოთ, რომ სამარხის გარდიგარდმო, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც მიცვალებულს ხელები უნდა ჰქონოდა დაკრეფილი, გველის მთლიანი ჩონჩხი აღმოჩნდა. ხელის ძვლების გაბნევაც, ალბათ, მისი ბრალია.

ქვაყუთი № 1 მართალია მცირეინვენტარიანია, მაგრამ კონსტრუქციულად მეტად საინტერესო გამოდგა. იგი ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული ოთხი მასიური ფილაქვისაგან შედგებოდა, რომელთაგან სამხრეთი კედლის ქვა ორად იყო გატეხილი (სავარაუდოა, რომ ბულდოზერის მიერაა გატეხილი); იგი წაგრძელებულ ოთხკუთხედს წარმოადგენდა; ჩრდილოეთის კედლის ზომებია — 1,95×

×0,58×0,07 მ; სამხრეთის კედლისა — 1,87×0,70×0,11 მ; დასავლეთისა — 0,76×0,60×0,07 მ; აღმოსავლეთისა — 0,60×0,60×0,05 მ. სხვა ქვაყუთებისაგან განსხვავებით, მისი ძირი მოგებული იყო თავბოლოშექცევით ჩაწყობილი მოზრდილი კრამიტებით, რომლებიც კიდეებით ქვევით იყო ჩაბრუნებული. კრამიტები ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ იყო მიწყობილი, მაგრამ მასა და კედლის ქვებს შორის 3—4 სმ სიგანეზე მიწა ჩანდა. კრამიტების სიგრძე 45 სმ-ია, სიგანე — განიერ მხარეს — 35 სმ, ვიწრო მხარეს — 29 სმ, „ბორტის“ სიმაღლე — 5,5 სმ; ყველა მთელი იყო, გარდა ერთისა — თავის ქალას ქვეშ



ნახ. 45. ადრეფეოდალური ხანის ქვაყუთი (№ 1), გეგმა და ჭრილები (ი. კუპატაძის ეზოში გათხრილი)

მდებარე კრამიტისა. მსგავსი კრამიტები ადრეფეოდალურ საქართველოში იყო გავრცელებული. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ქვაყუთი № 1 ადრეფეოდალურ ხანას უნდა მივაკუთვნოთ.

ამავე ეზოში გაითხარა კიდევ ერთი დაზიანებული ქვაყუთი № 2, რომელიც სანახევროდ ჩანდა ფლატეს ჩამონგრევის გამო. ესეც ამავე ეზოში გათ-

ხრილი № 1 ქვაყუთის მსგავსად იყო აგებული, მაგრამ კედლებად უფრო თხელი ქვები იყო გამოყენებული. გადარჩენილი იყო ყუთის მხოლოდ დასავლეთი ნაწილის ქვები. მიცვალებული გაშოტილი იწვა ზურგზე, თავით დასავლეთისაკენ, ხელები მუცელზე ეწყო. სამარხი სრულიად უინვენტარო იყო. ვფიქრობთ, ეს სამარხიც პირველის თანადროული, ან ოდნავ მოგვიანო ხანის უნდა იყოს და, ასევე, ადრეფეოდალური ხანით უნდა დათარიღდეს.

# АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ с. СИОНИ МАРНЕУЛЬСКОГО Р-НА

## (итоги работ 1974—1979 гг.)


Резюме

Квемо-Картлийская археологическая экспедиция Государственного музея Грузии им. С. Н. Джанашиа с 1974 года, наряду с другими основными работами экспедиции, проводит археологические раскопки также и в с. Сиони Марнеульского района, расположенном на левом берегу реки Шулавери, в 6—7 км к юго-западу от поселка Шаумяни (бывш. Шулавери).

Начало работ было обусловлено случайной находкой погребального комплекса, смытого речкой, на окраине села, в местечке Парехеби.

Разведочными работами было установлено наличие на территории с. Сиони множества разновременных археологических памятников. В с. Сиони экспедиция работала весьма ограниченно, лишь на тех памятниках, которым угрожало разрушение.

Предлагаемая работа посвящается итогам работ, проведенных на нижеперечисленных объектах в 1974—1979 гг.

В 1974—1977 гг. работы велись в местечке Парехеби, а в 1978—1979 гг. на территории, прилегающей к сельской церкви, где при проведении дороги был поврежден обширный могильник предантичного времени.

В местечке Парехеби выявлено раннеземледельческое поселение, одно погребение эпохи средней бронзы и 10 погребений поздней бронзы.

Два полуразрушенных каменных ящика раннефеодальной эпохи было раскопано во дворе И. Купатадзе.

Раннеземледельческое поселение. В начале работ в Сиони раскопками была обследована часть позднебронзового могильника, которой угрожало уничтожение. Здесь, на левом берегу речки Худисцкали, там, где в предыдущем году было найдено погребение, нами был заложен разведочный шурф площадью в 32 кв. м, в котором были расчищены еще два погребения. По всей площади раскопа попадались керамические фрагменты архаичного облика и обсидиановые и кремневые изделия. Происхождение этих материалов было выяснено в следующем году, когда раскопки были расширены и удалось установить, что могильник бронзового века был устроен на месте находившегося здесь некогда раннеземледельческого поселения. В 1975 г. раскопки были расширены по направлениям W и N, вдоль р. Худисцкали. В зап. направлении обнаружилась массивная камен-

ная стена дугообразной планировки, относящаяся, по-видимому, к округлому строению раннеземледельческого периода. Большая часть этого строения, кроме одного сектора, была смыта рекой. Стена, шириной в 1 м в среднем, была сложена сухой кладкой. По сторонам лежат массивные камни, середина же заполнена мелким камнем и щебнем. Сохранившаяся часть стены разорвана в двух местах. Западный проем образовался при устройстве погребения среднебронзовой эпохи, а второй, видимо, являлся входом в помещение. Внутри строения на двух уровнях, залегающих один над другим на 10—15 см, зафиксированы хорошо утрамбованные, местами пережженные глинобитные полы. Слой под нижним полом, на глубине 15—20 см все еще обильно содержал культурные остатки. В более нижнем слое обнаружились единичные обломки костей животных. Приблизительно в центральной части помещения (в квадратах В-64, 65, уровень — 1,9 м) выявлена яма округлой формы, заполненная камнями, дно которой достигает глубины — 2,30 м. Под камнями найден остаток черепа крупного рогатого животного (бык?) и половина глиняного сосуда.

Описанное помещение № 1 не является единственным. Фрагмент подобной, дугообразной стены выявлен и в восточном шурфе, где также имелось обилие архаичного материала — керамики и обсидиановых изделий, а также костей животных. Большая стена выявилась в квадратах А-04, 05, 95, 96, 86. У этой стены и вокруг нее подобный архаичный материал обнаружился в значительно меньшем количестве (см. рис. 1, табл. I—IV).

На раскопанной площади выявлено еще несколько фрагментов каменных стен, но связь их с раннеземледельческими слоями пока сомнительна. Материал раннеземледельческой эпохи (т. е. соответствующий культурный слой) с различной интенсивностью встречается на всей раскопанной площади. К сожалению, этот слой, сильно поврежден погребениями бронзовой эпохи, действием реки и т. д. Не вызывает сомнений то, что в с. Сиони мы имеем дело с одним раннеземледельческим слоем, который представлен одним, или, в крайнем случае, двумя строительными горизонтами. Сопоставление вещественных материалов со всех участков убеждает нас в их полной однородности.

Самой многочисленной в добытых материалах является керамика, которая полностью изготовлена вручную и представлена лишь обломками малых размеров. Отсутствие целых сосудов не позволяет установить керамические формы. Здесь, по-видимому, преимущественно распространены низкогорлые сосуды с вздутым туловом и чуть отогнутым венчиком (рис. 2:3, 4, 13, 14; рис. 3:5, 7, 9, 11, 12). Но есть и сосуды с высокой шейкой, прямым или отогнутым венчиком (рис. 2:2, 5, 6, 7, 10, 12, 17, 21; рис. 3:1, 3, 6, 10, 13—16). Встречаются также фрагменты кувшинов с загнутым внутрь краем (рис. 2:8, 15, 16 19). Есть единственный фрагмент мискообразного сосуда (рис. 2:9).

Глиняная посуда сионского поселения хорошо обожжена; черепок, в основном, двухслойный в изломе — внутренняя сторона черная, внешняя — розоватая; но попадается и трехслойный черепок — внутри и снаружи красноватый, в середине — черный. Редки одноцветные, хорошо обожженные фрагменты. Поверхность сосудов, большей частью, коричневато-розоватая, бывает темно-коричневая и черная. Очень редки хорошо обожженные сосуды красно-кирпичного цвета. Встречаются розовые, с хорошо полированной розовой внутренней по-

верхностью, или же, сероватые снаружи фрагменты, напоминающие куро-аракскую керамику.

Визуально удается определить примесь в глине песка, толченного обсидиана, слюды; изредка отмечается примесь рубленной соломы и самана. Поверхность посуды большей частью хорошо полирована, иногда покрыта тонким слоем ангоба. Для большей части сионской керамики характерно нанесение на внешнюю, а иногда и внутреннюю поверхность гребневидным предметом, а может быть и щепкой, бес системных полосок (рис. $2_{1-5}$).

Венчики найденных на поселении сосудов, большей частью, округлены (рис. $2_{7, 11, 13, 14, 18}$), хотя не редки плоские, усеченные сверху горловины (рис. $2_{1-6, 9, 17}$; рис. $3_{1-3, 6, 7, 10, 12, 14-16}$). Реже встречаются утоненные и суженные венчики (рис. $2_{8, 10, 15, 19, 21}$). В большинстве случаев, переход от горлышка к плечу не выделяется и происходит плавно; но также встречаются и значительно профилированные экземпляры (рис. $2_{1, 2, 5, 6, 10, 21}$; рис. $3_{7, 10, 13, 16}$).

Большинство сосудов плоскодонные с низким поддоном или тупоугольным переходом к стенке (рис. $2_{20}$). Два фрагмента возможно принадлежат круглодонным сосудам.

Для сионской керамики не характерны украшения корпуса сосудов; имеются лишь единичные случаи украшения рельефным (рис. $3_{8}$) и резным (рис. $3_{2}$) орнаментом. Однако, очень часты венчики с разным насечным орнаментом; это косые (рис. $2_{1-3}$; $3_{9}$), или прямые (рис. $3_{6-7}$) неглубокие вдавлины. Часты и глубокие косые насечки.

Украшение венчиков насечками характерно для неолитической керамики Западной Грузии, встречается в Самеле клдэ и на памятниках II ступени Шулавери-шомутепинской культуры (Шулаверис-гора, Гадачрили-гора), в редких случаях несколько позднее (Имирис-гора, Дангреули-гора). Широко расставленные углубления нам известны из энеолитических материалов Дзудзуана и Самерцхле клдэ. Часть венчиков украшена косым гребенчатым штампом (рис. $3_{3}$), а часть — тонким линейно-точечным орнаментом (рис. $3_{4, 5}$). На нескольких фрагментах имеется сочетание разнообразных насечек и вдавлений, круглые или овальные большие вдавлины на венчике (рис. $3_{12, 14, 16}$). Этот последний способ украшения сосудов, кроме Западной Грузии нам неизвестен на Кавказе. В этом отношении сионская керамика находит близкие аналогии в неолитических материалах Анасеули II и Гурианта. Общим для Сиони и Анасеули II являются также сосуды с волнистым венчиком (рис. $3_{1}$), приблизительные аналогии которым можно найти в материалах Одиши и Цопи.

На поселении Сиони найдено множество изделий из кремня и обсидиана, всего — 1253 ед.; из них 1177 — обсидиановые (93, 94%), остальные — кремневые, аргилитовые, базальтовые и др. — 76 ед. (6,06%).

В общем составе каменных изделий, преобладают отщепы и обломки, большинство которых (550 шт.) необработано. Нуклеусов всего 7 шт.; все они аморфны, утилизованы. Пластины, в основном, прямые, ножевидные, средней ширины. Одна из них — микропластина. Малая часть пластин (53 шт.) необработаны; отдельной серией пластин выделяются 18 обсидиановых и 1 кремневая, обработанные отжимной ретушью со стороны спинки (рис. $4_{9, 10, 29}$). Подобная техника обработки часто встречается и на скребках и придает своеобразный облик каменной индустрии Сионского поселения.

Среди орудий наибольшее количество составляют долотовидные орудия (pièce écaillée) — 74 ед.; все из обсидиана (рис. $4_{34-37}$). Следующую большую группу составляют скребки (53 ед.), из которых 7 единиц из кремня, остальные из обсидиана (рис. $4_{18, 20, 21, 33}$). Среди них выделяется 8 экземпляров обработанных отжимной ретушью со стороны спинки (рис. $4_{13, 17, 23, 26, 28}$). Скребел всего 7 ед.; все они оформлены на краях массивных отщепов. III группу орудий по количеству составляют резцы (41 ед., все из обсидиана); среди них имеются срединные (рис. $4_{2, 19}$), боковые (рис. $4_{4, 16}$), угловые (рис. $4_{1, 12, 14}$), дублированные.

Проколок и сверл всего 14 ед. (рис. $4_{8}$). В категорию ножей объединены 5 орудий (рис. $4_{38}$). Комбинированных орудий — 6 ед. Вкладышей серпа — 5 ед.; один — типичный образец т. н. «Шомутепинского типа» (появившегося с III ступени Шулавери-шомутепинской культуры (рис. $4_{30}$).

Из Сионского поселения происходит грубое рубящее орудие из базальта, а также дисковидные или цилиндрические терки (8 ед.).

Из костяных орудий — 5 ед. — шилья из расщепленной трубчатой кости и 1 «скребло» из кости крупного рогатого скота.

Встречались подчетырехугольные (округленные по углам) перламутровые подвески с дырочкой посередине.

Следует отметить, что в Сиони пока не найдено ни одной зернотерки.

Сионское раннеземледельческое поселение представляет собой очень своеобразный памятник, точнее, неизвестный до сего комплекс. Географически оно попадает в зону распространения Шулавери-шомутепинской культуры, непосредственно граничит с памятниками Шулаверской группы, но расположено несколько выше от уровня моря.

Сионские материалы имеют определенные точки соприкосновения с памятниками шулаверского культурного круга. Однако различие между ними настолько значительно, что невозможно отнести Сиони к какой-либо ступени развития этой культуры или же считать локальным ее вариантом. Во-первых, они различаются по типу поселения. Памятники типа Шулавери представлены расположенными в долинах искусственными холмами типа «тепе», на которых подтверждены следы длительного обитания. Сионское же поселение расположено на террасе или склоне горы и образовавшийся здесь культурный слой совершенно не выделяется рельефно. Принципиальное различие замечается и по типам строений. Для первых характерны небольшие округлые с куполом строения из сырцевого кирпича, в Сиони же мы встречаем большие строения с каменным фундаментом (или стенами).

Каменная индустрия Сиони также отличается от соответствующих изделий Шулаверской группы. Значительное расхождение замечается и по технологии, формам и орнаментации керамики. Определенные совпадения в керамике должны быть объяснены сосуществованием на определенном этапе этих двух культур (следует думать, что на заключительном этапе Шулавери-шомутепинской культуры), или же формальными совпадениями в традиционной технике керамического производства.

Костяные изделия, которыми изобилуют памятники Шулаверской культуры, фактически отсутствуют в Сиони (за исключением 4-х шильев). То же самое следует заметить о полированных каменных изделиях.

Трудно иметь суждение о хозяйстве носителей Сионской культуры,

так как соответствующих материалов очень недостает. По предварительному определению палеонтолога О. Бендукидзе, в остеологическом материале Сиони преобладают кости домашних животных (крупного и мелкого рогатого скота и свиней). Имеющиеся находки вкладышей серпов не представляют собой точно определяющий аргумент в пользу наличия земледельческого хозяйства.

С западно-грузинским неолитом, а именно с памятниками Колхидской низменности, и только лишь с ними, Сиони сближается посредством керамического декора (см. выше). В других отношениях, существенного сходства не наблюдается.

С комплексом, известным из сел. Цопи, сионские материалы обнаруживают только лишь общее сходство. Можно указать о сходстве сионской керамики с определенными керамическими формами Самеле-клдэ и Самерцхлэ-клдэ, но эти связующие элементы имеют слишком общий характер.

Все вышесказанное дает нам основание для выделения Сионского поселения в качестве новой культуры. Но пока что мы должны воздержаться от дальнейшей детализации ее типологической характеристики.

Чрезвычайно сложным кажется нам разрешение вопроса хронологии этого памятника, имеющее очень важное значение. По формально-типологическим признакам Сионское поселение должно относиться к позднему неолиту. Однако ряд данных позволяет предположить более позднюю дату.

Вкладыш серпа «шомутепинского типа», найденный в непотревоженном слое Сионского поселения, представляет собой датирующий предмет определенного значения. Вкладыши этого типа появляются с III ступени Шулавери-шомутепинской культуры. Судя по этому, Сионское поселение не может быть старше III ступени этой культуры. Фрагменты неорнаментированных кувшинов, с загнутым внутрь краем, обнаруженные в Сиони, проявляют близкое сходство с аналогичными изделиями Храмис Диди Гора и самых верхних слоев Имирис Гора. Вместе с тем, в материалах Сиони встречается ряд фрагментов, которые по обработке наружной и внутренней поверхностей очень сходны с керамикой Куро-Аракской культуры. Это сходство настолько велико, что истоки Куро-Аракской керамики возможно и следовало бы искать в памятниках типа Сиони.

В труде, посвященном периодизации раннеземледельческой культуры, мы выделяем памятники, более поздние, чем V ступень Шулавери-шомутепинской культуры, большинство которых не относится к этой культуре и не обнаруживает также прочных культурных связей между собой. Однако они объединяются по хронологическому принципу и в общем датируются нами концом V тысячелетия и первой половиной IV тысячелетия до н. э. К этой же хронологической группе должно относиться и Сионское поселение.

При датировке этого памятника мы используем данные с поселения Аликемек-Тепеси, раскопанного в Юго-Восточном Азербайджане. В его верхних, — в нулевом и первом горизонтах распространена типичная для Сиони керамика с обработанной гребенкой или щепкой поверхностью. В нижних горизонтах, которые содержат материалы, аналогичные материалам I слоя Нахичеванского Кюльтепе, отсутствовали изделия упомянутого типа. Для этой же группы керамики характерно декорирование венчика сосуда прямыми или косыми неглубо-

кими насечками. Верхние горизонты Аликемек-Тепеси датированы серединой IV тыс. до н. э. Керамика, имеющая «украшение» из бессистемно нанесенных гребенкой бороздок и насечки на венчике, обнаружена на поселении Кечили III, расположенном в Шамхорском р-не.

Определенные связи сионские материалы имеют с разными комплексами, выявленными в последние годы на территории Вост. Грузии. Среди них в первую очередь следует отметить памятники Алазанской долины — поселение № 3 и Дамцвари-Гора, керамика и каменные изделия которых имеют определенное сходство с материалами Сиони. Одна часть сионских гончарных изделий сходна с керамикой памятников Арагвского ущелья докуроаракского периода — Жинвали, Квемо Араписи, Бодорна, Хертвиси. Можно упомянуть и об определенных точках соприкосновения между керамикой Сионского, Делиского и Цопского поселений.

Перечисленные памятники предшествуют Куро-Аракской культуре. При этом, ни один из них нельзя отнести к Шулавери-Шомутепинской культуре. Несмотря на то, что все они (включая и Сиони) объединяются в одну хронологическую группу и имеют определенные точки соприкосновения по типологии предметов, отнесение их к одной археологической культуре невозможно. Пока что, условно допустимо объединение этих памятников в более широкомасштабную культурную общность.

Вместе с тем, невозможно обойти определенное сходство между сионской и западно-грузинской неолитической (Одиши, Гурианта, Анасеули II) керамикой. Объяснение этого явления, на современном этапе изучения памятников, представляется очень сложным. — Сохранила ли керамика Сионского поселения определенную архаическую традицию или же именно эти западно-грузинские неолитические памятники следует датировать более поздним периодом?

Какое бы в дальнейшем не получили решение поставленные вопросы, можно с уверенностью сказать, что в виде Сионского раннеземледельческого поселения мы имеем дело с очень интересным памятником, открытие которого вызвало постановку множества важных вопросов, касающихся кавказской археологии. Выявление и изучение новых памятников типа Сиони — могут дать ответы на эти вопросы.

Погребение эпохи средней бронзы. В с. Сиони в местечке «Парехеби», на территории раннеземледельческого поселения, в 1974—77 гг. было раскопано 10 грунтовых погребений, из коих одно (№ 4) относится к эпохе средней бронзы, а остальные к эпохе поздней бронзы.

Погребение № 4 представляло собой овальную яму, длина которой — 2,2 м, ширина — 1,15 м, глубина — 1,9 м. Ориентировка NW — SO (рис. 5; табл. V). В погребении отсутствовал человеческий скелет, но было множество костей как мелкого, так и крупного рогатого скота; в центральной части помещался цельный скелет овцы, у изголовья которой стоял крупный чернолощенный сосуд, который, видимо, в свое время был накрыт туфовой крышкой. Всего в погребении было найдено 19 глиняных сосудов, туфовая крышка, сердоликовые бусы и пастовый бисер (рис. 6 и 7). Вероятно, большой чернолощенный сосуд, помещенный в центре погребения, представлял собой урну, в которой хранился пепел усопшего.

В отличие от больших курганов эпохи средней бронзы, в которых хоронили членов родовой аристократии, грунтовые погребения предназначались для рядовых членов общины.

В погребении № 4 засвидетельствован очень интересный обряд погребения, близкой аналогией которого являются маленькие курганы эпохи средней бронзы в Ашурианской долине. Инвентарь погребения № 4 также имеет параллели с материалами, относящимися к заключительному этапу эпохи средней бронзы: Триалети, Зуртакети, Накалоеби, Гракали, Метехи, Бериклдееби, Кировакан, Эчмиадзин, Кирги и др. Исходя из вышесказанного, Сионский комплекс следует датировать концом эпохи средней бронзы.

Погребения эпохи поздней бронзы. Остальные погребения, раскопанные в местечке «Парехеби», принадлежат эпохе поздней бронзы. К этому же времени относится и случайно, обнаруженное в 1973 г. погребение (рис. 8, табл. VII). Все эти погребения грунтовые.

Погребение № 1. Ориентировка W—O. Захоронен ребенок на правом боку, с согнутыми конечностями, головой на запад (рис. 9; табл. VIII, 1). Найдена керамика и бронзовые предметы (рис. $10_{1-5}$).

Погребение № 2. Ориентировка W—O. Захоронен ребенок в сильно скорченном положении на правом боку, головой на запад (рис. 11). Из всего комплекса (рис. 12) особо следует отметить керамические диски (18 шт.), изготовленные из фрагментов глиняной посуды (рис. $12_{11}$), а также, два бронзовых кинжала (табл. IX, 1,2).

Погребение № 3. Ориентировка W—O. Захоронен ребенок на правом боку, в скорченном положении, головой на запад. Здесь найдена керамика, бронзовый кинжал и другие предметы, сердоликовые и костяные бусы (рис. $13_{1-9}$).

Погребение № 5 было повреждено (недоставало южной половины). Ориентировка N—S. Покойник лежал на правом боку, головой на север (рис. 14; табл. VIII, 3). Найдена керамика и бронзовый кинжал и другие предметы (рис. $15_{1-7}$; табл. IX, 3, 4).

Погребение № 6. Ориентировка N—S. Покойник лежал на правом боку с согнутыми конечностями, головой на север (рис. 16; табл. VIII, 4). Имеется глиняный инвентарь( рис. $17_{1-3}$).

Погребение № 7. Ориентировка N—S. Костяк был положен в сложной позе — торс лежал на спине, череп и нижние конечности — на правом боку, правая рука — около лица, левая — на груди; бедро и часть позвонка вообще отсутствовали (рис. 18; табл. VIII, 5). Найдена керамика и бронзовая булавка (рис. $17_{4-6}$).

Погребение № 8 повреждено. Ориентировка N—S. Костяк плохо сохранился; череп лежал в северной части; видимо покойник лежал на правом боку. Обнаружена керамика (рис $19_{1,2}$).

Погребение № 9. Ориентировка W—O. Погребальная яма сверху была перекрыта плоскими каменными плитами, гравием и булыжником (табл. X. 1). Захоронен был ребенок на правом боку, головой на запад (табл. X, 3; рис. 20). Инвентарь состоит из керамики и бронзового кинжала (рис. $19_{4-7}$).

Погребение № 10 тоже было перекрыто каменными плитами (табл. XI, 2). Ориентировка W—O. Захоронен был ребенок, предположительно на правом боку, головой на запад (табл. XI, 3; рис. 21). Найдена керамика, бронзовая булавка и сердоликовая буса (рис. $19_{8-12}$).

Как явствует из вышесказанного, все погребения в местечке «Парехеби» довольно однородны как по конструкции, так и по погребальному обряду и инвентарю. Существенная разница замечается лишь в ориентации погребений: дети лежат по линии W—O, головой на W;

взрослые — же по N—S, головой на N; при этом на могильнике им отведены различные участки (см. рис. 1).

Погребальная керамика как по форме, так и по технологии, в основном, схожа с глиняной посудой памятников эпохи поздней бронзы Квемо и Шида Картли. Более примечательно и интересно оружие, которое здесь представлено лишь кинжалами. Следует отметить, что они, в основном, отличаются не только от кинжалов синхронных памятников, но и друг от друга; все они (5 шт.) разновидные (см. рис. $12_{1,2}$; $13_1$; $15_1$; $19_7$) и близких аналогий не имеют. Этот факт, по нашему мнению, можно объяснить локальностью данного памятника.

Помимо кинжалов, на могильнике найден единственный наконечник стрелы, который застрял в ребре погребенного (рис. $15_7$; табл. IX, 4). Этот тип стрелы широко распространен на памятниках Восточного Закавказья эпохи поздней бронзы и раннего железа и принадлежит к их более раннему варианту.

Остальной бронзовый инвентарь состоит из различных украшений.

В общем, не столь многочисленный, но во многих отношениях интересный материал из грунтовых погребений с. Сиони следует датировать эпохой поздней бронзы.

Погребения эпохи широкого освоения железа. В 1978—79 гг. раскопки производились на окраине с. Сиони, на склоне, к северу от сельской церкви. Здесь, при прокладке дороги были разрушены каменные ящики; частично потревоженные погребения требовали срочного изучения. Всего здесь раскопано 14 каменных ящиков. Среди них, по структуре строения, погребения № 1 (рис. 24; табл. XIII, 1, 2), № 7 (рис. 33; табл. XVI, 3, 4), № 9 (рис. 35) и № 11 (рис. 39, 40; табл. XVII, 1, 2) отличались от остальных. Каменные перекрытия сохранились лишь на некоторых погребениях.

Погребение № 1 было перекрыто огромной плитой. Ориентировка W—O. Покойник лежал на правом боку с сильно согнутыми конечностями, головой на запад (табл. XIII, 1, 2; рис. 24). Среди инвентаря имеются фрагменты железных оружий, керамика и др. предметы (рис. $25_{4-12}$).

Погребение № $1_1$ было устроено над каменным перекрытием погребения № 1; точнее, в NW углу этого перекрытия. Ориентировка W—O. Частично разрушенный ящик занимал очень маленькое место. Сильно скорченный костяк лежал на левом боку, головой на W (табл. XII, 2, 3; рис. 23). Инвентарь малочисленный (рис. $25_{1-3}$).

№ 2 — поврежденный каменный ящик с разбитым перекрытием (табл. XIV, 1). Ориентировка NW—SO; фрагменты черепа лежали у NW стены, костяк в плохой сохранности (табл. XIV, 2; рис. $27_1$). Инвентарь также фрагментированный (рис. $28_{1-3}$).

№ 3 — поврежденный каменный ящик без перекрытия; ориентировка W—O. Плохо сохранившийся костяк лежал на правом боку с сильно согнутыми ногами, головой на запад (?) (табл. XIV, 3; рис. $27_2$). Инвентарь: керамика, фрагментированный железный нож, фибула и др. (рис. $28_{4-11}$).

№ 4 — каменный ящик без перекрытия; ориентировка W—O. Покойник лежал на правом боку, головой на W (табл. XIV, 4; рис. 29). Инвентарь: керамика, мелкие фрагменты железа, бронзовый наконечник стрелы скифского типа (рис. $30_{1-4}$; табл. XIX, 3; XVIII, 3, 5, 6).

№ 5 — каменный ящик без перекрытия; ориентировка NW—SO.

В отличии от других погребений, здесь дно ящика было выложено каменными плитами. Кости покойника очень плохо сохранились (рис. $31_{12}$). Инвентарь: маленький глиняный сосуд с крышкой, бронзовая булавка, браслет и мелкие фрагменты железа (рис. $30_{5-7}$, табл. XVIII, 4).

№ 6 — каменный ящик без перекрытия; ориентировка W—O. Костяк лежал на левом боку с сильно согнутыми конечностями, головой на W (табл. XV, 2; рис. $31_1$). Инвентарь: керамика, фрагменты железных ножевидных орудий, бронзовые украшения и бусы (рис. 32).

№ 7 — каменный ящик с разбитым на мелкие части перекрытием (табл. XVI, 1, 2); ориентация W—O. Продольные стены составлены из крупных камней (сухой кладкой), поперечные же — из плоских плит. Установить позу покойника не удалось (рис. 33; табл. XVI, 3, 4). Инвентарь: железный кинжал с рукояткой, наконечник копья с раскрытой втулкой, нож и фрагменты железа, бронзовая булавка и керамика (рис. 34; табл. XIX, 1, 2, 6, 8).

№ 8 — каменный ящик с разбитым перекрытием был расположен рядом с ящиком № 1 (рис. 24; табл. XIII, 1, 3); ориентировка W—O. Погребен был ребенок на правом боку, головой на запад, с согнутыми конечностями. Инвентарь: фрагменты железных предметов, бронзовые украшения, керамика, стеклянные и пастовые бусы и бисер (рис. 26).

№ 9 — каменный ящик ориентированный W—O. Обломки каменного перекрытия попали в ящик и перемешали костяк и инвентарь; фрагменты черепа обнаружены в западной части, поза покойника не установлена. Дно ящика выложено большими плитами (рис. 35). Инвентарь: керамика и фрагменты нескольких железных орудий (рис. 36; табл. XIX, 5).

Погребение № 10 было почти уничтожено; несколько камней лежало поверхностно, человеческих костей не было; малочисленный инвентарь был разбросан на разных уровнях (рис. 37, 38).

№ 11 — поврежденный каменный ящик; ориентировка W—O. Каменный ящик был перегорожен плитами, уложенными над костяком и частью инвентаря в виде продольной стенки, в концах которой стояли глиняные сосуды. Остатки черепа лежали в западной части (табл. XVII, 1, 2; рис. 39, 40). Инвентарь, сравнительно, богатый: керамика, бронзовая шейная гривна, браслеты, фрагменты железа, серебряной проволоки (браслета?) и многочисленные бусы из сердолика, янтаря и пасты (рис. 41; табл. XIX, 17).

№ 12 — поврежденный каменный ящик; ориентация W—O. Ребенок лежал на правом боку, головой на запад (рис. 12; табл. XVII, 3). Инвентарь: керамика, мелкие фрагменты железа, бронзовый браслет, сердоликовые и пастовые бусы (рис. 43).

№ 13 — каменный ящик без перекрытия, а также без костяка и инвентаря (рис. 44); ориентировка W—O.

Все вышерассмотренные погребения, если не считать незначительные конструктивные различия, схожи между собой, а также синхронны. Каждое погребение ингумационное и индивидуальное. Почти половину инвентаря составляет керамика, которая по технологии, формам и орнаментации похожа на гончарные изделия памятников Восточной Грузии эпохи широкого освоения железа. В этом отношении исключение составляет оригинальный маленький серый сосуд с крышкой, четырьмя маленькими ножками и двумя ушками в виде бараньих головок (см. табл. XVIII, 4) из каменного ящика № 5 и красноангобиро-

ванный двуушный сосуд из каменного ящика № 4 (см. табл. XVIII, 5), который находит параллели в урартских погребениях Аргиштихинили и некрополе А Тепе-Сиалка.

Керамика изучаемого могильника целиком изготовлена на гончарном круге; поверхность, в основном, неравномерного цвета — коричневатая, черноватая, или же серая; редко — красная. Большей частью здесь встречается слаболощенная посуда, реже — хорошо лощенная; орнамент вдавленный или лощенный.

Оружие на могильнике встречается лишь железное; исключение составляет бронзовый наконечник стрелы скифского типа (см. рис. 30:4), аналогии которого имеются в Кармир-Блуре, Грмахевистави и т. д., и которые распространены, в основном, в первой половине VI в. до н. э. Среди железного оружия преобладают согнутые ножи, характерные для памятников VII—VI вв. до н. э. Особо следует выделить железный кинжал с рукояткой из погребения № 7 (табл. XIX, 2). Подобные кинжалы датируются VIII—VII вв. до н. э.; аналогии встречаются в материалах Цопи, Грмахевистави, западного берега оз. Севан и др. Среди копий, найденных на данном могильнике, самым ранним выглядит наконечник копья с открытой втулкой из погребения № 7 (табл. XIX, 1).

Основная часть украшений изготовлена из бронзы: это браслеты, булавки, фибула, шейная гривна и т. д. Все они характерны и распространены на памятниках VII—VI вв. до н. э.

На основе вышесказанного, изучаемый могильник с. Сиони датируется нами VII—VI вв. до н. э.

П о г р е б е н и я   р а н н е ф е о д а л ь н о й   э п о х и. В Сиони во дворе крестьянина И. Кулатадзе экспедиция раскопала два полуразрушенных каменных ящика, где ранее, при расчистке двора, было разрушено еще несколько погребений. В конструктивном отношении, интересным оказался каменный ящик № 1 (см. рис. 45); в нем обнаружена бронзовая булавка (табл. IX, 5), близкие аналогии которой нам пока не известны.

## შემოკლებათა სია:

მსმკი — მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.

სსმაე — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები.

АО — Археологические открытия.

КСИА — Краткие сообщения Института Археологии.

КСИИМК — Краткие сообщения Института истории материальной культуры.

МИА — Материалы и исследования по археологии СССР.

СА — Советская Археология.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I — „ფარეხები“, № 1 ქვის კედელი.

ტაბ. II — 1. № 1 ქვის კედლის სამირკველი შიგნიდან და 2. გარედან.

ტაბ. III — 1, 2, ორმო № 1 ნაგებობაში; 3. კერამიკის ფრაგმენტები № 1 ნაგებობის იატაკზე.

ტაბ. IV — 1. კედლები № 2 (მარცხნივ) და № 3; მარჯვნივ ჩანს სამარხი № 10-ის ორმო; 2. კედელი № 3, უკან ჩანს კედელი № 2.

ტაბ. V — 1. ორმოსამარხი № 4; 2. № 4 ორმოსამარხის SW ნახევარი.

ტაბ. VI — № 4 ორმოსამარხის ინვენტარი.

ტაბ. VII — შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ინვენტარი.

ტაბ. VIII — 1. ორმოსამარხი № 1; 2. ორმოსამარხი № 3. 3. ორმოსამარხი № 5; 4. ორმოსამარხი № 6; 5. ორმოსამარხი № 7.

ტაბ. IX — 1, 2. ბრინჯაოს სატევრები № 2 ორმოსამარხიდან; 3. ბრინჯაოს სატევარი № 5 ორმოსამარხიდან; 4. ადამიანის ნეკნში გარჭობილი ბრინჯაოს ისრისპირი № 5 ორმოსამარხიდან. 5. ბრინჯაოს საკიდი ადრეფეოდალური ხანის სამარხიდან; 6, 7. ბრინჯაოს სამაჯური და რგოლი № 1 ორმოსამარხიდან; 8. ბრინჯაოს რგოლი № 2 ორმოსამარხიდან.

ტაბ. X — ორმოსამარხი № 9 პრეპარაციის პროცესში (1,2) და შემდეგ (3).

ტაბ. XI — 1. ორმოსამარხი № 8; 2, 3. ორმოსამარხი № 10 პრეპარაციის პროცესში და შემდეგ.

ტაბ. XII — 1. ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე სამაროვნის ხედი NW-დან; 2. ქვაყუთი № $1_1$ და მის ქვეშ მდებარე № 1 ქვაყუთის სახურავი, რომელსაც სამხრეთიდან ეკვრის № 8 ქვაყუთის სახურავი.

ტაბ. XIII — 1. ქვაყუთი №№ 1 და 8; 2. ქვაყუთი № 1; 3 ქვაყუთი № 8.

ტაბ. XIV — 1, 2. ქუაყუთი № 2 პრეპარაციის პროცესში და შემდეგ; 3. ქვაყუთი № 3; 4. ქვაყუთი № 4.

ტაბ. XV — 1. ქვაყუთები № №5 და 6 ზევიდან; 2. ქვაყუთი № 6.

ტაბ. XVI — ქვაყუთი № 7 პრეპარაციამდე (1,2) და შემდეგ (3,4).

ტაბ. XVII — ქვაყუთი № 11 პრეპარაციის პროცესში (1) და შემდეგ (2); 3. ქვაყუთი № 12.

ტაბ. XVIII — რკინის ფართო ათვისების ხანის კერამიკა: 1. ქვაყუთი № $1_1$; 2. ქვაყუთი № 1; 3, 5, 6. ქვაყუთი № 4; 4. ქვაყუთი № 5.

ტაბ. XIX — რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხების ინვენტარი: 1, 2, 6, 8. ქვაყუთი № 7; 3. ქვაყუთი № 4; 4. 7. ქვაყუთი № 11; 5. ქვაყუთი № 9.

# ტ ა ბ უ ლ ე ბ ი
# ТАБЛИЦЫ

I





1



2

III



1



2



3



1



2

V



1



2



VII





1



2



3



4



5

IX



**X**



1



2




3



1




2




3



1



2



3



1



2



3



1



2



3



4

XV



1



2



1



2



3



4

XVII



1



2



3



1



2



3



4



5



6

XIX



## შინაარსი

შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . 3
ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარი . . . . . . . . . . . . 7
შუაბრინჯაოს ხანის სამარხი . . . . . . . . . . . . . . 33
გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები . . . . . . . . . . . . . 43
რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხები . . . . . . . . . . 73
ადრეფეოდალური ხანის სამარხები . . . . . . . . . . . . 109
Археологические памятники Сиони Марнеульского района (резюме) . . . . 112
შემოკლებათა სია . . . . . . . . . . . . . . . . 121
ტაბულების აღწერილობა . . . . . . . . . . . . . . . 122
ტაბულები . . . . . . . . . . . . . . . . . . 123

**Медеа Валериановна Менабде, Тамаз Венедиктович Кигурадзе**

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ с. СИОНИ

(на грузинском языке)

ИБ 1669

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატები: ე. გოგაძე,
ლ. ღლონტი

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ალ. ჯავახიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი მ. კალანდაძე
კორექტორი ო. გიგინეიშვილი

გადაეცა წარმოებას 16.1.1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.4.1981;
ქაღალდის ზომა 70:108$^1/_{16}$; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 14.4;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.1;

უე 01083; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 133;

ფასი 1 მან. 40 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19